



საქონლო მისტი

საერთაშორისო რეკონსტრუქციული და რეკონსტრუქციული
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591
2011

№3 2011 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,
ბიზნესმენტის და მეცნიერთა პოზიციები)

ბაზასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა,
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი,
მეანობრე)

საბანკო-მედიკალური სიხლენი (სამეცნიერო
სამართალი), კომენტარები

მეცნიერული პითხვები და პროგნოზირება
პასუხები



**ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რევიერირდება:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რევიერირებულ ჟურნალში".

აღიარებულია რევიერირებულია:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა, ყაზახეთი).

ტექნიკური პერსონალი:

მარკეტინგი: **რუსუდან მაისურაძე**

მისამართი: 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Institute of Techninform

IS KNOWN AS REVIEW BY:

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana, Kazakhstan).

TECHNICAL PERSONS:

Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**

ADDRESS: 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რევირირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3(22), 2011

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:
ლოიდ ქარჩავა - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

ავთანდილ ჩუთლაშვილი - ნომრის რედაქტორი (ეკონომიკის აკადემური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე)

რამაზ აბუსაძე; ანზორ აბრალავა; იური
ანანიასვილი; როზეტა ასათიანი; ვახანი
ბარათაშვილი; როსტომ ბერიძე (შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლის დირექტორი); ბივი გამსახურდია;
ხათუნა ბურჭულაძე (პასუხისმგებელი მდივანი);
თამარ გამსახურდია; თინა ბელაშვილი
(ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი); სიმონ ბელაშვილი; რევაზ
ბვილქიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და
ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის
დირექტორი); მიხეილ გობატიშვილი;
ვლადიმერ ბრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის
ფედერაცია); ალექსი დანილჩენკო (ბელარუსიის
სახელმწიფო უნივერსიტეტი); ვოლფგანგ ვენტი
(ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაძე; ნუზარ
თოდუა; გოჩა თუთგურიძე; სერგეი
იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი,
უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის
სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი,
აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი);
რევაზ კაკულია; მერაბ კაკულია; ბია
კვაშილავა; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო
ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი);
ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე;
პაატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის
მურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); კირალდ
კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ
ლაბვილავა; ქაბილ მანაშოვი (აზერბაიჯანის
სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული
ფაკულტეტის დეკანი); იოსებ მასხრაშვილი;
შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის
ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში); იაკობ

მისხია; ელგუჯა მამკაბიშვილი; თეა
მუნჯიშვილი; დავით ნარმანია; თეოდ
ნიძე; იური რობუღი (ოდესა, უკრაინა);
ვახტანგ სართანიანი (საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის
ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე;
ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); ბილა
სვირავა; დამეტან ტურეპულოვა (ყაზახეთის
რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი; ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და
საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსიტეტი, ყაზახეთის
რესპუბლიკა); მირიან ტუხაშვილი; სლავა
შეტილავა; რუსუდან შუთათელაძე
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-
ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ლარისა
ყორღანაშვილი; თეიმურაზ შენგელია;
ბიორბი შიხაშვილი; შაია შულენავეა
(ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბაღიშვილი
(გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი); მიხეილ
ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა (საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი); ნიკო ჩიხლაძე; აპაკი
ცომია; ნოდარ ხაღური; ელენე ხარაბაძე
(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანი); ეთერ ხარაბიშვილი; რევაზ
ხარბავა; ნოდარ ხასია; მერაბ ხმალაძე;
დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანი); ჯამლუტ ჯანჯღავა (მთავარი
რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენია
(ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი
რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი, ნანა
ჯღარკავა.

28614

ავთანდილ ჩუთლაშვილი

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2011 წ.

© გამომცემლობა „ლოი“

შპსი 5 ლარი

№3(22), 2011 წელი





akhali EKONOMISTI

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №3(22), 2011

Editor-in-Chief and Head of Editorial board:
LOID KARCHAVA - Doctor of Business Administration, Professor

EDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors:

AVTANDIL CHUTLASHVILI - Editor
(Doctor of Economic Sciences, Deputy of Rector of Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

სტალო ეკონომისტი

RAMAZ ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; EVGENI BARATASHVILI; ROSTOM BERIDZE(Director of Business School of Shota Rustaveli State University); **KHATUNA BURCHULADZE** (responsible secretary); **GIVIGAMSAKHURDIA; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI** (Rector of Akhaltsikhe State University); **SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI** (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI; VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian Federation); **ALEKSEY DANILCHENKO** (State University of Byelorussia, Minsk); **WOLFGANG WENG** (Berlin, Germany); **SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY** (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA** (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); **VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agroculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Germany); **ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV** (Dean of Commerc Faculty of Azerbaijan State Economical University); **IOSEB MASURASHVILI; SHALVA MACHAVARIANI** (Vice-President of Caucasus University in sciens field); **IAKOB MESKHIA; ELGUJA MEQVABISHVILI; TEA MUNJISHVILI; DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; YURIY ROBUL**(Odesa

I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **VAKHTANG SARTANIA**(Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); **ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science); **GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA**(Academician of Aesthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE** (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); **LARISA KORGANASHVILI; TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **FAIA SHULENBAYEVA**(University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **LALI CHAGELISHVILI** (Head of Department of Degree of Guram Tavartkiladze University); **MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science) **NIKO CHIKHLADZE; AKAKI TSOMAIA; NODARKHADURI; ELENE KHARABADZE** (Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhishvili Tbilisi State University); **ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; NODAR KHASAIA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **EMZAR JGERENAIA** (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); **MICHAEL JIBUTI.**

შპო-დაიჯესტი

ეკონომიკური
სტატისტიკის
სახელმძღვანელო

მეცნიერება

ნიკო ჩიხლაძე – ეკონომიკის საფუძვლების სწავლების საკითხისათვის 8

გონა თუთუაშვილი, ანაბა კუჭუღია – საქართველოს საბანკო სისტემის ლიკვიდობის, კაპიტალის
და აქტივ-პასივების ხარისხის შესახებ პოსტკრიზისულ პერიოდში 12

ლოიძ ქარჩავა – კომუნიკაციის კულტურა ბიზნესში 22

ნინო ჯოჯუა – პარეტოს პრინციპი ანუ როგორ გამოვიყენოთ რესურსები ოპტიმალურად 26

ემზარ ჯულაყიძე – მოტივაცია – მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია 31

ელზა ბალაშვილი, ზაირა ღუჭუაშვილი - კომპანიების სასიცოცხლო ციკლი და ორგანიზაციული
განვითარება 36

შოთა ვეშაყიძე, ელზარდ კავთიძე – შრომის სტიმულების გამოყენების უცხოური გამოცდილება
და საქართველო 41

რუსუდან პაპასკირი – ფირმის საფინანსო მექანიზმი: არსი, ქვესისტემები, ელემენტები და
სტრუქტურა 45

ინგა კულიანი - ბიზნესის რეგიონული განვითარების პრობლემები საქართველოში 48

იური ქარჩავა - საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ 52

**НАДЕЖДА КАЗАКОВА, ОЛЕСЯ АЗАРЕНКОВА - ТЕНДЕНЦИИ ФИНАНСИРОВАНИИ
АЛЬТЕРНАТИВНЫХ ТОПЛИВНО - ЭНЕРГЕТИЧЕСКИХ РЕСУРСОВ В МИРЕ 56**

სტატისტიკური ხელვა

ბიორგი ადუიშვილი - მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო 63

თამარ ჯაბუა - ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შეხედულებანი და თანამედროვეობა 70

რეზერატები

შესრულის ეკონომიკური სიახლეები 80

344

ახალი ეკონომისტი



ECO-DIGEST

SCIENCE

NIKO CHIKHLADZE – TO THE ISSUE OF FUNDAMENTALS OF ECONOMICS 8

GOCHA TUTBERIDZE, PAATA KUNCHULIA– ONLIQUIDITY, CAPITAL AND ACTIVE-PASSIVE QUALITY OF BANKING SYSTEM OF GEORGIA IN POST-CRISIS PERIOD 12

LOID KARCHAVA – CULTURE OF COMMUNIKCATION IN BUSINESS 22

NINO JOJUA - PRINCIPLE OF PARETO OR HOW TO MAKE OPTIMUM USE OF BUSINESS RESOURCES ... 26

EMZAR JULAKIDZE – MOTIVATION – AS A MOST SIGNFICANT FUNCTION OF MANAGEMENT . 31

ELZA BALASHVILI, ZAIRA GUDUSHAURI – ORGANIZATION DEVELOPMENT AND LIFE CYCLE OF COMPANY 36

SHOTAVESHAPIDZE, EDUARD KAVTIDZE - FOREIGN EXPERIENSE OF USE LABOUR STIMULI AND GEORGIA 41

RUSUDAN PAPASKIRI - FINANCIAL MECHANISM OF THE COMPANI: IDEA, SUB-SYSTEMS, ELEMENTS AND STRUCTURE 45

INGA KULIANI - BUSINESS REGIONAL DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA 48

IURI KARCHAVA – ABOUT TAX-LAW RELATIONSHIPS 52

NADEZHDA KAZAKOVA, OLESIA AZARENKOVA - TRENDS IN FUNDING OF ALTERNATIVE FUEL AND ENERGY RESOURCES IN THE WORLD 56

STUDENT'S LOOK

GIORGI ADEISHVILI - THE GLOBAL ECONOMIC CRISIS AND GEORGIA 63

TAMAR JABUA - TAXATION OF AGRICULTURE IN GEORGIA 70

SUMMARIES 76

FOREING ECONOMIC NEWS 80

საქართველოს უნივერსიტეტი

ეკო-დაიჯესტი

ეკო-დაიჯესტი

ღვინის მწარმოებლები ყურძნის სიძაფის იმედოვნებენ

ღვინის მწარმოებლები მიიხედავიან, რომ წლეულს ყურძნის ჩასაბარებელი ფასი 40 თეთრს არ გადააჭარბებს. თუმცა, კონკრეტულად რამდენი იქნება ბაზარზე ფასები რთველის დაწყების შემდეგ, ამის ზუსტად განსაზღვრა კომპანიებს უჭირთ. შარშანდელი რთველის დასაწყისში 1 კგ. თეთრი ყურძნის ფასი (60-65 თეთრი) მედიანებს შეუსაბამო ფასად მიიჩნიათ. წლეულს კარგ მოსავალს ელიან, ბაზარზე ყურძნის ნაკლებობა არ იქნება და ღვინის მწარმოებლები ფასს 35-40 თეთრის ფარგლებში იმედოვნებენ. სუბსიდიის წლეულსაც გაიცემა – ჩაბარებულ 1 კგ. თეთრ ყურძენზე მთავრობა დამატებით 15 თეთრს გადაიხდის, ხოლო საფერავზე 25 თეთრს.

ახვისტოს ინფლაცია 7,2%-ია

საქართველოში ინფლაციის დონემ 2011 წლის აგვისტოში, შარშანდელ აგვისტოსთან შედარებით, 7,2% შეადგინა, ხოლო გასულ თვესთან შედარებით, „საქსტატის“ ცნობით, ინფლაციის დონე 1,1%-ით განისაზღვრა. წლეულს ინფლაცია ყველაზე მაღალი მაისში იყო (14,3%). საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვარაუდით, საქართველოში წლის ბოლოსათვის ინფლაცია 8,5% იქნება. აგვისტოსთვის, წლის განმავლობაში, სურსათი და უაღკაოლო სასმელები 12,5%-ით გაძვირდა, ხოლო ტრანსპორტის სექტორში ფასებმა 18,3%-ით მოიმატა; ამასთან, 13,7%-ით გაიზარდა კავშირგაბმულობის მომსახურება.

მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების აქტიუზი ბაიზარმა

საქართველოში მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივების მოცულობა 2011 წლის II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, 10%-ით გაიზარდა და თითქმის 360 მლნ ლარს მიაღწია. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ცნობით, II კვარტალში მიკრო-საფინანსო

ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელმა წინა წელთან შედარებით 56,2%-ით მოიმატა (272 მლნ-მდე), ხოლო ჯამურმა გაუნაწილებელმა მოგებამ ამ კვარტლის ბოლოსათვის 39 მლნ ლარს მიაღწია. ამავე პერიოდში ბაზარზე ოთხი ახალი მიკრო-საფინანსო ორგანიზაცია ამოქმედდა და სულ მათმა რაოდენობამ 57-ს მიაღწია.

საგარეო ვალი ბაიზარმა

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი 2011 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, \$4,248,001,000-ია, რაც შარშანდელ იმავე დროსთან შედარებით 18,8%-ით მეტია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული სახელმწიფო ვალი \$564,75 მლნ-ია, საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ვალის ნაშთი \$3,053 მლრდ-ს შეადგენს, ხოლო ორმხრივი კრედიტორების მიმართ ვალის ნაშთი \$626,625 მლნ-ია.

შარყოფითი სავაჭრო სალდო ბაიზარმა

საგარეო სავაჭრო ბრუნვის 2011 წლის იანვარ-ივლისის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს ყველაზე დიდი უარყოფითი სალდო თურქეთთან აქვს – მთელი უარყოფითი სავაჭრო სალდოს 22% (\$541,946 მლნ.), შემდეგ მოდიან უკრაინა (\$345,677 მლნ.) და ჩინეთი (\$245,888 მლნ.). სულ, მიმდინარე წლის დამდევიდან ივლისის ჩათვლით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა 131 ქვეყანასთან, საიდანაც დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს მხოლოდ 21 ქვეყანასთან, ხოლო უარყოფითი კი შესაბამისად – 110 ქვეყანასთან. მთლიანობაში უარყოფითმა საგარეო სავაჭრო ბალანსმა \$2,459 მლრდ შეადგინა, რაც 35%-ით მეტია შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით.

თხილის შესასყიდვად ფასმა მოიმატა

თხილის საქსპორტო კომპანიის დამუშავებლის ბეგი სიორიდის განაცხადებით საქართველოში წელს თხილის საუკეთესო, აქამდე არნახული მოსავალია. მისივე განცხადებით, მთელი

საქართველოში ინფლაციის დონე



ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 35 ათას ტონამდე მოსავალი იქნება მოწეული. დღეისათვის 1 კილოგრამი მაღალხარისხიანი თხილის შესახედი ფასი საქართველოში 2,80, ხოლო უფრო დაბალხარისხიანის კი 2,25 ლარია. ზოგადად მსოფლიოს თხილის ფასს თურქეთი კარნახობს, სადაც წლეულს მოსავალი შედარებით ნაკლები მოვიდა, ამიტომ ჩვენთან, უხეი მოსავლის მიუხედავად, თხილზე მაღალი ფასი დამყარდა. ნაჭუჭიანი თხილის საქსპორტო ფასი ამჟამად 2,60-2,65 დოლარია, მაქსიმალურ ოდენობას კი თებერვალში აღწევს, თუმცა, ძნელი იმის წინასწარ განსაზღვრა თუ სადამდე შეიძლება ის გაიზარდოს.

სიმინდის აღება დაიწყო

კახეთში ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის მოსავლის აღება აგვისტოს ბოლოს დაიწყო და ოქტომბრის დასაწყისამდე გაგრძელდება. ჰიბრიდული სიმინდი სულ 23,4 ათას ჰექტარზეა დათესილი.

რუსთავის „აზოტი“ კოტრდება

რუსთავის „აზოტის“ ყოფილი მფლობელის, „ენერჯი ინვესტის“ გაკოტრების პროცედურა დაიწყო. კომპანიის მენეჯმენტის განცხადებით, კრედიტორთა ჯამური მოთხოვნა „ენერჯი ინვესტის“ მიმართ 75 223 581 ლარია. კომპანიის ქონება 5200 ლარის ოდენობის საღაროს ნაშთით განისაზღვრა. „ენერჯი ინვესტს“, რომელიც რუსთავის „აზოტს“ 2004-2010 წლებში ფლობდა ამ დროისათვის შეწყვეტილი აქვს ყოველგვარი სახის სამეწარმეო საქმიანობა, რის გამოც მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეუძლია.

ძარხანას მისაკუთრე შეეცვალა

შპს „თბილისის რელსშესადგულებელი ქარხნის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მფლობელი შპს „ჯეოპლაზა“ გახდა. ობიექტი ელექტრონულ აუქციონზე მიმდინარე წლის 31 აგვისტოს გაიყიდა 3,5 მლნ ლარად. ძარხანას აქვს 96,828 ლარის დებიტორული და 941,218 ლარის კრედიტორული დავალიანება. აუქციონზე გამარჯვებული კომპანია ვალდებულია ობიექტის საფასური აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარულ დღეში გადაიხადოს.

მეორე ინსტანციის სასესიო დღეზე დამარცხების შემდეგ, „მაგთი“ პორტაბელობის საფასურის მართებულობას კომუნიკაციების კომისიაში გაარკვევენ. ოპერატორების ცნობით, ტარიფის გადაანგარიშების მოთხოვნა კანონის თანახმად შეუძლიათ. დავა კომპანიებმა რამდენიმე თვის წინ დაიწყეს, მოგვიანებით სარჩელი გააერთიანეს და ის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს. ოპერატორები აპროტესტებდნენ პორტირების ტარიფს (38 ევროცენტი), რომელიც ნუმერაციის სრულ რესურსს ეკისრება. კომპანიებმა ამ მიზეზით ნუმერაციის რესურსის ნახევარზე მეტი უკან დააბრუნეს. პორტაბელობის მონაცემთა ცენტრალური ბაზა წლეულს თებერვლიდან ამოქმედდა.

პორტირებაში „ჯეოსელი“ ლიდერობს

კონკურენტი კომპანიებიდან პორტირებული აბონენტების რაოდენობით „ჯეოსელი“ ლიდერობს. კომუნიკაციების კომისიის ცნობით, 12 სექტემბრის მდგომარეობით, „ჯეოსელიდან“ სხვა მობილურ ქსელში 21600 აბონენტი გადავიდა, ხოლო კონკურენტი კომპანიებიდან 32700 აბონენტი გადაპორტირდა. მეორეზე „მობიტელია“, საიდანაც 13200 აბონენტი გადავიდა, ხოლო თავად 15100 შეიძინა. „მაგთიკომში“ 21700 აბონენტი გადავიდა და 34700 წავიდა.

ქართული ღვინის ექსპორტი

ქართული ღვინის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის მოცულობა ბოლო წლებში მართალია იზრდება, თუმცა, 2005 წლის დონემდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ქართული ღვინის ექსპორტმა პიკს 2005 წელს მიაღწია, როცა შემოსავალი \$81,3 მილიონამდე გაიზარდა, წინა წლის \$48,7 მლნ-დან. 2006 წელს კი ღვინის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი \$41 მილიონამდე დაეცა, რაც ქართული ღვინის რუსული ემბარგოთი იყო გამოწვეული. შესაბამისად, ახალი ბაზრის ძიების პროცესში, 2007 წლისათვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესდა და \$29,2 მილიონამდე დავიდა, თუმცა, 2010 წლისათვის ქართული ღვინის ექსპორტმა მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო, სწორედ ამ ახალი ბაზრების ათვისების ხარჯზე. შედეგად, კი 2010 წლისათვის ქართული ღვინის ექსპორტიდან

ახალი ეპიკონიტი



მიღებული შემოსავლის მოცულობამ მიადწია \$39,2 მლნ-ს. რაც შეეხება მიმდინარე წელს, 2011 წლის შვიდი თვის მონაცემებით ქვეყნიდან ექსპორტირებული ღვინიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 27,51 მილიონ აშშ დოლარს.

საწარმოთა ბრუნვა 6,76%-ით გაიზარდა

ეკრძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში შემცირდა. „საქსტატი“ მონაცემებით, 2011 წლის II კვარტლისათვის დასაქმებულთა რაოდენობის კლება 3,6% იყო და მომუშავეთა რაოდენობა 352,1 ათას ადამიანამდე ჩამოვიდა. თუმცა, 6,76%-ით გაიზარდა საწარმოთა ბრუნვა (6,12 მლრდ ლარამდე), 12%-ით გამოშვებული პროდუქციის მოცულობა (3,341 მლრდ ლარამდე), 13,8%-ით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება (683,9 ლარი). ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის 84,5% მსხვილ ბიზნესზე მოდის. იმავედროულად, 2011 წლის I კვარტლისთვის, წლის განმავლობაში, დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 2,4%-ით გაიზარდა.

„კიბალის ბანკის“ აქციების ვაშავსობა შემსყიდულია

„აფრიკულმა ბანკმა, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს ლადო გურგენიძე ხელმძღვანელობს, IPO-ზე 300.304.400 აქცია განათავსა. მათ შორის 166.387.000 ახალგამოშვებულად, ხოლო 133.467.400 – რუანდის მთავრობის მიერ გამოტანილი აქციაა. შეთავაზების ფასმა 1 აქციაზე 125 რუანდული ფრანკი (\$0,209) შეადგინა. „კიბალ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლადო გურგენიძის განმარტებით, აქციების უმრავლესობა უკვე შესყიდულია. რუანდულ ბანკს, რომლის აქციების 66,33%-ი სახელმწიფო საკუთრებაშია (რუანდის მთავრობის მფლობელობაშია), ლ. გურგენიძე 2009 წლის ზაფხულიდან მართავს.

2011 წლის I კვარტლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 174 მილიონი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. „საქსტატი“ მონაცემებით, ეს 2,3-ჯერ მეტია 2010 წლის მონაცემზე და 1,5-ჯერ - 2009 წლისაზე. კიპროსიდან \$41,4 მლნ-ია დაბანდებული. მეორე პოზიციაზე გაერთიანებული სამეფოა (\$28,7 მლნ.), მესამეზე ნიდერლანდები (\$25,1 მლნ.). რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, წლეულს I კვარტალში რუსეთიდან \$19,8 მლნ-ი იქნა დაბანდებული, თურქეთიდან - \$13,9 მლნ-ი, ხოლო აზერბაიჯანიდან კი - \$11,7 მლნ-ი. უცხოური ინვესტიციების 22,9% (\$39,8 მლნ.) საფინანსო სექტორში ჩაიდო, \$19,9 მლნ. ენერჯეტიკაზე მოდის, \$14,4 მლნ. – მშენებლობაზე, ხოლო უძრავი ქონების სფეროში, ამ პერიოდისათვის \$7 მლნ-ი იქნა დაბანდებული.

„საქპატენტო“ ქართული ყველის უფლებების დაცვას იწყებს

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადების საფუძველზე 19 დასახელების პროდუქციის დაპატენტების პროცესს იწყებს. ადგილწარმოშობის მინერალური წყალი სამია („ბორჯომი“, „ნაბეღლავი“ და „საირმე“), ხოლო დანარჩენ 16 დასახელებას შორისაა „სულუგინი“, (შებოლილი „სულუგინი“), „მეგრული სულუგინი“, „სევანური სულუგინი“, „იმერული ყველი“, „ქართული ყველი“, „თუშური გუდა“, „გუდა“, „მესხური ჩეჩილი“, „აჭარული ჩეჩილი“, „დამბაღ ხაჭო“, „ტენილი“, „ჩოვი“, „კობი“, „მაწონი“, „ჭაჭა“, „ჩურჩხელა“. ამ დროისათვის ევროკავშირთან ხელმოწერილი ხელშეკრულებით, ევროპის ქვეყნებში ქართული ადგილწარმოშობის 18 ღვინოა დარეგისტრირებული.

„ეკო-დაიჯესტი“ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა თამთა ფაქაძემ



ეროვნული
ნივლიერთება

ნიპო ჩიხლაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

ახალი ეკონომისტი

ადამიანებს შორის სამეურნეო ურთიერთობები, ანუ ფართო გაგებით ეკონომიკა, საზოგადოების ჩამოყალიბებიდან იღებს სათავეს. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური მეცნიერება შედარებით ახალი დროის – შუა საუკუნეების “პროდუქტია”, თუმცა, როგორც ბევრი სხვა მეცნიერება, იგი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა. როგორც ცნობილია, ტერმინ “ეკონომიკის” შინაარსი საოჯახო მეურნეობის წარმართვის ხელოვნებასთან არის გაიგივებული. თანამედროვე პირობებში ამ ტერმინმა განსხვავებული დატვირთვა შეიძინა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით რესურსების ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებას დაუკავშირდა.

კვანტურ ფიზიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი მაქს პლანკი აღნიშნავდა, რომ მოღვაწეობა დაიწყო როგორც ეკონომისტი, მაგრამ სირთულის გამო მიატოვა ეს პროფესია. თანამედროვე მათემატიკური ლოგიკის პიონერმა ბერტნარ რასელმა კი განაცხადა, რომ ეკონომიკის შესწავლა მისი სიმარტივის გამო მიატოვა. ეკონომიკური ციკლის სახელმწიფო რეგულირების თეორიის ავტორი, ჯონ მენარდ კეინსი აღნიშნავს, რომ ეკონომისტი ერთდროულად უნდა იყოს მათემატიკოსი, ისტორიკოსი, სახელმწიფოთმცოდნე და ფილოსოფოსი. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მათთან ერთად ეკონომისტისათვის ტექნოლოგიისა და ფსიქოლოგიის ცოდნის აუცილებლობასაც მოიხსენიებენ.

დასახელებული მაგალითები მიანიშნებენ ეკონომიკური მეცნიერების მრავალწახნაგოვნებას და შესაბამისად, შესწავლა-ათვისების სირთულესაც. საბჭოურ პერიოდში ეკონომიკის საფუძვლების (პოლიტეკონომიის) შესწავლა ფაქტობრივად იდეოლოგიის რანგში იყო აყვანილი

- კარგ ეკონომისტად ვერ ჩაითვლებოდი, თუკი კარგი მარქსისტი არ იყავი. [3, გვ. 3-4]

საზოგადოების სოციალური შეკვეთა საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერებების დარგში კადრების მომზადებაზე და საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლებაზე, ასევე საკომანდო ეკონომიკის პრაქტიკოსთა მომზადებაზე განაპირობებდა შემდეგ თავისებურებებს:

1. რეალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან “გაქცევა”, თავის არიდება, რაც გამოიხატა დაგეგმვაში რთული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენების აუცილებლობით. ამ მოდელების ცოდნით დატვირთული მომავალი ეკონომისტები სულ სხვა მიმართულებით ვითარდებოდნენ, რომელიც არცთუ ახლოს იყო რეალობასთან.

2. პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სტუდენტები მიზნად ისახავდნენ “საკომანდო ეკონომიკის” ინსტრუქციების, წესების და რეგლამენტების შესწავლას და შესრულებას და ვერ იძენდნენ შემოქმედებითი ძიებისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უნარებს. [8]

3. სტუდენტთა მომზადება იდეოლოგიზაციის და ქვეყნის დახშულობის პირობებში პრაქტიკულად მთლიანად იყო მოწყვეტილი დასავლეთის თანამედროვე ეკონომიკური აზრის მიღწევებს, რაც იწვევდა დოგმატიზმსა და შეზღუდულ აზროვნებას (თსუ-ში სწავლის პერიოდში, არაოფიციალურად ვიცოდით, რომ პოლიტეკონომიის სწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაგვეთმო ყოველი თავის ბოლოს განთავსებული ჩანართისათვის “ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა”, სადაც ნაწილობრივ ხდებოდა აღნიშნული ხარვეზის შევსება – ავტორი).

ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკის საფუძვლების, ეკონომიკის პრინციპების)



დისციპლინის წამყვანთა დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფი, “ორთოდოქსები”, რომლებიც იდეურად იცავენ შრომის ღირებულების თეორიას, ანუ კლასიკური პოლიტეკონომიის მომხრენი (თუმცა, ამას შეიძლება პრაქტიკულად ნაკლებად ამუღანებდნენ). მეორე ჯგუფია, ეკონომიკსის, ეკონომიკის პრინციპების) “აპოლოგეტები”, რომელთაც სწრაფად აითვისეს ამერიკული მაგალითები. მესამე კი მათი კომბინირებული ვარიანტია, რომლებიც საჭიროდ მიიჩნევენ ამ დოქტრინების ერთიანობას. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ წინ ვერ აღუდგა რა ახალ სწავლებათა ცდუნებას, ბევრმა “მარქსისტმა” შეძლო გადაფასების რთული პროცესის გავლა.

წლების წინათ საქართველოში იყო მცდელობა მექანიკურად შეერწყათ პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკი. არგუმენტებს აერთიანებდა კვლევის ობიექტების ერთიანობა - რეალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკა. თუმცა, ეკონომიკური მეცნიერებების ამ ორი მიმართულების ფილოსოფია და მეთოდოლოგია არსებითად განსხვავებულია (ერთ მათგანს საფუძვლად უდევს შრომის ღირებულების თეორია, ხოლო მეორეს ზღვრული სარგებლიანობის თეორია). კონცეპტუალური საფუძვლების განსხვავება არ იძლევა მათი გაერთიანების საშუალებას.

ეკონომიკურმა მეცნიერებამ არ უნდა მოახდინოს ეროვნული ინტერესების იგნორირება. მსოფლიო ერთიანობა და ინტეგრაციული პროცესებისაკენ სწრაფვა არ კრძალავს მის მრავალწახნაგოვნებას. ამ მხრივ საშიშია ორი უკიდურესობა: ეროვნული ინტერესების გაფეტიშება და “ვესტერნიზაცია”. თანამედროვე პირობებში მოდურად იქცა მაქს ვებერის კაპიტალიზმის განსაკუთრებული “სული”, რაც აუცილებელია რაციონალური ბაზრისათვის. ვებერის მიხედვით, კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია აზროვნების, ფასუელობების, ასევე ადამიანთა განსაკუთრებული ტიპი, რაც კიდევ უფრო დამაფიქრებელია საქართველოში კაპიტალიზაციის პროცესთან დაკავშირებით.

ეკონომიკური სწავლების მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს გვათავაზობენ ქართველი მეცნიერი-ეკონომისტები. პროფ. რ. კაკულია ეკონომიკის სწავლებას მართებულად უკავშირებს ეკონომიკური რეფორმების შედეგიანობას და აღნიშნავს: “რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჭეშმარიტებას თვალი გაგვსწოროთ და განვაცხადოთ, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების პროცესი დაიწყო და მოუმზადებლად

და ეკონომიკური თეორიის ელემენტარული ცოდნის გარეშე”. [2, გვ. 3]

მართლაც, მსოფლიო ღირებულების უმრავლესობა ამჟამად ეკონომისტებისაგან იღებს რჩევებს და რეკომენდაციებს ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესახებ, პოლიტიკა კი თეორიის გარეშე უაზრობაა. ამასთან, რაც მეტია შეცდომები ფაქტებსა და ანალიზში (თეორიაში), მით უფრო არაეფექტანია და მიუღებელია საზოგადოებისათვის ეკონომიკური პოლიტიკა. ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკის ერთიანობას, ნაწილი კი მიჯნავს მათ” [4].

პროფესორები ი. მესხია და რ. ბასარია მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური თეორია ახლო პოლიტიკურ ეკონომიასთან (არატრადიციული გაგებით), მისი გაგრძელება და განვითარებაა, თუმცა “ის უფრო ახლოა იმ დისციპლინასთან, რომელსაც დასავლეთის ბევრ ქვეყანაში “ეკონომიკს“-ს უწოდებენ. ამასთან შეცდომა არ იქნება, თუ ეკონომიკური თეორიის სინონიმად ეკონომიკსთან ერთად პოლიტიკურ ეკონომიასაც ვისმართ, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველგვარ იდეოლოგიზაციას გამოერიცხავთ... ეკონომიკური თეორიის საფუძვლები (და ეკონომიკი) უპირველეს ყოვლისა, აკადემიური (ე.ი თეორიული) საგანია და არა ვიწრო პროფილური, თუმცა ეს არ ნიშნავს ამის გამო პრაქტიკული საქმიანობისათვის მისი ცოდნის ნაკლებ აუცილებლობას”. [1, გვ. 14-15]

აკადემიკოსი ლ. ჩიქავა მიჯნავს რა ეკონომიკსსა და ეკონომიკურ თეორიას, მიიჩნევს, რომ ეკონომიკი რეგულირებადი, სოციალურად ორიენტირებული შერეული საბაზრო ეკონომიკის თეორიაა, ხოლო “ეკონომიკური თეორია (პოლიტეკონომია) სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, ეპოქის ცვალებადობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, ეკონომიკური კანონების მოქმედებას... დოვლათის წარმოების განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროში”. [7, გვ. 4-5]

ამერიკელი პროფესორები ს. ბრიუ და კ. მაკკონელი აღნიშნავენ, რომ “ეკონომიკი შეისწავლის შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტიანი გამოყენების ან მართვის პრობლემებს ადამიანის მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით”. [10, გვ. 3]

იოზეფ შუმპეტერი მართებულად მიიჩნევდა, რომ “ეკონომიკური თეორიის სქემატური აგებები უნდა ჩანდეს ინსტიტუციონალურ კონტექსტში, რასაც ეკონომიკური ისტორია გვაძლევს; მხოლოდ

ახალი ეკონომიკი



ახალი ეკონომისტი

მას შეუძლია გეაცნობოს, როგორი იყო სასოგადოება, რომლის მიმართაც გვესურს თეორიული სქემების გამოყენება”. [9]

ამდენად, არა ეკლექტიკური სინთეზი ძირითადი თეორიებისა, არამედ ამა თუ იმ დებულების გამოყენების პირობებისა და საზღვრების დადგენა წარმოგვიდგენია შესაძლო ნაყოფიერი სინთეზის წანამდგვრად. დასავლური რეცეპტების ბრმა გადმოღება, ქართული რეალობის გათვალისწინების გარეშე ეკონომიკური დისციპლინების სწავლების პროცესში არ იქნება მართებული. მაგალითად, პრიმიტიული მონეტარიზმის განდიდება და ყველა სხვა ეკონომიკური სკოლის იგნორირება ნიშნავს “ვესტერნიზაციის” მომხრეთა მიერ ეროვნული სამეურნეო ტრადიციების და ეკონომიკის სწავლებაში დაგროვილი სამამულო გამოცდილების სრულ იგნორირებას.

მიუღებლად მიგვაჩნია საბაზრო მექანიზმების ახსნა მხოლოდ (ან ძირითადად) ამერიკული და ევროპული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით. ეკონომიკის სწავლების პროცესში მიზანშეწონილია კურსი აიგოს ეროვნული სამეურნეო ტრადიციების მაგალითებისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციების მოშველიებით. სამწუხაროდ, ასეთი სახელმძღვანელოები ქართულ რეალობაში არცთუ ბევრია.

ეკონომიკის საფუძვლების შესწავლისას მნიშვნელოვანია თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის პრობლემა. რაც დრო გადის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის კურსდამთავრებულთათვის სულ უფრო მწვავედ დგება ეს საკითხი. რეალურად, მათი დასაქმების სფეროებად ძირითადად შეიძლება მოვიხსოვროთ კერძო სექტორი და სახელისუფლებო რეოლების ე.წ. “ეკონომიკური ბლოკი” (ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა ზედმეტად “შეცარი” და კლასიკურია ჩვენი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორში, რამდენადაც დასაქმების პროცესში სპეციალობის გათვალისწინება ერთგვარ პირობითობად იქცა. – ავტორი).

ეკონომიკის საფუძვლების შესწავლა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ძირითადად ზოგადი მიმართულების სახელმძღვანელოებით. სასწავლო კურსები ხშირად ითვალისწინებენ ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა ეკონომიკური თეორია, მიკრო და მაკროეკონომიკა, ანუ რასაც უცხოეთში აერთიანებს “ზოგადი ეკონომიკა” (General Economics) ან უბრალოდ “ეკონომიკა”. მართალია

დასახელებული “უცხოური” სახელმძღვანელოები თითქოს მეტი “პრაქტიკულობით” გამოირჩევიან, მაგრამ როგორც გამოცდილება გვჩვენებს, კურსდამთავრებულებს სხვა რეალობა ხვდებათ. მაგალითად, განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში განუსაზღვრელია მოთხოვნა-მიწოდების და წონასწორობის საკითხები, რომლებიც სახელმძღვანელოებში ერთსაქონლიანი მოდელის ფარგლებში გვეხვდება, პრობლემურია ასევე ინფორმაციის ასიმეტრიულობა, რისკი და განუსაზღვრელობა, სამორტიზაციო ფონდების არარსებობა და ა.შ.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის საფუძვლების (თეორიის) სწავლების საჭიროებასა და აუცილებლობაზე არ ვდაობთ. მეტიც, ვეთანხმებით პროფესორებს ა. აბრალავასა და პ. ლემონჯავას იმ საკითხში, რომ “საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვერც ერთ სპეციალისტს ვერ ექნება სრულყოფილი განათლება ეკონომიკის, მისი პრინციპების გარეშე... ეს კურსი უნდა იკითხებოდეს უმაღლეს სასწავლებელთა ყველა ფაკულტეტზე”. [5]. თუმცა, იმ პირობებში, როცა საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, გარდაუვალად მიგვაჩნია წავიდეთ თეორიისა და პრაქტიკის დაახლოების გზით. ეს რთული ამოცანაა და მოითხოვს ახალი სახელმძღვანელოების მომზადებას, პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეულ გადამზადებას, სტუდენტთა მიმართ უფრო მკაცრი პირობების ფორმულირებას. მაგნი მიიჩნევენ, რომ პრობლემის მოგვარების ერთადერთი რეცეპტი გაძლიერებული მათემატიზაციაა. სინამდვილეში აუცილებელია ეკონომიკური პრობლემებისადმი მეტი მიწოდებისა და პრაქტიციზმის შექმნა.

ეკონომიკის საფუძვლების სწავლების საკითხი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ბოლო წლებში ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სპეციალობები ერთ-ერთ პრესტიჟულად ითვლება: 2007-2008 სასწავლო წელს საქართველოში, ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში, სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის პროგრამებზე აღირიცხა 8618 კურსდამთავრებული (საერთო რიცხოვნობის 19%), 2008-2009 სასწავლო წელს 5482 (17%), ხოლო 2009-2010 სასწავლო წელს 3986 (23%). კიდევ უფრო პრესტიჟულია აღნიშნული სპეციალობები კერძო უმაღლეს სასწავლებლებში: დასახელებულ სასწავლო წლებში ისინი შეადგენენ შესაბამისად კურსდამთავრებულთა 19, 17 და 23%-ს. [6]

ამდენად, ჩვენ არც “ვესტერნიზებული” და მხოლოდ პრაქტიკით გაჯერებული ეკონომიკის



სწავლება გეგმირდება და არც ზედმეტად თეორეტიზებულია. ბუნებრივია, ეკონომიკური მეცნიერება იდეოლოგიას ვერ გაექცევა თუმცა, იგი რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილი და “შტამპიანი” არ უნდა იყოს. სამართლიანად აღნიშნავენ ამერიკელი პროფესორები ს. ბრიუ და კ. მაკკონელი, რომ თანამედროვე მსოფლიოს იდეოლოგიები მნიშვნელოვანწილად განისაზღვრადიდი ეკონომისტების ადამ სმიტის, დევიდ რიკარდოს, კარლ მარქსის, ჯონ სტიუარტ მილსის, ჯონ შეინარდ კეინსის ნააზრევით. [10, გვ.4]. მაქსიმალიზმი თითქმის ყოველთვის დამღუპველია (მაგ., ნაკლებად იდეოლოგიზებული სრულად არ არის გრ. მენქიუს “ეკონომიკის პრინციპები”, რომელშიც ვაუდენთილია “ვესტერნიზაციის” იდეოლოგიური მომენტებით და წარმატებით გამოიყენება უმაღლეს სასწავლებლებში – ავტორი).

ზემთ დასახელებული სირთულეების გათვალისწინებით, პრობლემის შემსუბუქების მიზნით, საჭიროდ მივიჩნევთ:

1. თავი ავარიდოთ ძირითადი თეორიების ეკლექტიკურ სინთეზს და მოვახდინოთ იმ დებულებების გამოყენების პირობებისა და საზღვრების დადგენა, რაც შესაძლო ნაყოფიერი სინთეზის წინამდგარად უნდა იქცეს.

2. აუცილებელია ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა მონაწილეობით შემუშავდეს ახალი

ნაშრომი “ეკონომიკის საფუძვლები”, რომელიც გათვლილი იქნება ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სპეციალობის ბაკალავრებისათვის.

3. ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით, ასევე ცალკე უნდა შემუშავდეს ამოცანების, სავარჯიშოებისა და ტესტების კრებული თეორიული სახელმძღვანელოს შინაარსის შესატყვისი იქნება.

4. რამდენადაც ეკონომიკური მეცნიერება არ არის მხოლოდ წარსულის ახსნა და აწმყოს ანალიზი და იგი მომავლის პროგნოზაც მოიცავს, მან სამი უცილობელი ბლოკი უნდა მოიცავს: ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ეკონომიკის საფუძვლები/ ეკონომიკის და საქართველოს ეკონომიკა.

5. კურსის აგების პროცესში პირველი რიგის ამოცანად უნდა იქნას განხილული კურსის პრაქტიკულობის მაღალი ხარისხი. სწორედ ეკონომიკურმა თეორიამ უნდა იყოს პრაქტიკასა და თეორიას შორის “ხიდის გადების” ურთულესი მისია.

6. უარი ვთქვათ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური თეორია ხშირად მიზნად ისახავს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის ზოგადი გზის შემოთავაზებას და სტუდენტს სპეციალური დისციპლინებისაკენ გადაამისამართებს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასარია რ., მესხია ი., ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., 1996.
2. კაკულია რ., ეკონომიკური თეორია, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზამკვლევი. ურნ. “ეკონომიკური პროფილი”, №1. 2006.
3. პაპავა ვლ. და სხვ. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები (თეორიული ეკონომიკა). თბ., 1993.
4. პაჭკორია ჯ., “ეკონომიკის” თუ ერთიანი პოლიტიკური ეკონომია” ზუგდიდი, 1994; გველესიანი მ., ეკონომიკური თეორია: საგანი, პრობლემები, ამოცანები. თბ., კომენტარი, 1999; ასათიანი რ., ეკონომიკური თეორია და ეკონომიკის: ერთიანობა და განსხვავება. ეკონ. მეცნ. აკადემიის შრომები. ტ.3. თბ., 2002; გველესიანი მ., ეკონომიკის. თბ., კომენტარი”, 2000.
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნეტ-გამოცემა: www.news.gtu.ge (19.04.2010)
6. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალებზე დაყრდნობით (www.geostat.ge).
7. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997.
8. Грязнова А., Экономическая теория, болонское соглашение и нужды практики. журн. Ректор ВУЗ-а. №5, 2005; Камински Х., и др. Концепция экономического образования, подготовки экономистов на экономическом факультете (в рамках TEMPUS TACIS, Новосибирск, 1997); Экономическая теория на пороге XXI века (под. Ред. Ю. Осипова). М., «Юрист», 1998.
9. «Истоки: вопросы истории народного хозяйства и экономической мысли». Вып. 1., М., 1989.
10. Макконелл К., Брю С., Экономика. М., “Инфра-М”, 2000. т.1.



საქართველოს საბანკო სისტემის ლიკვიდობის, კაპიტალის და აქტივ-პასივების ხარისხის შესახებ კონსტრუქციული პერიოდში



გიორგი თუთბერიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი



კაკაბა კვენჭულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

საბანკო სისტემის

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ერთ-ერთ პრიორი-ტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება საქართველოს საბანკო სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიზანმიმართული გაგრძელება სტაბილური საბანკო სისტემისა და საბანკო სფეროში კონკურენ-ტუნარიანი გარემოს ფორმირების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოს საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემამ ძირეული ცვლილებები განიცადა, ის ჯერ კიდევ მგრძობიარე მთელი რიგი რისკების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლავ პრობლემატურია ქართული ბანკების საიმედოობა და მდგრადობა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თავი იჩინა ფინანსურმა სიძველეებმა, რაც კიდევ უფრო გააღრმავა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საბანკო სექტორის აქტივები. 2009 წელს ლიკვიდობის კრიზისის გამო პანიკურად გაიზარდა მოთხოვნილება ფიზიკური და იურიდიული პირების ფულად სახსრებზე, რასაც მოჰყვა მათი გადინება, ასევე, შეიქმნა სერიოზული პრობლემები გაცემული სესხების დაბრუნების კუთხით, ხოლო ლარის გაცვლითი კურსის დაცემის გამო კი იმატა არაპირდაპირმა დანაკარგებმაც. ყოველი-ვე ზემოთაღნიშნულმა, გააუარესა ქართული ბანკების ფინანსური მდგომარეობა.

2010 წლის დასაწყისიდან საქართველოს საბანკო სისტემაში შეიმჩნეოდა გარკვეული დადებითი ტენდენციები. კერძოდ, საბანკო სისტემის აქტივები გაიზარდა 5.1%-ით, ხოლო გასული წლის (2009 წელი) შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 10.9%-ით და თანხობრივად 8.7 მლრდ ლარს გადააჭარბა[1].

საბანკო სისტემის ზრდის ფონზე, ცხადია იზრდება საბანკო აქტივების, დეპოზიტებისა და სესხების შეფარდების მაჩვენებელი მოლიან შიდა პროდუქტთან (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1-დან ჩანს, რომ 2010 წლის ბოლოსთვის საბანკო აქტივების შეფარდება მშპ-სთან 49.4 % შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 5 %-ით, ხოლო 2007 წელთან შედარებით კი 7.7 პროცენტით მეტია.

ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სესხების თანაფარდობა მშპ-სთან- 25.5 % დან 28.7 %-მდე. 2007 წელთან შედარებით გაიზარდა დეპოზიტების მშპ-სთან შეფარდების მაჩვენებელიც, 17.4%-დან 28.3%-მდე.¹

ცხრილი 1-ის ანალიზიდან, ჩანს, რომ არსებობს საბანკო სექტორის ზრდისა და განვითარების დიდი პოტენციალი, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტიციის განხორციელებას ეკონომიკის ამ სექტორში.

1. შენიშვნა: აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2009 წელს მშპ-ს აბსოლუტური სიდიდის, ხოლო 2010 წელს კი მისი ზრდის ტემპის შემცირებას ჰქონდა ადგილი, რაც ზემოაღნიშნულ თანაფარდობებს ისედაც გაზარდდა.



ცხრილი 1. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი და საბანკო ქცევის ინდიკატორები

ზომის ერთეული	2007	2008	2009	2010
რეალური სექტორი				
ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი	16993.8	19074.9	17986.0	20791.3
საბანკო აქტივები/ მშპ თან, %	41.7	43.5	44.2	49.4
საბანკო სესხები/ მშპ თან, %	25.5	27.9	28.0	28.7
დეპოზიტები/ მშპ თან, %	17.4	14.9	17.1	28.3
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	3866.9	4352.9	4101.3	4686.5

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და საკუთარი გაანგარიშებები

2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე საქართველოს საბანკო სისტემა იზრდებოდა მაღალი ტემპებით, რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო საკრედიტო და სხვა თანამდგომი რისკებისადმი ლიბერალური მიდგომით და მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან არასათანადო რეგულაციით, რამაც საბოლოო ჯამში კომერციული ბანკები მიიყვანა არაჯანსაღი აქტივების შექმნამდე და შესაბამისად, აქტივების და კაპიტალის ხარისხის გაუარესებამდე. კრიზისულმა მოვლენებმა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა იურიდიული და ფიზიკური პირების შემოსავლებზე, რამაც ერთი მხრივ, შეაფერხა კრედიტების გაცემა და მეორეს მხრივ კი გაზარდა ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ბანკების უმეტესი ნაწილი დადგა ლიკვიდობის უმწვავესი პრობლემის წინაშე.


Al-Tamimi and Al- Mazrooei(2007)თანახმად, მათ შეისწავლეს საბანკო რისკების მართვა გაერთიანებული არაბული სამეზობლოების და უცხოური ბანკების კუთხით. ჩატარებული კვლევის შედეგად მათ იპოვეს სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორი. **უცხოური ვალუტის რისკი, საკრედიტო რისკი და საოპერაციო რისკი.** მათ აღმოაჩინეს, რომ არაბთა გაერთიანებული სამეზობლოები გარკვეულწილად ეფექტურები იყვნენ რისკის მართვაში. მათი შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი განსხვავება იყო გაერთიანებული არაბეთის სამეზობლოსა და უცხოური ბანკებს შორის განხორციელებული რისკების შეფასებით და ანალიზით, რისკების მონიტორინგით და კონტროლით.

2010 წლის ბოლოს, საქართველოს ეროვნულ ბანკში, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს შორის. შეთანხმებაზე ხელმოწერის მთავარი მიზანი იყო საბანკო კრედიტებზე ხელმისაწვდომობისა და პატიოსანი გადახდელების წახალისებით ხელი შეწყობოდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და ჯანსაღი ბიზნეს-გარემოს ფორმირებას.

ბანკებს მიეცათ საშუალება აქმაღლებინათ ლიკვიდობის მართვის ხარისხი, ერთის მხრივ საკორესპონდენტო ანგარიშის ონლაინ რეჟიმში მონიტორინგის გზით და მეორეს მხრივ, დღიური შიდა ლიკვიდობის მართვით, რაც უზრუნველყოფს უზრუნველყოფილი სესხების ავტომატიზირებულ გაცემას და მომსახურებას, ბანკთა შორის გირავნობისა და კრედიტების აღების ერთიანი სისტემის ფორმირებით.

საბანკო სისტემის ექსპრეს-ანალიზი წარმოდგენილია 2010 წლის შეფასებიდან, რადგან 2009 წელი პრაქტიკულად იყო 2008 წლის კრიზისული მოვლენებისა და ეკონომიკის რეცესიის გაგრძელების პერიოდი, რაც ერთის მხრივ აისახა ქვეყნის ეკონომიკის ვარდნაში და მეორეს მხრივ საბანკო სექტორის 65 მლნ. ლარიან ზარალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით 2010 წელი შედარებით ობიექტურად წარმოაჩენს საბანკო სისტემის განვითარების პერსპექტივებს და თანამდგომი წინააღმდეგობებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი



ეროვნული
ცენტრი
მეცნიერებაში

ახალი ეკონომიკა

ბანკის დასახელება	წელი საბანკო სექტორში							
	აქტივები	საკრედიტო დაბანდება	მთლიანი ვალდებულებები	დეპოზიტები	არასაბანკო ურთიერთობები და ფიზიკური პირების დეპოზიტები	მ.შ. იურიდიული პირთა დეპოზიტები	მ.შ. ფიზიკურ პირთა დეპოზიტები	სააქციო კაპიტალი
საქართველოს ბანკი	35,62%	35,45%	35,59%	33,38%	33,88%	38,66%	28,98%	35,74%
თი-ბი-სი ბანკი	22,19%	23,84%	22,31%	24,25%	24,59%	17,74%	31,63%	21,60%
პროკრედიტ ბანკი	7,81%	9,07%	8,02%	7,66%	8,26%	4,40%	12,23%	6,76%
ბანკი რესპუბლიკა	6,62%	7,05%	6,84%	7,50%	8,09%	6,65%	9,58%	5,48%
ლიბერთი ბანკი	5,56%	3,15%	6,16%	7,94%	7,97%	9,70%	6,21%	2,48%
ქართუ ბანკი	5,14%	7,06%	4,58%	2,32%	1,53%	1,75%	1,31%	8,03%
ეიჩ-ეს-ბი-სი ბანკი	3,81%	1,72%	4,12%	4,17%	4,48%	8,70%	0,15%	2,18%
ვი-თი-ბი ბანკი	3,35%	3,61%	3,34%	3,23%	3,48%	4,17%	2,77%	3,38%
კორ სტანდარტ ბანკი	2,89%	2,58%	2,84%	4,06%	3,20%	3,88%	2,51%	3,13%
პრივატ ბანკი	2,37%	2,26%	2,43%	2,71%	1,83%	1,61%	2,05%	2,08%
ბაზის ბანკი	1,29%	1,03%	1,29%	1,48%	1,60%	1,72%	1,47%	1,32%
ბი-თი-ეი ბანკი	1,00%	0,91%	0,84%	0,38%	0,32%	0,41%	0,23%	1,81%
ბანკი კონსტანტა	0,89%	1,16%	0,88%	0,05%	0,06%	0,03%	0,08%	0,92%
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი	0,47%	0,54%	0,45%	0,48%	0,37%	0,21%	0,54%	0,58%
ხალიკ ბანკი საქართველო	0,35%	0,15%	0,15%	0,16%	0,10%	0,16%	0,04%	1,40%
ზირაათ ბანკი	0,23%	0,02%	0,09%	0,13%	0,14%	0,15%	0,13%	0,97%
ინვესტ ბანკი	0,15%	0,18%	0,03%	0,05%	0,06%	0,02%	0,09%	0,77%
პროგრეს ბანკი	0,13%	0,16%	0,03%	0,02%	0,02%	0,03%	0,01%	0,65%
კავკასიის განვითარების ბანკი	0,12%	0,07%	0,01%	0,01%	0,01%	0,01%	0,00%	0,73%
კონსოლიდირებული	100,00%	100,00%	100,00%	100,00%	100,00%	100,00%	100,00%	100,00%



ცხრილში (იხ. ცხრილი №2) წარმოდგენილია 2011 წლის 1 მარტის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ჩამონათვალი აქტივების, გაცემული კრედიტების, მოზიდული დეპოზიტებისა და კაპიტალის მიხედვით, მათი სისტემაში პროცენტული წილის მიხედვით.

როგორც ცხრილიდან ჩანს არასაბანკო დეპოზიტების 85%-ზე მეტი 5ბანკზე მოდის, ხოლო 8 ბანკის მიხედვით ეს მაჩვენებელი 19 ბანკის საერთო მაჩვენებლის სულაც 98%-ს შეადგენს. აღნიშნული მიუთითებს, რომ შედარებით მცირე ზომის ბანკებს უჭირთ სადეპოზიტო ბაზის ფორმირება და/ან გარედან მოზიდულ სახსრებით

ან საკუთარი კაპიტალით ახდენენ ბაზარზე ოპერირებას. შესაბამისად, მათი აქტივების ატარებს “შეზღუდულ” ხასიათს.

ანალოგიური სურათია საკრედიტო პორთფელის ანალიზის მხრივაც. ბაზარზე მოქმედი 19 ბანკიდან კრედიტების 83%-ზე მეტი 5 ბანკზე მოდის, ხოლო 8 ბანკის მიხედვით საერთო მაჩვენებელის სულაც 93%-ს შეადგენს. აღნიშნული ცხადია კრიზისის შემთხვევაში ზრდის სისტემურ რისკებს.

2011 წლის 1 მარტის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი ბანკების ჩამონათვალი აქტივების მოცულობის მიხედვით შემდგენიარად გამოიყურება (იხ. ცხრილი 3)

ცხრილი 3: საქართველოში მოქმედი ბანკების ჩამონათვალი აქტივების მოცულობის მიხედვით

	ბანკის სახელი	მოთიანი აქტივები (ათას ლარებში)
1.	საქართველოს ბანკი	3 802 344
2.	თი-ბი-სი ბანკი	2 369 407
3.	პროკრედიტ ბანკი	834 058
4.	ბანკი რესპუბლიკა	706 428
5.	ლიბერთი ბანკი	594 070
6.	ქართუ ბანკი	548 304
7.	ეიხ-ეს-ბი-სი ბანკი	406 565
8.	ვი-თი-ბი ბანკი	357 552
9.	კორ სტანდარტ ბანკი	308 059
10.	პრივატ ბანკი	253 502
11.	ბაზის ბანკი	137 921
12.	ბი-თი-ეი ბანკი	106 247
13.	ბანკი კონსტანტა	95 008
14.	აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი	50 622
15.	ხაღიკ ბანკი საქართველო	37 390
16.	ზირაათ ბანკი	24 404
17.	ინვესტ ბანკი	16 345
18.	პროგრეს ბანკი	14 040
19.	კავკასიის განვითარების ბანკი	13 249
	სულ	10 675 516

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



როგოც ამ მონაცემებიდან ჩანს, შედარებით მცირე ზომის აქტივების მოცულობა 50 მლნ ლარამდეა, აღნიშნულიდან გამომდინარე, ახლადშექმნილმა ბანკმა, თუ მას უახლოეს 2-3 წელიწადში სურს ბაზარზე ადგილის დამკვიდრება და კორპორატიული კლიენტურის მომსახურება, საშუალოდ 30-35 მლნ ლარის მოცულობის აქტივებს მაინც უნდა ფლობდეს.

აქტივების ზრდასთან ერთად გაიზარდა ბანკების საკრედიტო პორტფელიც, აღნიშნული პერიოდისთვის საქართველოს ბანკების საკრედიტო პორტფელი შემდეგნაირად გამოიყურებოდა (იხ.ცხრილი №4).

ცხრილი 4: კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის მოცულობა (ათას ლარებში)

1.	საქართველოს ბანკი	-	2 212 529
2.	თი-ბი-სი ბანკი	-	1 487 625
3.	პროგრედიტ ბანკი	-	565 892
4.	ბანკი რესპუბლიკა	-	439 892
5.	ლიბერთი ბანკი	-	196 781
6.	ქართუ ბანკი	-	440 645
7.	ეიჩ-ეს-ბი-სი ბანკი	-	107 054
8.	ვი-თი-ბი ბანკი	-	225 246
9.	კორ სტანდარტ ბანკი	-	160 819
10.	პრივატ ბანკი	-	140 730
11.	ბაზის ბანკი	-	64 229
12.	ბი-თი-ეი ბანკი	-	56 524
13.	ბანკი კონსტანტა	-	72 184
14.	აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი	-	33 763
15.	ხალიკ ბანკი საქართველო	-	9 623
16.	ზირაათ ბანკი	-	1 340
17.	ინვესტ ბანკი	-	11 003
18.	პროგრეს ბანკი	-	10 130

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკური მონაცემები

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 2010 წელს მნიშვნელოვნად იზრდებოდა, ხოლო მეთხე კვარტალში მისი ზრდა

კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო, როდესაც 339,2 მლნ ლარით (ანუ 7,5%-ით) გაიზარდა და 4840,7 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლის დეკემბერთან

ახალი ეპონომისტ

შედარებით კი მისი მაჩვენებელი 43,5 %-ით არის გაზრდილი.

უცხოური ვალუტით დენომირებული დეპოზიტების ეროვნული ვალუტით გამოსახული მაჩვენებელი გაიზარდა 132,7 მლნ ლარით (4 %-ით) და 3482,4 მლნ ლარი შეადგინა. უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების ძირითადი

ზრდა, 90,2 მლნ ლარი, შეინიშნება იურიდიული პირების ანგარიშებზე. აღსანიშნავია, რომ უცხოური ვალუტით დეპოზიტებში 57% უცხოური პირების დეპოზიტებს უკავია. რაც შეეხება უცხოური ვალუტით დეპოზიტების ვადიანობის სტრუქტურას, 68,9% ვადიან დეპოზიტებს უკავია.

ცხრილი 5: საბაზრო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე								
	საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე, სულ	მათ შორის:						
		ეროვნული ვალუტით	აქედან:		უცხოური ვალუტით	აქედან:		
			იურიდიული პირების	ფიზიკური პირების		იურიდიული პირების	ფიზიკური პირების	
დეკემბერი-09	9,4	10,7	10,2	11,0	9,2	9,3	9,1	
იანვარი-10	8,9	10,9	9,4	11,4	8,6	8,2	8,8	
თებერვალი-10	9,2	10,7	10,0	11,1	9,0	10,3	8,5	
მარტი-10	9,0	10,7	10,1	11,0	8,8	7,1	9,3	
აპრილი-10	8,4	10,1	10,1	10,1	8,1	8,8	8,0	
მაისი-10	7,9	10,0	10,8	9,8	7,5	7,6	7,5	
ივნისი-10	8,2	9,5	8,7	9,8	8,0	9,8	7,6	
ივლისი-10	7,7	9,2	8,1	9,7	7,4	7,0	7,4	
აგვისტო-10	7,5	9,3	8,0	9,9	7,2	6,7	7,3	
სექტემბერი-10	8,0	10,0	10,1	10,0	7,6	7,1	7,7	
ოქტომბერი-10	7,9	10,3	10,3	10,1	7,3	7,7	7,2	
ნოემბერი-10	7,8	9,9	8,5	10,5	7,5	7,6	7,4	
დეკემბერი-10	7,9	10,2	8,8	10,7	7,6	7,2	7,8	
იანვარი-11	8,2	11,0	10,7	11,2	7,6	7,3	7,6	
თებერვალი-11	8,3	11,4	10,5	12,1	7,9	7,0	8,5	
მარტი-11	8,8	11,9	11,7	12,2	8,2	7,7	8,4	

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკური მონაცემები

28614



დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების კლება 2010 წლის ივნისიდან შეინიშნებოდა, მაგრამ 2011 წლის დასაწყისიდან საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა როგორც ეროვნულ, ასევე უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე (იხ. ცხრილი 5).

ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები გასული წლის ივლისთან შედარებით, საშუალოდ, 2,5 პროცენტული პუნქტით არის მომატებული, ხოლო უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე 0,8 %-ით. ეს ტენდენცია ალბათ 2011 წელსაც შენარჩუნდება, რადგან იგი გარკვეულწილად დაკავშირებულია, ერთის მხრივ, ინფლაციის ზეგავლენასთან და მეორეს მხრივ, სების გადაწყვეტილებასთან უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო

მოთხოვნების ეტაპობრივ 15 %-მდე გაზრდასთან დაკავშირებით.

2010 წლის მეოთხე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 420,9 მლნ ლარით გაიზარდა და 6337,1 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლის დასაწყისიდან საკრედიტო დაბანდება გაიზარდა 21%-ით, 5,2 მლრდ ლარიდან 6337,1 მლნ ლარამდე.

ზრდა უმთავრესად იურიდიული პირების სესხების მატებითაა გამოწვეული, რამაც 9,4 %-ი შეადგინა, ხოლო ფიზიკური პირებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 5,2 %-ი იყო.

2009 წლის დეკემბრიდან 2010 წლის ბოლოსთვის სესხების მოცულობა გაზრდილია 20,6 %-ით.

ცხრილი 6: კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი

	კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი	
	თანხა	წილი
ბანკთაშორისი სესხები	4 395	0,1%
ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხები	1 917 367	30,7%
ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხები	170 381	2,7%
სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის სექტორზე გაცემული სესხები	48 673	0,8%
მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხები	418 633	6,7%
სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხები	400 376	6,4%
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხები	95 896	1,5%
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	2 441 006	39,1%
დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხები	743 947	11,9%
მთლიანი სესხები	6 240 675	100,0%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკური მონაცემები

საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელში უპირატესობა, ტრადიციულად, ფიზიკურ პირების და ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ენიჭება, რომელიც მთლიან სესხებში ჯამურ 70%-ს შეადგენს (იხ.ცხრილი 6).

2008 წლის შემდეგ კვლავ დაიწყო ზრდა მშენებლობაზე და გადამამუშავებელ სექტორზე

გაცემულმა სესხებმაც, რაც ალბათ საშუალოვადიან პერიოდში სავარაუდოდ კიდევ უფრო გააქტიურდება.

ნიშანდობლივია, რომ გასული წლის ბოლოს ვადაგადაცილებული სესხები 28,5 მლნ ლარით (14,1 %-ით) შემცირდა და 174,0 მლნ ლარს გაუტოლდა. ხოლო დავალიანებების პროცენტული წილი მთლიან სესხებში შემცირებულია 0,68

ახალი პერიოდი




პროცენტული პუნქტით წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით და 2,75%-ი შეადგინა. აღნიშნული ფაქტორი სესხების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

ქვემოთ გრაფიკების სახით მოყვანილია საქართველოში მოქმედი ოთხი კომერციული ბანკის შედარებითი ანალიზები შემდეგი სახით:

- კაპიტალისა და მთლიანი აქტივების შეფარდება;
- პირველადი კაპიტალისა და რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების შეფარდება;

- რისკების მიხედვით შეწონილი აქტივებისა და მთლიანი აქტივების შეფარდება.
 - წმინდა მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან
 - წმინდა მოგება შეფარდებული სააქციო კაპიტალთან
 - ლიკვიდური აქტივები მთლიან აქტივებთან
 - ლიკვიდური აქტივები მთლიან დეპოზიტებთან
- საქართველოს საბანკო სისტემის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის სამი წლის მანვენებელი (2007-2009-2010).

გრაფიკი 1




2007 წელს კომერციული ბანკების საშუალო მაჩვენებელი უდრიდა 20%. 2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი 17% იყო. ხოლო 2010 წლის საშუალო მაჩვენებელი 18 %-ის ტოლი იყო (იხილეთ გრაფიკი 1). ამ მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი უჩვენებს,

რომ კრიზისის შედეგად ბანკების კაპიტალიზაცია შემცირდა. ზემოთ მოყვანილ ცხრილში ოთხი ბანკის მონაცემების მიხედვით ეს მაჩვენებელი მხოლოდ ვი-თი-ბი ბანკს აქვ გაუმჯობესებული.

აბაჯი კაპიტალისა და მთლიან აქტივების შეფარდება

გრაფიკი 2






2007 წელს ბანკების საშუალო მაჩვენებელი 15%-ის ტოლი იყო, ხოლო 2009-2010 წლებში მისი

საშუალო მაჩვენებელი 16%-ის ტოლი იყო. (იხილეთ გრაფიკი 2).

გრაფიკი 3

2007 წლის შესაბამისი კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი 106%-ი იყო, ხოლო 2009 წელს შეიმჩნეოდა 16%-იანი კლება და მისმა საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 90%-ი.


2010 წელს საშუალო მაჩვენებელი 99%-ს უდრიდა.(იხილეთ გრაფიკი 3)



გრაფიკები გვიჩვენებს რომ საქართველოში მოქმედი ოთხი კომერციული ბანკის ფინანსური

მაჩვენებელი 2007 წელს უკეთესია ვიდრე მომდევნო ორი წელი.

გრაფიკი 4




ახალი ეპონომისტი

ROA კოეფიციენტის სამი წლის საშუალო მაჩვენებელი აღნიშნული ბანკების შემთხვევაში შეადგენდა -1%. თუ გადავხედავთ შესაბამის კოეფიციენტს 2007 წელს, მისი საშუალო მაჩვენებელი 1%-ის ტოლი იყო, ხოლო 2009 წელი

ბანკებისთვის აღმოჩნდა ნეგატიური, რაც გამოისატებოდა მის საშუალო მაჩვენებელში -3%.

2010 წელი ქართული ბანკებისთვის შედარებით სტაბილურობის წელი იყო და მისი საშუალო მაჩვენებელი გაუტოლდა 1%-ს.

გრაფიკი 5



2009 წელი უკუგება კაპიტალზე კოეფიციენტი საშუალოდ შეადგენდა -24%, ხოლო 2010 წლის საშუალო მაჩვენებელი კი 7%-ს გაუტოლდა (იხილეთ გრაფიკი №-5).

გრაფიკებიდან ნათლად ჩანს, რომ 2009 წელიდან კეპიტალის ადგილი მძიმე, რაც ნეგატიურად აისახა საოპერაციო მოგებაზე, ამის

გამომწვევი მიზეზი კი აქტივების ხარისხის გაუარესება იყო. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2009 წლის ბოლოს საოპერაციო მოგების დინამიკა კლებას აღარ განიცდიდა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქართულმა ბანკებმა თავი გადაირჩინეს გაკოტრებისაგან.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბანკები და ფინანსები: დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი კვლავ 70-71-ზე რჩება <http://banksandfinance.ge/banks/1352-dolarizacia.html>
2. სეპ-ის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი 2007; 2008; 2009; 2010 და 2011 წელი (www.nbg.gov.ge);
3. საქსტატის მშპ და ეროვნული შემოსავალი კვარტალური პუბლიკაციები (http://www.geostat.ge/?action=page&p_id=115&lang=geo);
4. Al-Tamimi, H., Al-Mazrooei, F. (2007), "Banks' Risk Management: A Comparison Study of UAE National and Foreign Banks", *The Journal of Risk Finance Vol. 8, issue: 4, pp. 394 – 409.*

ახალი ეკონომისტი



ლოლი ქარჩავა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ახალი კომუნიკაციები

კომუნიკაციის კულტურა ბიზნესში საკმაოდ დიდი თემაა და მისი სრულად წარმოჩენა ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ მის ერთ ნაწილს შევხებით, აღვწერთ მის რაობას და წარმოვაჩენთ მის პრაქტიკულ მნიშვნელობას ბიზნესის წარმატებაში.

ვინაიდან ბიზნესკომუნიკაციები შედარებით იშვიათი თემაა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში პატარა განმარტებებსაც გავაკეთებ. კერძოდ, კომუნიკაცია ეს არის კავშირი ორ სუბიექტს ან ორ ობიექტს შორის. ადამიანთა შორის კომუნიკაციაში იგულისხმება ინფორმაციის გადაცემა ერთი ადამიანის მიერ მეორესთვის. თავის მხრივ, ბიზნესკომუნიკაციები, როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება, შეისწავლის ყველა იმ ფაქტორსა და მოვლენას, რომელიც ურთიერთკავშირშია ბიზნესის ფუნქციონირების თითოეულ ეტაპზე, დაგეგმიდან დაწყებული და მოგების (შემოსავლის) მიღებით დამთავრებული, სადაც მასში მონაწილე ადამიანები ურთიერთობენ სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით, რათა მიიღონ და გადასცენ ინფორმაცია შესაბამის ეკონომიკურ სუბიექტებს სასურველი მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ პროცესებში ვლინდება კომუნიკაციის კულტურა ბიზნესში მონაწილე ადამიანების მიერ.

კომუნიკაციის კულტურა ესაა ურთიერთობის კულტურა ზოგადად, ოჯახში, საზოგადოებაში, საქმიან შეხვედრებზე, მოლაპარაკებებზე და ა.შ. ამა თუ იმ საზოგადოებაში ქცევის სხვადასხვა ნორმებია, რომელსაც ეტიკეტს ეძახიან. ტერმინი 'ეტიკეტი' (ფრანგულად – etiquette) მაღალ საზოგადოებაში თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესებს ნიშნავს [11, გვ.136].

ურთიერთობის კულტურა უძველესი დროიდან ყალიბდებოდა და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა. დროთა განმავლობაში გარემოებამ მოიტანა კულტურათა შორის ურთიერთობების

აუცილებლობა, ხოლო დღეისათვის ადამიანთა მაღალი განვითარების შედეგად სახეზე გვაქვს სახელმწიფოთა გაერთიანებაც კი, რომელთაც საერთო მიზნები ამოძრავებთ. ამის ბრწყინვალე მაგალითია ევროპის სახელმწიფოთა კავშირი, შემოკლებით – ევროკავშირი, რომელიც დღეისათვის 27 ქვეყნისაგან შედგება. აქ შემავალი ქვეყნების მოქალაქეები კავშირის ნებისმიერ წევრ ქვეყანაში დადიან უფიზოდ, აქვთ საერთო ფული – ევრო და მრავალი სხვა საერთო წესები.

კომუნიკაციის კულტურის შემადგენელი ნაწილია ეთიკა, ანუ ყოფაქცევის ნორმები ზნეობრივი და მორალური პრინციპებიდან გამომდინარე. დღეისათვის არსებობს სხვადასხვა პროფესიული ეთიკები. მაგალითად, ჟურნალისტის ეთიკა, ექიმის ეთიკა, ბიზნესის ეთიკა და ა.შ. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ურთიერთობის სტილი, რომელშიც განასხვავებენ სამ ძირითად ჯგუფს: რიტუალური; მანიპულატორული; პუმანური. რიტუალური წარმოიქმნება ჯგუფებს შორის ურთიერთობით, მანიპულატორული – საქმიანი სიტუაციით, პუმანური – პირთვნი ურთიერთობებით [6, გვ.148].

მართალია, თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია, რაც მის თვისებებშიც ვლინდება, მაგრამ არის გარკვეული ჩვევები და კულტურა, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფის ადამიანებს დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბდათ, ისევე, როგორც ცალკეულ ქვეყნებს. მაგალითად, იაპონელები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ურთიერთობის კულტურაზე. იაპონური სიტყვა – 'ჰაი', რომელიც 'დიახს' ნიშნავს, თურმე ყოველთვის არ ნიშნავს თანხმობას, რის გამოც, მათივე თქმით, ამერიკელები პირველ ხანებში ხშირად ტყუედებოდნენ მოლაპარაკებების დროს.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ როცა ბიზნესი გადის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, იქ აუცილებელია ადგილობრივი ეროვნული ხასიათების გათვალისწინება. ამის ცოდნა იმიტომ არის კარგი,



რომ როცა ადამიანმა იცის მოსაუბრის ეროვნული თუ კუთხური ხასიათი და გაითვალისწინებს, თუ რა ესიამოვნება მას, შეხვედრა აუცილებლად კეთილგანწყობის ვითარებაში ჩაივლის და ეს აისახება მიოლაპარაკების შედეგებზეც.

საქმიანი ურთიერთობა ადამიანისაგან მოითხოვს დიდ ფსიქოლოგიურ კულტურას და ემოციური მხარის სისტემატურ სწავლასა და კონტროლს. ურთიერთობა ეფექტური რომ გახდეს, გამოყოფენ შემდეგ გზებს: საკუთარი სახელით მიმართვა, დიმილი და ქათინაური.

საკუთარი სახელით მიმართვა, გაუცნობიერებელ სასიამოვნო განცდებს იწვევს ადამიანში. თუ სახელით არ მიმართავ, ასეთ შემთხვევაში მოლაპარაკე ინტერესს იჩენს არა პიროვნებისადმი, არამედ განუსაზღვრელი სამსახურებრივი ფუნქციის მატარებელი ადამიანის მიმართ. ყველა ადამიანს აქვს პრეტენზია, რომ არის პიროვნება. თუ ეს იგნორირებული იქნება, მისი განწყობაც იცვლება. ამიტომ პიროვნების წარმოჩენა აუცილებელია. ადამიანს მიდრეკილება აქვს იმისკენ, ვინც დადებით ემოციებს იწვევს მასში. დეილ კარნეგი თვლიდა, რომ ადამიანისათვის საკუთარი სახელის უღერადობა, ყველაზე სასიამოვნო მელოდიაა ნებისმიერ ენაზე.

ძველ დროში სახელის წოდებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ყმაწვილს სახელს მისი სულიერი და ხორციელი თვისებების მიხედვით არქმევდნენ. ევამ პირველ შვილს კაენი უწოდა. იგი მოპოვებას (მოიპოვე კაცი „ღვთისაგან“) ნიშნავს, ისაკი - „სიცილს“ (მისი დაბდებისას დედამ გაიცინა), ბენიამენ - „მოსუცვებულობის შვილს“, იესო - „მაცხოვარს“ [6, გვ.152].

სახის კეთილი, თბილი გამომეტყველება და მსუბუქი დიმილი საოცრად იზიდავს ადამიანებს! პოზიტიური განწყობა იწვევს კმაყოფილებას და პიროვნებას მიიწვევს იმისკენ, ვისგანაც დადებითი ემოცია მოდის. პოლიტიკური მოლაპარაკებების დაწყებისა თუ დამთავრების შემდეგ პოლიტიკოსები პრესის წინაშე ილიმებიან, მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ სასარგებლო და მისაღები იყო მოლაპარაკების შედეგი მათთვის. ასევე ბიზნესშიც. როგორც ამერიკელი მეცნიერი დეილ კარნეგი ამბობს „მომაჯადოებლად მომღიმარი გამყიდველი ჯობია მუავესახიან ფილოსოფიის დოქტორს“ [3, გვ.53]

ქათინაური ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ იგი უნდა იყოს გულწრფელი. თუ ადამიანს ხშირად ესმის, 'თქვენ ძალიან ჭკვიანი ხართ', ან, 'თქვენს გარდა ამას ვერაფერს შეძლებს', ის მართლა შეეცდება ამ სიტყვების შესაფერისი გახდეს. აქ შთაგონების

ეფექტი ძალიან დიდ როლს თამაშობს. ამერიკელმა მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს იმ დედამძის შვილებზე, როცა ერთი ძალიან წარმატებულია, ხოლო მეორე – ძალიან წარუმატებელი. აღმოჩნდა, რომ იმ შვილს, რომელიც ცულქი და 'ეშმაკუნა' იყო თავიდანვე, დედა მას სწორედ ასე ეძახოდა: 'შე ეშმაკო!', 'შე ხულიგანო!', 'შე უზრდელიო!' და ა.შ. ბავშვს ქვეცნობიერად განუვითარდა შეგნებაში შთაგონება, რომ ის ასეთია და გახდა კიდევაც ასეთი. როგორც ბავშვს, ასევე, ნებისმიერ ადამიანს უნდა ვუთხრათ, რომ ასეთი საქციელია ცუდი და არა თვითონ პიროვნება. ასეთ შემთხვევაში ის შეეცდება, ცუდი საქციელი მეტჯერ არ გაიმეოროს.

ქათინაური უნდა იყოს მოკლე და ერთმნიშვნელოვანი. ყველას მოსწონს, როცა სასიამოვნოს ეუბნებიან. ქათინაური სახეს უნათებს ადამიანს, განწყობილებას უცვლის და მისი ემოცია გადადის მოსაუბრეზეც. ქათინაურმა უნდა გამოხატოს ადამიანის მხოლოდ პოზიტიური ხასიათი.

ადამიანის ბუნებაა, იყოს მნიშვნელოვანი. თითოეული ადამიანი ცდილობს შეაფასონ იგი ღირსეულად. საქმიანი საუბრის დროს ძალიან მნიშვნელოვანია, გამოიჩინო ყურადღება პარტნიორის მიმართ. ამაშია წარმატების ერთ-ერთი საიდუმლოც. უნდა ილაპარაკო იმაზე, რაც ყველაზე მეტად დააინტერესებს პარტნიორს, ან იმაზე, რაც მან ყველაზე კარგად იცის. უნდა დაისვას ისეთი შეკითხვები, რომელზეც პასუხები მისთვის იქნება სასიამოვნო.

როგორც პირად, ისე საქმიან ურთიერთობებში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ერთი რამ, რომ შეთავაზება, რომელსაც თქვენ მას უკეთებთ, ეს მას წაადგება ან ეკონომიურად, ან ავტორიტეტს შესძენს მას, თუნდაც სულიერად აამაღლებს და კარგ განწყობაზე დააყენებს, რომელიც შემდეგი წარმატების გზაზე წაადგება.

XVIII საუკუნის ინგლისელი საზოგადო მოღვაწე ფილიპ დირმერ ხტენჰოპი (გრაფ ჩესტერფილდი), თავის შვილისადმი მიწერილ წერილებში ყურადღებას ამახვილებს ქვევის მნიშვნელობაზე საზოგადოებაში, თუ როგორ აღიქვამენ მას ადამიანები, ორატორობის მნიშვნელობაზე, თუ რას აქცევენ მსმენელი ყურადღებას და რა წარმატება მოუტანა მას კარგმა, დახვეწილმა საუბარმა, განსაკუთრებით საჯარო გამოსვლის დროს [8].

მოსმენაც არ არის ადვილი, როგორც ეს ერთი შესედეით ჩანს. ბევრ ქვეყანაში მოქმედებს მოსმენის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებიც კი. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მენესოტის

სახელი ეკონომისტი



ს

შტატის უნივერსიტეტის კურსები, სადაც სენატორები და აშშ-ის კონგრესის წევრები, ცნობილი ბიზნესმენები და ათასობით კორპორაციის წარმომადგენლები მონაწილეობენ[6,154].

კომპანიისთვის ისეთი პიროვნება სასურველი კადრი, რომელსაც მიზანმიმართული მოლაპარაკება შეუძლია. მსმენელი ეჭვის თვალთ უყურებს ისეთი ადამიანების კომპეტენტურობას, ვინც ბოდიშის მოხდით იწყებს საუბარს. აუცილებელია მსმენელთან კონტაქტი, მან უნდა დაინახონ მოსაუბრის თვალეები. თითოეული მსმენელი უნდა გრძნობდეს, რომ მას მიმართავენ. თუ აუდიტორიაში უწევს გამოსვლა, გამომსვლელს არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ აუდიტორიის არც ერთი სექტორი. გამოსვლა უნდა იყოს თბილი განწყობის გამოხატველი და არა ცივი. სწორედ მსმენელი აფასებს თუ რას ამბობს, როგორ ამბობს და იცის თუ არა ის, რაზეც საუბრობს.

საქმიანი ურთიერთობებიდან გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი უესტი, რომელიც გამოხატავს ადამიანის შინაგან ბუნებას:

პირველი, ჩანს სხეულის მდგომარეობა და ემოციურობა. შეიძლება ტემპერამენტის შეცნობა (ძლიერია თუ სუსტი მისი რეაქცია, ჩქარია თუ ნელი, ინერტული თუ ცოცხალი, მოძრავი);

მეორე, პოზა და უესტი ავლენს ადამიანის გათავისებულ კულტურულ ნორმებს. აღან პიზი, თავის წიგნში „სხეულის ენა“, ახასიათებს ადამიანის 177 პოზას საქმიან ურთიერთობებში[13]. მაგ.: გაშლილი ხელისგული, ანუ მოსაუბრე გიწვდის ხელს ხელისგულით ზევით, ნიშნავს კონტაქტის დამყარების სურვილს. გახსნილი პიჯაკიც, აგრეთვე, არის გულღიადობის მანიფესტაცია. დაკვირვებებით ცნობილია, რომ მოლაპარაკებისას წარმატებას აღწევს სწორედ გახსნილი პიჯაკებით მოსაუბრე პარტნიორები. ის, ვინც ცვლის გადაწყვეტილებას მასთან მოსაუბრის ხასარებლოდ, როგორც წესი, ავტომატურად იხსნის პიჯაკს. სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება ხასის თითქმის 20000 გამომეტყველება[6,161].

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანმა როგორადაც არ უნდ ეცადოს, დამალოს თავისი ტყუილი, მაინც შეიძლება მატყუარას ამოცნობა, რადგანაც მას გასცემს შეუთავსებლობა ქვეცნობიერების უესტებით გამოსატულ მიკროსიგნალებსა და ნათქვამ სიტყვებს შორის... მაგ.: პირის ხელით დაფარვა – ტყუილის მკვეთრად გამოხატვის ნიშანია. ასევე, როცა მოსაუბრე ეხება ცხვირის ნესტოს, არის ამ უესტის შენიღბული ვარიანტი.

ადამიანის გულწრფელობა კარგად ჩანს, თუ დააკვირდებით ხელისგულს. როცა გულწრფელი გულახდილია, ის გიწვდით ხელს გულს. ქვეცნობიერი უესტია და გვამცნობს, რომ მოსაუბრე სიმართლეს ლაპარაკობს.

მოლაპარაკების დროს მიღებულია დისტანციის დაცვა შემდეგნაირად: მეგობარი გვერდით უნდა იჯდეს, საქმიანი საუბრის მონაწილე – მაგიდის კუთხეში, კონკურენტი – მაგიდის პირდაპირ.

რესტორანში და კაფეში, ქალს ან გამორჩეულ სტუმარს სთავაზობენ ადგილს ზურგით კედლისკენ. ეს ფსიქოლოგიურად უფრო კომფორტულია, რადგან ადამიანი თუ ზის ზურგით ღია სივრცისკენ, გულისცემა უსწირდება, განსაკუთრებით თუ ზურგს უკან სისტემატური მოძრაობაა.

საუკუნეების მანძილზე აკვირდებოდა კაცობრიობა შეხედვის მნიშვნელობას და მის გავლენას ადამიანის საქციელზე. თვალების დახმარებით გადაიცემა პიროვნებათაშორისო კომუნიკაციის ყველაზე ზუსტი და ღია სიგნალები. კომუნიკანტის თვალეები საქმიანი საუბრის დროს 60-70% მაინც უნდა შეხვდეს პარტნიორის თვალეებს. არ არის მიღებული მუქი სათვალეების ტარება.

ადამიანები ვერ აკონტროლებენ თვალეების გუგის მოძრაობასაც. ეს ქვეცნობიერი პროცესია. ისინი ფართოვდებიან და ვიწროვდებიან და თვითონვე გადასცემენ ინფორმაციას ადამიანის რეაქციაზე გაგონილის მიმართ. მაგ., ჩინელი და თურქი ეატრები საქონლის ფასს აწევებენ მყიდველის თვალეების გუგების მოძრაობის შესაბამისად. თუ იგი კმაყოფილია ფასით და ყიდულობს მას, მისი თვალეების გუგა ფართოვდება.

ძალიან ძლიერია ადამიანის თვალეების ზემოქმედება სხვა ადამიანზე, თუკი მან იცის ამის მნიშვნელობა. მაგალითად, ამერიკელ მსახიობს, სტივენ სიგალს შეუძლია მხერით შეაჩეროს ძაღლების ხროვა[6,183]. მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება და არც თუ უსაფუძვლოდ ჩანს გამონათქვამები, „გათვალული“, „თვალი ეცა“ და ა.შ.

არაკერბალურ, უსიტყვო ენას შეუძლია უცნობი ადამიანის შინაგანი მდგომარეობის შესახებ უთვალავი ინფორმაციის მიწოდება. მოსაუბრის ხელზე შეხება, მისი ხასის გამომეტყველება, ინტონაციის ცვლა, ხმის აწევა თუ დაწევა, პაუზა, ხელის ნებისმიერი მოძრაობა, თითების ჩათვლით და ა.შ., ყველაფერს აქვს თავისი აზრი. ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს როგორც ენა, ისე არაკერბალური ურთიერთობაც განსხვავებული აქვს. ერთი და იგივე უესტი, შეიძლება სხვადასხვა

სხალი მკონიხისტი

ქვეყანაში სხვადასხვანაირად იყოს გაგებული. მაგ.: ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებშიც 'ნული' (მიღებული დიდი და საჩვენებელი თითით კომბინაციით), მიუთითებს იმაზე, რომ ყველაფერი კარგადაა, ('OK'). იაპონიაში იგი ტრადიციულად ფულს აღნიშნავს, პორტუგალიაში კი უკადრისი უესტია.

კოსტუმების ფერიც კი შეიძლება იყოს განსხვავებული ინფორმაციის მატარებელი დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. საქმინ შეხვედრებზე, როცა ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლები ხვდებიან სხვა ფირმის წარმომადგენლებს ჯგუფურად, იქ დელეგაციის ხელმძღვანელის კოსტუმის ფერი ყოველთვის განსხვავებულია სხვა მონაწილეთა კოსტუმის ფერისაგან.

ბევრ გაუგებრობას ხსნის უესტების ენის ცოდნა. ამიტომ დასავლეთში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს დისციპლინები, რომლებიც კომუნიკაციის კანონებს სწავლობენ. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია იმიჯოლოგია, რომელიც პირადი მომხიბვლელობის ტექნოლოგიის შემსწავლელი მეცნიერებაა. იმიჯი (სახე, ხატება) კომუნიკაბელობის ერთეულია. იგი სხვადასხვა ფაქტორებთანაა გადახლართული და ამიტომაც საკმაოდ რთულია. თითოეული ადამიანისათვის მნიშვნელოვანია, როგორ გამოიყურება იგი გარშემომყოფების თვალში.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ათიდან შვიდ შემთხვევაში აზრი, შეხედულება პირველი

შთაბეჭდილებიდან იქმნება. იმიჯის პრობლემებიდან 3 ძირითად ჯგუფს ვარაუდობენ: პირველში შედის ბუნებრივი თვისებები - კომუნიკაბელურობა, რეფლექსურობა (მეორე ადამიანის გაგება). პირვენი იმიჯის შესაქმნელად მთავარია სიტყვებით ზემოქმედება, მკვერმეტყველება;

მეორე ჯგუფში შედის განათლება და აღზრდა, სწავლებილი დირექტორები, ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა და ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობანი;

მესამე ჯგუფში პროფესიული გამოცდილებით განისაზღვრება. განსაკუთრებით ფასეულია იგი, როცა ეს გამოცდილება ეხმარება ადამიანს ინტუიციით სიტუაციაზე ზემოქმედებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ეტიკეტისა და ეთიკური ნორმების დაცვა კომუნიკაციის დროს ერთგვარი "შეფუთვა" იმ პროდუქციის, რომელსაც ინფორმაცია ჰქვია. რაც უფრო კარგად შეფუთულია საქონელი, მით უფრო მიმზიდველია და შესაბამისად, მეტად ფასობს. კომუნიკაციის დროს ბიზნესში, როცა გვინდა ვინმესთან რაიმე შეთანხმებას მივაღწიოთ, სწორედ თითოეული ინფორმაცია უნდა იქნეს გადაცემული მაქსიმალურად ეფექტურად. რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ ეთიკური ნორმები და საყოველთაოდ აღიარებული ეტიკეტი. ყოველივე ზემოთ თქმული კი კომუნიკაციის კულტურის შემადგენელი ნაწილია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ამინოვი ი.ი. ერიაშვილი ნ.დ. საქმიანი ურთიერთობის ფსიქოლოგია. თბილისი, "სამართლიანი საქართველო", 2009წ.
2. დოლიკაშვილი ლ. დანელიშვილი ლ. ჯოლია გ. თორია მ. შტააძე ხ. ეტიკეტი და კორესპონდენცია. თბილისი, "უნივერსალი", 2008წ.
3. კარნეგი დ. როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანზე. თბილისი, "სამშობლო", 1992წ.
4. როზენბერგი მ. კომუნიკაცია ძალადობის გარეშე. თბილისი, 2006წ.
5. ქარჩავა ლ. გამომჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან. თბილისი, "ლო", 2006წ.
6. ქირთაია მ. ბიზნესის ეთიკა (მეორე გადაამუშავებული გამოცემა), თბილისი, "ნეკერი", 2008წ.
7. შენგელია თ. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. თბილისი, "ახალი საქართველო", 2008წ.
8. ჩესტერფილდი. წერილები ვაჟიშვილს. თბილისი, "საბჭოთა საქართველო", 1988წ.
9. ჭიპაშვილი ჰ. ეტიკეტი და დიპლომატიური სამსახური. თბილისი, "მერანი-3", 2000წ.
10. პილი ნ. იფიქრე და გამდიდრდი. თბილისი, "უფლება", 1996წ.
11. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (6.კანკაეას რედაქციით). 1973. თბილისი. განათლება.
12. Лейхифф Дж. М. Пенроуз Дж. М. 2001. бизнес-коммуникации (стратегии и навыки), Санкт-Петербург: Питер бук
13. Пиз А. 2000. Язык телодвижений. Москва:
14. Покровская Е.А. Лобанов И.Б. 2006. Бизнес-коммуникации. Москва: Наука-Пресс.



ნინო ჯოჯუა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
კავკასიის აკადემიური ცენტრის
აკადემიური პროგრამების დირექტორი,
ასოცირებული პროფესორი

რიზისულ პერიოდში, როდესაც კომპანიას გაყიდვები უმცირდება, რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საკითხი ძალიან მწვავედ დგება. პარეტოს პრინციპი, როგორც მას ხშირად უწოდებენ 80/20 წესი, რესურსების ოპტიმიზაციის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა.

პარეტოს პრინციპი არის გადაწყვეტილების მიღების სტატისტიკური მეთოდი, რომელიც გამოიყენება შედეგზე ზემოქმედების მომხდენი ფაქტორების მათი ზეგავლენის მნიშვნელობის მიხედვით დასადაგებლად. პრინციპის თანახმად, უმეტეს შემთხვევაში 80% ეფექტისა მიიღწევა მხოლოდ 20% მიზეზის გამო.

მცირე ისტორიული მონაცემები:

პრინციპს სახელი ეწოდა იტალიელი ეკონომისტის ვილფრედო პარეტოს პატივსაცემად, რომელიც 1906 წელს მივიდა დასკვნამდე, რომ იტალიის მიწების 80%-ს ფლობდა მოსახლეობის 20%. მოგვიანებით პარეტომ სხვა ქვეყნებიც შემოწმა და აღმოაჩინა, რომ იქაც იგივე ფარდობა მოქმედებდა.

პარეტოს პრინციპი, როგორც ეფექტურობის ინსტრუმენტი შემოთავაზებული იყო ინგლისელი მეცნიერის რიჩარდ კოხის მიერ[1]. მან განავითარა პარეტოს პრინციპი სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციებთან მიმართებაში და აჩვენა ამ პრინციპის გამოყენების მრავალფეროვნება და ეფექტურობა. დასახელება “პარეტოს პრინციპი” “80/20-ის პრინციპისათვის შემოთავაზებული იქო 1941 წელს ჯოზეფ ჯურანის მიერ[2,3].

ფარდობა 80/20 ცხოვრების და საქმიანობის ბევრ სფეროში მოქმედებს - უფრო სწორედ ყველა სფეროში: ბიზნესში, ეკონომიკაში[4], კომპიუტერულ

ტექნოლოგიებში, ლოჯისტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. . .

- კლიენტების 20% უზრუნველყოფს კომპანიის შემოსავლის 80%-ს
- ძირითადად მხოლოდ თანამშრომლების 20%-ის დამსახურებაა კომპანიის წარმატებები
- ყოველდღიურ ცხოვრებაში დროის 80%-ს ვუთმობთ საქმიანობას, რომელიც საბოლოოდ მიზნების მიღწევის მხოლოდ 20%-ს უზრუნველყოფს
- ჩვენს მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარების 80% მოდის ჩვენი ნაცნობების მხოლოდ 20%-ზე

ფორმულირება, რომ მხოლოდ მესუთედი ნაწილი შედეგზე ზემოქმედი მთელი ობიექტების რაოდენობიდან იძლევა შედეგის 80%-ს და დანარჩენი ობიექტები (80%) განაპირობებს რეზულტატის მხოლოდ 20%-ს, შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც საბაზისო მიდგომა სხვადასხვა საქმიანობისათვის ფაქტორების ეფექტურად განსასაზღვრავად და მისი შედეგის ოპტიმიზაციისათვის: მაიკროსოფტის აღმასრულებელი დირექტორის სტივ ბალმერის თანახმად: სწორად შერჩეული მცირე რაოდენობა ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედებებით შეგვიძლია სწრაფად მივიღოთ დაგეგმილი მთლიანი შედეგის მნიშვნელოვანი ნაწილი - 20% ყველაზე ხშირად შეტყობინებადი შეცდომების გამოსწორებით ვუზრუნველყოფთ 80% პრობლემების თავიდან აცილებას - Rooney, Paula Microsoft[5]

ახალი ეპონომისტი



ამავე დროს დამატებითი ქმედებები და გაუჯობებები უმეტეს შემთხვევაში უმნიშვნელო და არაეფექტურია.

პარეტოს პრინციპის გამოყენება ძალიან კარგი ინსტრუმენტია მარკეტინგში, როდესაც მარკეტერი მუშაობს კომპანიისათვის “კარგი” კლიენტების, პროდუქტების, სტრატეგიული ბიზნეს ვრთულების ჯგუფის გამოსაყვანად.

ცხადია, ამისთვის საჭიროა განისაზღვროს ის მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც კლიენტებს, პროდუქტებს, სბო-ებს ვაკუთვნებთ “კარგის” ან “საყურადღებოს” კატეგორიას. მაგრამ, ხშირად ასეთი გადახარისხების შემთხვევაშიც, კატეგორიაში მოხვედრილთა რაოდენობა კომპანიის რესურსებისათვის დიდია და/ან თავიანთი მახასიათებლების (მათ შორის სეგმენტირების მახასიათებლების) მიხედვით შესაძლებელია იყოს ძალიან მრავალფეროვანი.

როგორ სჯობს მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ვიმუშაოთ კატეგორიაში შემავალ ყველა მათგანთან ისე როგორც ამას კომპანიის რესურსები გვაძლევს საშუალებას (ანუ რესურსი შესაძლებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ, მაგრამ დაგვგმილი ეფექტი მაინც ვერ მივიღოთ), თუ ამ კატეგორიაშიც შევარჩიოთ გარკვეული შესაძლებელი რაოდენობა წევრებისა, რომლებზეც დახარჯული ძალისხმევა მაქსიმალურად მიგვაახლოვებს დაგვგმილ შედეგს.

პარეტოს პრინციპის გამოყენების არსიც ეს არის. უნდა ვაარკვიოთ თქვენი კლიენტების, პროდუქციის თუ სხვა მომსახურების ყველაზე მნიშვნელოვანი 20% და მოახდინოთ მასზე კონცენტრირება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარკეტინგული კომპანიებისათვის კრიზისის პერიოდში. ამ დროს ხომ ბიუჯეტი მაქსიმალურად შესაძლებელია და დიდი მნიშვნელობა აქვს ვის ვუძიხნებთ მომხმარებელიდან.

ანალიზისათვის ვიანგარიშოთ მთლიანი შემოსავალი და თითოეული კომპანიის პროცენტული წილი მთლიანი შემოსავლიდან:

მომხმარებელი		შემოსავალი ათასი ლარი
კომპანია D	D	278 900
კომპანია E	E	178 324
კომპანია G	G	124 589
კომპანია C	C	57 934
კომპანია P	P	52 001
კომპანია Q	Q	36 000
კომპანია L	L	35 009
კომპანია M	M	23 145
კომპანია F	F	22 001
კომპანია R	R	18 436
კომპანია I	I	12 973
კომპანია S	S	12 888
კომპანია H	H	9 832
კომპანია O	O	9 832
კომპანია K	K	8 094
კომპანია T	T	6 743
კომპანია N	N	6 578
კომპანია Y	Y	5 463
კომპანია B	B	4 589
კომპანია A	A	2 525
კომპანია X	X	2 314
კომპანია Z	Z	1 777
კომპანია J	J	1 096
კომპანია V	V	1 063
კომპანია U	U	763
კომპანია W	W	245

ხოლო რათა დავრწმუნდეთ პარეტოს პრინციპის მართებულობაში, ასევე ვიანგარიშოთ თითოეული მომხმარებლის ჯამური პროცენტი მომხმარებელთა მთელ რაოდენობაში:

ახალი ეკონომისტი



% მომხმარებელი	№	კომპანია	შემოსავალი	მთლიანი შემოსავალი	% მომხმარებელი შემოსავალი
4%	1	კომპანია	278 900	278 900	31%
8%	2	კომპანია	178 324	457 224	50%
12%	3	კომპანია	124 589	581 813	64%
15%	4	კომპანია	57 934	639 747	70%
19%	5	კომპანია	52 001	691 748	76%
23%	6	კომპანია	36 000	727 748	80%
27%	7	კომპანია	35 009	762 757	84%
31%	8	კომპანია	23 145	785 902	86%
35%	9	კომპანია	22 001	807 903	88%
38%	10	კომპანია	18 436	826 339	90%
42%	11	კომპანია	12 973	839 312	92%
46%	12	კომპანია	12 888	852 200	93%
50%	13	კომპანია	9 832	862 032	94%
54%	14	კომპანია	9 832	871 864	95%
58%	15	კომპანია	8 094	879 958	96%
62%	16	კომპანია	6 743	886 701	97%
65%	17	კომპანია	6 578	893 279	98%
69%	18	კომპანია	5 463	898 742	98%
73%	19	კომპანია	4 589	903 331	99%
77%	20	კომპანია	2 525	905 856	99%
81%	21	კომპანია	2 314	908 170	99%
85%	22	კომპანია	1 777	909 947	100%
88%	23	კომპანია	1 096	911 043	100%
92%	24	კომპანია	1 063	912 106	100%
96%	25	კომპანია	763	912 869	100%
100%	26	კომპანია	245	913 114	100%

ახალი ეკონომისტი

შედეგად მივიღეთ, რომ 26 კომპანიიდან 6 კომპანიას, რომელიც წარმოადგენს მთელი კლიენტების 23%-ს, მთელ შემოსავალში შემოსავლის 80% შემოაქვს.

ამ ინსტრუმენტის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოთ, რომ

➤ 20 და 80 არ არის მკაცრად ფიქსირებული რიცხვი. რაოდენობა და შედეგი ამ რიცხვების მახლობლობაში იქნება. ანუ შესაძლებელია პროდუქციის 15%-ს მოჰქონდეს 75% მოგება ან 90% შემოსავალი განპირობებული იყოს 25% კლიენტებისგან

➤ 80 და 20, 15 და 75, 25 და 90 სხვადასხვა სიდიდეებია, ისინი არ იკრიბება და თუ

მაინდამაინც მონდომებთ მათ შეკრებას, ნუ ელით რომ აუცილებლად 100-ს მიიღებთ

20%+80% “““100%

და კიდევ, რაც მთავარია არ დაივიწყოთ არც დარჩენილი 80% კლიენტებისა და არც ახალი კლიენტების მოპოვება!!

ABC ანალიზი

80/20 პრინციპზე დაფუძნებულ ასევე ხშირად გამოყენებად მეთოდს წარმოადგენს ABC ანალიზი - ანალიზი, რომელიც გამოიყენება საბოლოო შედეგისთვის მნიშვნელოვანი რესურსების თუ მიზეზების კლასიფიკაციისა და განსხვავებული მართვისათვის. იგი წარმოადგენს პარეტოს



პრინციპის სახეცვლილებას, რომელშიც რესურსები, ქმედებები, პროდუქტები, კლიენტები, პარტნიორები ჯგუფდება სამ კატეგორიაში (A, B და C) მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე:

- A - ძალიან მნიშვნელოვანი
- B - მნიშვნელოვანი
- C - უმნიშვნელო

მიღებული შედეგები უკვე იძლევა სურათს მომავალი ქმედებებისთვის

ეთქვათ თქვენ გაქვთ პროდუქტთა გარკვეული ჯგუფები მათი წვლილით მთლიან მოგებაში.

პროდუქტთა ჯგუფის №	მოგების წილი
1	10
2	200
3	30
4	5200
5	30
6	90
7	10
8	100
9	800
10	300
11	10
12	20
13	2300
14	300
15	40
16	70
17	50
18	20
19	400
20	20
სულ	10000

ABC ანალიზის ჩასატარებლად, საჭიროა გადავალავოთ პროდუქტთა ჯგუფები მთლიან წვლილის შექცირების მიხედვით და დავიანგარიშოთ პროდუქტთა ჯგუფის წილი მოგებაში და წვლილი ჯამური შედეგით

პროდუქტთა ჯგუფის №	მოგების წილი	პროდუქტთა ჯგუფის წილი მოგებაში	წვლილი ჯამური შედეგით, %
4	5200	52	52
13	2300	23	75
9	800	8	83
10	300	3	90
14	300	3	93
2	200	2	95
8	100	1	96
6	90	0,9	96,9
16	70	0,7	97,6
17	50	0,5	98,1
15	40	0,4	98,5
3	30	0,3	98,8
5	30	0,3	99,1
12	20	0,2	99,3
18	20	0,2	99,5
20	20	0,2	99,7
1	10	0,1	99,8
7	10	0,1	99,9
11	10	0,1	100

A, B და C კატეგორიები როგორც წესი კომპანიის მიზნებიდან დგინდება და შემდგომი ღონისძიებებიც ასევე კომპანიის ან ამოცანის მიზნებიდან გამომდინარე მუშავდება.

ეთქვათ ამ კონკრეტული შემთხვევისთვის თქვენ გამოყავით ასეთი კატეგორიები:

- A - 75% წვლილი ჯამური შედეგით
- B - 10% წვლილი ჯამური შედეგით

C - 5% ჯამური შედეგით

და მონაცემების მიხედვით პროდუქტთა ჯგუფები კატეგორიებში ასე განაწილდება:

ახალი კონცეფცია



პროდუქტის ჯგუფის №	მოგების წილი	პროდუქტის ჯგუფის წილი მოგებაში	წვლილი ჯამური შედევით, %	ჯგუფის წვლილი საბოლოო შედევში
4	5200	52	52	ჯგუფი A 75 %
13	2300	23	75	
9	800	8	83	
19	400	4	87	ჯგუფი B 10 %
10	300	3	90	
14	300	3	93	
2	200	2	95	
8	100	1	96	ჯგუფი C 5 %
6	90	0,9	96,9	
16	70	0,7	97,6	
17	50	0,5	98,1	
15	40	0,4	98,5	
3	30	0,3	98,8	
5	30	0,3	99,1	
12	20	0,2	99,3	
18	20	0,2	99,5	
20	20	0,2	99,7	
1	10	0,1	99,8	
7	10	0,1	99,9	
11	10	0,1	100	

ახალი ეკონომისტი

ესეა დაეშვათ, რომ ყველა ამ პროდუქტის ჯგუფების მართვისთვის ან რეკლამირებისთვის დანახარჯი ერთნაირი გაქვთ განსაზღვრული და ერთი ჯგუფის მართვა გიჯდებათ 10 ლარი. შესაბამისად, თქვენი სრული დანახარჯია

= 20*10= 200 ლარი

თუ თქვენ დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით გადაწყვეტთ, რომ ორჯერ გაზარდოთ A ჯგუფის პროდუქტების მომსახურება, C ჯგუფის შეამციროთ ორჯერ, ხოლო B ჯგუფის დატოვოთ

იგივე, მთლიანად ყველა ობიექტის მართვა დაგიჯდებათ

=2*20+5*10+13*5=155 ლარი

ცხადია, ეფექტი სახეზეა.

პარეტოს პრინციპი და ABC ანალიზი რესურსების ოპტიმიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო ტექნოლოგიებია. რესურსების ოპტიმიზაცია ცხადია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისის დროს, მაგრამ კომპანია, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობაში დიდ ყურადღებას აქცევს ეფექტურობას, ხარჯების ოპტიმიზაციას, ყოველთვის კონკურენტულ პოზიციას ინარჩუნებს ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Koch, R., The 80/20 Principle: The Secret of Achieving More with Less
2. *What is 80/20 Rule, Pareto's Law, Pareto Principle* <http://www.80-20presentationrule.com/whatisrule.html>
3. Joseph Juran, A. Blanton Godfrey Juran's Quality Handbook McGraw Hill
4. The Forbes top 100 billionaire rich-list <http://www.thisismoney.co.uk/money/news/article-1607938/The-Forbes-100-billionaire-rich-list.html>
5. Rooney, Paula (October 3, 2002), *Microsoft's CEO: 80-20 Rule Applies To Bugs, Not Just Features*, ChannelWeb



ემზარ ჯულაყიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მოტივაცია – მამოძრავებელ ძალთა ერთობლიობაა, რომელიც ადამიანს ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისაკენ უბიძგებს. ეს არის ადამიანის მიერ ცნობიერ, თუ არაცნობიერ დონეზე გაკეთებული არჩევანი ამა თუ იმ ქცევის მიმართულებით, რაც შიდა და გარე ფაქტორების შემოქმედებით ხორციელდება.

ორგანიზაციის მართვის პროცესში, მენეჯერის ფუნქციაა მონაწილეობის თანამშრომელს, რათა მან მთელი ენერჯით შეასრულოს დაკისრებული სამუშაო. მისი მოვალეობაა, რომ დაინახოს, მოძებნოს ყველა შესაძლო მიმართულება თანამშრომლის შესაძლებლობებს, მის ინტერესებსა და შესასრულებელ საქმეს შორის. ანუ, შექმნას მოტივაციური ღერძი და განავითაროს ორგანიზაციის სამუშაო პოტენციალი. როგორც ყველა დროის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მენეჯერმა, ლი იაკოკამ განაცხადა: “მენეჯმენტი სხვა არაფერა, თუ არა ადამიანების მოტივაცია”.

მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, მოტივირება, ემსახურება როგორც პირადი, ასევე ორგანიზაციული ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ანუ, მოტივირება განუყოფლად დაკავშირებული ადამიანის მოთხოვნილებებთან. მოთხოვნილება არის ადამიანის მიერ აღქმული უკმაყოფილება იმისა, რაც მის გარეთაა და რაც აუცილებელია მისი ნორმალური ცხოვრებისათვის. მოთხოვნილებები განსაზღვრავენ ადამიანთა ქცევის მოტივებს. ხოლო ეს უკანასკნელი კი – მთელ მის საქმიანობას, აზროვნებასა და გრძნობებს. ეფექტური მენეჯმენტი ყოველთვის ცდილობს შექმნას კოლექტივში ისეთი სიტუაცია, სადაც თითოეულ მუშაკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ამ ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე იყოს დამოკიდებული.

მოტივი არის ადამიანის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზეც იგი წინასწარგანზრახულ ქმედებას ახორციელებს. მოტივები ადამიანთა სულის ყველაზე მგრძობიარე სიშებია, რომელზე შემოქმედებითაც ადამიანთა უზარმაზარი კოლექტივების ყველაზე ეფექტიანო, ნებაყოფლობითი მართვაა შესაძლებელი. ე.ი. მოტივი არის ქმედების, საქციელის გამომწვევი სურვილი, აღძრავი მიზეზი, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან.

იმისათვის, რომ ორგანიზაციამ მიაღწიოს თავის მიზნებს, საკმარისი არაა ორგანიზაციული, ტექნიკური, რესურსული საკითხების გადაწყვეტა და თუნდაც კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა; ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია შრომის პროცესის ისეთი ორგანიზება, რომ ყოველმა მომუშავემ მაქსიმალური ძალისხმევა გამოავლინოს დასახული მიზნების მისაღწევად. როგორც ეკონომიკის ისტორია, ასევე მეცნიერული გამოკვლევები და პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიაღწიოს თავის მიზნებს და მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, როცა ის სათანადოდაა მოტივირებული, როცა მას საამისოდ რეალური სტიმული აქვს.

რასაკვირველია, არასწორია იმის მტკიცება, რომ მომუშავეთა შრომითი ქცევა და შრომის შედეგები მხოლოდ მათი მოტივირებით განისაზღვრება, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ადამიანთა მოტივირების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. აქ მთავარია იმის გარკვევა, თუ რა ფაქტორები იწვევს ადამიანთა მოტივირებას და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, იმუშაონ მაქსიმალური ძალისხმევითა და მაღალი შედეგიანობით.



ეროვნული
ცენტრის
გამომცემლობა

უნდა აღინიშნოს, უმეტეს ადამიანს ახალი სამუშაოს დაწყებისა და ახალ ორგანიზაციაში სამომავლო საქმიანობის მოტივები, როგორც წესი, დეტალურად განსაზღვრული, ანუ სისტემურად ჩამოყალიბებული არა აქვს. მას შეიძლება ერთ-ორი, მისთვის მთავარი და პრიორიტეტული მოტივი ჰქონდეს გაცნობიერებული, ხოლო დანარჩენები არსებობდეს ინტუიციურ, ქვეცნობიერ დონეზე და საქმიანობის შემდგომ ეტაპებზე გამოჩნდეს. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ისეთი მენეჯმენტი, რომელმაც უნდა დაინახოს და ცდილობდეს კარგად გაიგოს, თუ რა კონკრეტული მოტივები, მოთხოვნილებები და ინტერესები ამოძრავებს პერსონალს, რისკენ ისწრაფვიან და რას მოვლიან ისინი მომავალში, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ მათ თავიანთ საქმიანობაში, რა შეუწყობს ხელს მათი მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვან ზრდას და რა არა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე იმას, რომ მომუშავეები სიამაყეს გრძნობდნენ ორგანიზაციის წევრობით, ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს აღიქვამდნენ როგორც საკუთარს, ნათლად ხელაღდნენ თავიანთ ადგილსა და როლს მათ ორგანიზაციის მიზნის მიღწევაში, ერთმანეთს ერწყმოდნენ საერთო-ორგანიზაციული და პიროვნული ინტერესები, აღიარებული და გათავისებულ იქნეს ორგანიზაციის სტრატეგიული ინტერესების პრიმატი.

მომუშავეთა შრომითი ქცევის გაგებისა და სტიმულირების დასაბუთებული, ეფექტიანი სისტემის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის იმ ფსიქოლოგიური კანონზომიერებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნას, რომლებიც შრომითი მოტივირების საფუძველს წარმოადგენენ. კერძოდ:

- ადამიანის საქმიანობაზე არა ერთი, არამედ ბევრი მოტივი მოქმედებს. მისი სწორი აღქმა ეხმარება მენეჯერს იმაში, რომ თავიდან აიცილოს მოტივების კონფლიქტი. საქმე იმაშია, რომ როცა სხვადასხვა მოტივები ადამიანისაგან განსხვავებულ მოქმედებასა და გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს;

- ადამიანის ქცევაზე მოქმედ მოტივებს შორის ერთგვარი ურთიერთკავშირიც არსებობს. შედარებით სუსტი მოტივი შეიძლება კომპენსირებული ან გაწონასწორებული იქნეს უფრო ძლიერი მოტივებით. მაგალითად, როცა არაპრესტიჟული სამუშაო მიმზიდველი ხდება მაღალი ხელფასის გამო და პირიქით – შრომის არცთუ მაღალი ანაზღაურება შეიძლება კომპენსირებულ იქნეს იმით, რომ სამუშაო

მაღალპრესტიჟულია და შემოქმედებით მიდგომას საჭიროებს;

- შრომით ქცევაზე უფრო მეტად მოტივირებული ახდენს ისეთი მოტივები, რომელთა საფუძველიც ადამიანის საარსებო მოთხოვნილებებია. შესაბამისად, მათ უფრო ჰაღალი ადგილი უკავიათ შრომითი მოტივირების იერარქიაში. თანამედროვე ლიტერატურაში არსებობს ადამიანის მოთხოვნილებათა საკმაოდ ბევრი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული კლასიფიკაცია, ამათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია მასლოუს კლასიფიკაცია. ადამიანის მოთხოვნილებები განაპირობებენ მის სწრაფვას დაკმაყოფილებისაკენ. ეფექტურმა მენეჯმენტმა უნდა გაიაზროს და შესაბამისად ამოქმედოს ყველა ის მექანიზმი, რომელიც ორგანიზაციული მიზნების განხორციელებისაკენ წარმართავს პერსონალს, მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით;

- შეუძლებელია ადამიანის მოთხოვნილებებზე უშუალო დაკვირვება, ან მისი სიდიდის გაზომვა. მათი არსებობის შესახებ, მხოლოდ ამ ადამიანის ქცევიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ. კერძოდ კი, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გარდაიქმნებიან ქცევის მოტივებად. იქიდან გამომდინარე, რომ მოთხოვნილებები ადამიანში მათი დაკმაყოფილების მისწრაფებას აჩენს, მენეჯერმა უნდა შექმნას ისეთი სიტუაცია, სადაც ადამიანები იგრძნობენ, რომ მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ქცევით, რომელიც ამავე დროს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას ემსახურება;

- ამა თუ იმ მოტივის მნიშვნელობა და მისი ადგილი მოტივთა იერარქიაში შეიძლება სიტუაციის მიხედვითაც იცვლებოდეს. მაგალითად, იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ახალ ორგანიზაციაში სამუშაოს დაწყებისას წინა პლანზე წამოიწვეს ისეთი მოტივები, რომლებიც ახალ გარემოში ადაპტირებას, კოლეგებთან პირადი კონტაქტების დამყარებას უკავშირდება. მაგრამ შემდგომ, როცა მომუშავე მოტივანად ადაპტირდება ორგანიზაციაში, თავის სტრუქტურულ ქვედანაყოფსა და სამუშაო ადგილზე, შეიძლება გაიზარდოს ისეთი მოტივების მნიშვნელობა, რომლებიც თანამედრობრივ და პროფესიულ წინსვლას უკავშირდება;

- ადამიანები მისწრაფიან ორგანიზაციასა და მის თანამშრომლებთან სამართლიანი ურთიერთობების დამყარებისაკენ და ცდილობენ შეცვალონ ის შრომითი ურთიერთობები,

ახალი ეპოქის



რომელთაც ისინი არასამართლიანად მიიჩნევენ. სამართლიანობის დარღვევა წარმოშობს დაძაბულობასა და უარყოფით უკუქმედებას. ისწრაფვის რა ორგანიზაციასთან სამართლიანი ურთიერთობების დასამყარებლად, მომუშავე გარკვეულ შედარებებს აკეთებს, კერძოდ: საკუთარ თავს ადარებს მოცემული ორგანიზაციის სხვა მომუშავეებს; საკუთარ თავს ადარებს სხვა ორგანიზაციის ანალოგიურ მომუშავეებს; აანალიზებს და აფასებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მის ცოდნასა და გამოცდილებას ამ ორგანიზაციისათვის და რა კონკრეტული წვლილი შეაქვს ორგანიზაციის საქმიანობაში;

• დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციის გრძელვადიანი სწორი კურსის არჩევას, რათა ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები უზრუნველყოფილი იქნას მოტივირების მაღალი დონით. სამწუხაროდ, ბევრი ხელმძღვანელი დაქვემდებარებულთა მოტივირების პრობლემას მარტივად და პრიმიტიულად უყურებს. ფიქრობენ, რომ – “მიეცი მაღალი ხელფასი და ის კარგად იმუშავებს”. ასეთი სერეჟე მიდგომით, ის შეიძლება ბევრ სირთულეს წააწყდეს, კერძოდ – მოტივირების დაქვეითებას მომუშავეთა შრომის ნაყოფიერებისა და ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეში;

მენეჯერს კარგად უნდა ესმოდეს, რომ არც შესანიშნავი გეგმები, არც ორგანიზაციის სრულყოფილი სტრუქტურა, თავისთავად არ განაპირობებს ადამიანების მონდომებას. სწორედ, მოტივირების ფუნქციამ უნდა შექმნას ორგანიზაციაში მისი წევრების მიერ თავისი მოვალეობების კეთილსინდისიერი და მაღალი ხარისხით შესრულების წინაპირობა. მოტივაციის ფუნქცია მენეჯმენტის სხვა ფუნქციებთან მჭიდროდაა დაკავშირებული. კერძოდ:

• მოტივაციის და დაგეგმვის ფუნქციებს შორის კავშირის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ, მოტივაციის დაგეგმვის საშუალებით ხერხდება ორგანიზაციის ყველა წევრის ძალისხმევის ერთი მიმართულებით წარმართვა. მის ფარგლებში ხდება შესუღწეული რესურსების გადანაწილება, გარემოსთან შეგუება, ორგანიზაციის ძლიერი მხარეების გამოყენება და სუსტის კომპენსაცია, ორგანიზაციის გამოცდილების გათვალისწინება და ა.შ. მიზნების ჩამოყალიბების პროცესი, როგორც დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტი იმას უწყობს ხელს, რომ თანამშრომლების მოქმედება გააზრებული და მოტივირებული იყოს. მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბებული მიზნები მომუშავეთა გამოწვევას შეიცავდეს, მაგრამ ამასთან ერთად იგი რეალური,

მიღწევადი, უსაფრთხო და სამართლიანი უნდა იყოს.

• მოტივაციის და ორგანიზების ფუნქციების შორის ურთიერთობა ადამიანთა საქმიანობის მწყობრი სისტემის ფორმირებისკენაა მიმართული. ამ ფუნქციათა შერწყმის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს პერსონალის მოტივაციურ არხზე გადაყვანის ორგანიზება. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ხელმძღვანელობისათვის მისაღები ქცევის ფორმებს და პერსონალისათვის აქტიურობის გამოვლენის ძირითად მიმართულებებს;

• მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციებს შორის კავშირი მდგომარეობს იმაში, რომ სწორად შეფასდეს რეალურად მიღწეული შედეგები და შედარდეს იგი დაგეგმიდს. მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციების კავშირი გვხვდება საწარმოო დავალების შესრულების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით კი – მის საწყისს და საბოლოო ეტაპზე. ადამიანებზე ყველაზე მეტად დასკვნითი ეტაპის კონტროლი მოქმედებს, რის მიხედვითაც განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს შედეგი და შესაბამისად, დასჯისა თუ წახალისების ხარისხი;

• მოტივაციის, რეგულირებისა და კოორდინაციის ფუნქციების კავშირი იმაში მდგომარეობს, რომ დასმული ამოცანების შესასრულებლად და განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სწორად საჭიროა აირჩეს რამდენიმე ალტერნატივიდან საუკეთესო. რეგულირების ფუნქციასა და მოტივაციას შორის არსებული კავშირი ვლინდება ისეთი საკითხების განხილვისას, როგორცაა: თუ რამდენად სწრაფად და დროულად ხდება გადაწყვეტილებების მიღება და სათანადო რეაგირება წამოჭრილ პრობლემებზე, დაცულია თუ არა სამართლიანობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება პერსონალის მოტივაციის პრობლემას); ჩართულია თუ არა სრულად გადაწყვეტილების მიღების პროცესში შემსრულებელი პერსონალი და მსგავსი მრავალი სხვა საკითხი. გადაწყვეტილების მიღებაში თანამშრომლების ჩართულობა აკმაყოფილებს ადამიანის ორგანიზაციისადმი მიკუთვნებულობის მოთხოვნილებას, ამცირებს კონფლიქტების შესაძლებლობას, ერთ მუშტად კრავს კოლექტივს და მთლიანობაში ზრდის შრომის შედეგიანობას.

ამდენად, ორგანიზაციის პერსონალის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მიზანმიმართული ქმედებაა და პიროვნების აქტიობის წყაროს წარმოადგენს. როდესაც მიზანი გაცნობიერებულია, ადამიანი ამ უკანასკნელის



დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებად ორგანიზაციის მიზნის მიღწევას განიხილავს. როგორც აღინიშნა, მოტივაციაში იგულისხმება ყველაფერი ის, რასაც ადამიანი თავისთვის მიიჩნევს ფასეულად. მაგრამ ფასეულობის ცნება სუბიექტურია და შესაბამისად მოტივაციის შეფასებაც ანალოგიურია. მაგალითად, მცირე შემოსავლიან ადამიანთა უმრავლესობისათვის, 500 ლარით დაჯილდოება აღქმული იქნება, როგორც ძალიან ფასეული დაჯილდოება. ხოლო ეკონომიკურად შეძლებული ადამიანისათვის კი, შეიძლება სიმბოლური სუვენირი იყოს უფრო ფასეული, ვიდრე აღნიშნული თანხის გადაცემა.

საწარმოო პრაქტიკა ძირითადად ორი ტიპის მოტივაციას ცნობს: შინაგან და გარეგან მოტივაციას. შინაგან მოტივაციას იძლევა თვითონ სამუშაო. კერძოდ კი – მისი შინაარსობრიობა. ეს არის კმაყოფილების შეგრძნება გარკვეული შედეგის მიღწევისას, ანუ თვითპატივისცემის გრძნობა. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა, ასევე ითვლება როგორც შინაგანი მოტივაცია. ხოლო თუ ადამიანს საკუთარი საქმე არ უყვარს, იგი მას წარმატებით ვერ შეასრულებს. კონკრეტული მუშაის წარუმატებელ საქმიანობას კი მთლიანი ორგანიზაციის წარუმატებლობაში შეაქვს წვლილი. სწორედ ამიტომ არის რომ თანამედროვე ორგანიზაციები საკუთარ საქმეზე შეყვარებულ თანამშრომელებს ეძებენ და ვაკანსიების განთავსებისას აპლიკანტებს ერთ-ერთ აუცილებელ პირობად თვით-მოტივირებულობას უყენებენ.

გარეგანი მოტივაცია – ეს არის მოტივაციის ისეთი ტიპი, რომელიც ყველაზე ხშირად აღიქმება ჩვენში სიტყვა “მოტივაციის” ხსენებისას. გარეგანი მოტივაცია წარმოიქმნება არა თვით სამუშაოსაგან, არამედ მიიღება ორგანიზაციისაგან. გარეგანი მოტივაციის მაგალითებია – ხელფასი, ხელფასზე დანამატი, პრემია, საშვებულებო და სადაზღვევო ანაზღაურება, სამსახურებრივი დაწინაურება, სამსახურებრივი პრესტიჟის სიმბოლოები (პირადი კაბინეტი, სამსახურებრივი ავტომანქანა, მობილური ტელეფონის ხარჯების ანაზღაურება და ა.შ.).

მოტივაციის ქმედითი სისტემა ძირითადად ეყრდნობა ლოდინისა და სამართლიანობის თეორიებს. ლოდინი და შესაბამისად სამართლიანობა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ხელმძღვანელის მიერ მიცემული პირობის შეფასება. შრომისაღმ მიტივაციის ანალიზის დროს აღნიშნული თეორიები გამოყოფს სამი ურთიერთკავშირის მნიშვნელობას:

- “შრომითი დანახარჯები” და “შრომის შედეგები”;
- “შრომის შედეგები” და “მოტივაციის მექანიზმი”;
- “მოტივაციის მექანიზმი” და “მატერიალური წახალისება”.

კერძოდ, თუ ადამიანი გრძნობს, რომ პირდაპირი კავშირი მისი შრომის ძალისხმევასა და მიღწეულ შედეგებს შორის არ არსებობს, მაშინ ლოდინის თეორიის თანახმად მოტივაცია იწყებს შესუსტებას. ასევე, თუ ადამიანი ვერ იგრძნობს მკაფიო კავშირს მიღწეულ შედეგებსა და სასურველ წახალისებას შორის, შრომითი მოტივაცია ასევე დაიწყებს შესუსტებას და ანალოგიურად, თუ ადამიანმა დაინახა, რომ მიღწეული შედეგები სამართლიანად არ წახალისდა, მოტივაცია ამ შემთხვევაშიც იქნება სუსტი. ანუ, მოტივაციის განმსაზღვრელი ამ სამი კრიტიკული ფაქტორიდან, თუ ნებისმიერი იქნება სუსტი, მაშინ მოტივაცია იქნება სუსტი და შრომის შედეგები დაბალი.

უფრო მეტიც, გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ მუშაკი მაქსიმალურად მოტივირებულია სამსახურში აყვანიდან 3-6 თვის განმავლობაში. შემდეგ კი, თუკი არ არსებობს რიგი წამახალისებელი ფაქტორები, მას მოტივაცია უქვეითდება. სწორედ აქ დგება მენეჯმენტის პრობლემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პერსონალის სისტემური მოტივაცია და ამ მოტივაციის წარმართვა ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებისაკენ. ანუ, რაც უფრო მოტივირებულია მუშაკი, მით უფრო წარმატებულია ორგანიზაცია. შესაბამისად, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზაციაში პერსონალის სისტემური მოტივაციას. ესენია:

- **ხელფასი.** თავისთავად ცხადია, რომ შრომის ანაზღაურება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელქვეითის მოტივაციაში. ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ მის შრომას და მონდომებას სათანადოდ აფასებენ და ეს ყველაზე კარგად ხელფასის ოდენობაში გამოიხატება.
- **სამუშაოთა განაწილება** თანამშრომელთა შორის. თუკი ადამიანს არ მოსწონს მისი სამუშაო, მის მოტივირებას, უბრალოდ, არც კი ექნება აზრი. ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ხელქვეითზე დაკისრებული მოვალეობა შეესაბამება მის კვალიფიკაციას და ინტერესს აღძრავს მასში.
- **კარიერული პერსპექტივა** და პროფესიული განვითარება. რაც არ უნდა

ახალი პარონიზმი

მაღალანაზღაურებადი იყოს სამსახური, პროფესიონალთა უმეტესობისთვის იგი არ იქნება მიზიდველი, თუკი არ იარსებებს კარიერული და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა. შესაბამისად, ტრენინგებიც ძალზედ მნიშვნელოვან მოტივატორს წარმოადგენენ მენეჯერის ხელში.

• **ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრობა.** ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის საქმიანობაში და გამოხატოს აზრი მის შესახებ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ყოველი ხელქვეითი უნდა გრძნობდეს თავის, პიროვნულ როლს ორგანიზაციის ფუნქციონირებაში.

• **მორალური წახალისება.** სიტყვიერმა შექებამ შესაძლოა უფრო დიდი ეფექტი მოგვიტანოს, ვიდრე მატერიალური ანაზღაურების გარკვეულმა ზრდამ.

• **გამჭირვალობა მართვაში.** ყოველმა თანამშრომელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ რას ემსახურება ორგანიზაცია და როგორია მისი მისია, სტრატეგია და მიზნები.

• **სამუშაო გარემო.** დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა პირობებში უწევს ადამიანებს მუშაობა. მაქსიმალურად სრულყოფილ სამუშაო გარემოს დიდი ძალა აქვს თანამშრომელთა მოტივაციის საქმეში.

• **მეგობრული ატმოსფერო.** მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე – ატმოსფერო და განწყობა

კოლექტივში, რომელიც მოტივაციაზე და საბოლოო ჯამში, შრომის პროდუქტიულობასა და შედეგებზე ახდენს გავლენას. ხელმძღვანელმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

• **სოციალური უზრუნველყოფა.** მინიმალური სოციალური უზრუნველყოფაც კი იწვევს თანამშრომელში მოტივაციას, რადგან ადამიანს უნდება სტაბილურობის შეგრძნება, რაც კეთილსინდისიერი მუშაობისკენ უბიძგებს მას.

სამწუხაროდ, ხაკმაოდ ბევრი ხელმძღვანელი დაქვემდებარებულთა მოტივირების პრობლემას მარტივად და პრიმიტიულად უყურებს. ფიქრობენ, რომ: “მიეცი მაღალი ხელფასი და ის კარგად იმუშავებს”. ასეთი ზერელე მიდგომით, ის შეიძლება ბევრ სირთულეს წააწყდეს, კერძოდ – მოტივირების დაქვეითებას მომუშავეს შრომის ნაყოფიერებისა და ხარისხის შეზღვევით ამადლების საქმეში. მენეჯერს კარგად უნდა ესმოდეს, რომ არც შესანიშნავი სტრატეგიული გეგმები, არც ორგანიზაციის სრულყოფილი სტრუქტურა, თავისთავად არ განაპირობებს ადამიანების მონდომებას. სწორედ, სისტემურმა მოტივაციამ უნდა შექმნას ორგანიზაციაში მისი წევრების მიერ დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერი და მაღალი ხარისხით შესრულების მუდმივი წინაპირობა.

ბამოქმენებულ ლიტერატურა:

1. ამსტრონგი მ. ადამიანური რესურსების მართვა, თბილისი, 2004 წ.
2. არტურ ა. ტომპსონი-უმც., ა.ჯ. სტრიკლენდი. სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და ბიზნეს-სიტუაციები, მე-13 გამოცემა: ნათ. ინგლ. – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ.
3. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ, აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება, “ინოვაცია”, თბილისი, 2007 წ.
4. გურაბანიძე ვ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, 2009 წ.
5. შენგელია თ. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. გამომცემლობა “ახალი საქართველო”, თბილისი, 2008 წ.
6. ჯულაყიძე ე. მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი, აწსუ, 2009 წ.
7. ჯულაყიძე ე. ჯულაყიძე შ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011 წ.
8. Allan J. How to Be Better at Motivating People, Kogan Page, London, 1997
9. Drucker, P. F. Management: Tasks, Responsibilities, Practices, , New York, 1974
10. Fenton John ‘ 101 Ways to Boost Your Business Performance’, Mandarin Business, pp. 113, 1990
11. Льюис Дж. Управление командой, М. 2004 г
12. Маслоу А. Мотивация и личность, 3-е изд, 2008 г.
13. Обер-Крие Дж. - Управление предприятием: Классика менеджмента / пер. с французского Ф.Р. Окунев, А.П. Сизов. – М. : Сириню 1998 г.
14. Lee Iacocca. Where have All the Leaders Gone? // RHYTHM journal-æððíæ ÐíÒì, 2009 (4),

http://www.rhythmjournal.com/folder2009_2/journal_archive/page2009_2_15.pdf

№3(22), 2011 წელი



ელზა ბალაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი



ზაირა ლულუშაური

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი

ახალი კომპანიები

კომპანიები წარმოიქმნებიან, ვითარდებიან, აღწევენ აყვავების და სიმწიფის ხანას, შემდეგ ბერდებიან და ბოლოს წვეეტენ ფიზიკურ არსებობას. მთელი ეს პერიოდი იწოდება კომპანიის სასიცოცხლო ციკლად. ეს არის კომპანიის შექმნის და ფუნქციონირების პერიოდი, რომლის განმავლობაში ხდება მისი მდგომარეობის თანამიმდევრული ცვლა. სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა სხვადასხვა კომპანიაში სხვადასხვაა. ზოგიერთი კომპანია, სხვადასხვა ცვლილებების განხორციელებით ახერხებს იცოცხლოს რამოდენიმე ათეული და ასეული წელიც კი, ზოგიერთი კი ორ დღეში იღუპება. საერთო ჯამში ხანმოკლე სიცოცხლის მქონე კომპანიების რიცხვი აღემატება დღეგრძელთა რიცხვს. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში 100 ახლადშექმნილი ფირმიდან 5-წლის ასაკს აღწევს მხოლოდ 20 კომპანია, ხოლო 10-წლის ასაკს - 4-5 ფირმა. გამოკვლევებით დადგინდა ისიც, რომ ევროპულ და იაპონურ ფირმათა საშუალო ასაკი 12,5 წელია, ტრანსნაციონალური კომპანიებისა კი - 40-50 წელი [1, გვ. 3]. მსხვილი ფირმები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მცირე ფირმები, ამიტომ ეს ფაქტორი ხშირად მათი გაერთიანების, და, ამ, გზით მათი გადარჩენის მოტივი ხდება.

კომპანიების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორისაა: წარმოებული პროდუქციის ტიპი, შესრულებულ სამუშაოთა ხასიათი, კომპანიის სიდიდე, კომბინირების

ხარისხი, დივერსიფიკაცია, პორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია, ტექნიკური დონე, მართვის დონე და ა. შ.

კომპანიების განვითარება შეიძლება აღიწეროს სასიცოცხლო ციკლის მრუდით, რომლის ხასიათს და ხანგრძლივობას განსაზღვრავს კომპანიის ფუნქციონირების კონკრეტული პირობები, ცვლილებებისადმი მისი მისადაგებულობის თავისებურებები. აქედან გამომდინარე, როგორც ავღნიშნეთ, სხვადასხვა კომპანიის სასიცოცხლო ციკლი სხვადასხვა ხანგრძლივობისაა.


კომპანიის სასიცოცხლო ციკლი რამოდენიმე ეტაპისაგან შედგება. ერთი ეტაპი გადადის მეორეში, მეორე მესამეში და ა. შ. ამასთან, ეს ეტაპები შემთხვევით კი არ დგება, არამედ ობიექტურად და წინასწარ გაცნობიერებულად ცვლიან ერთმანეთს.

იმის მიუხედავად, რომ კომპანიის სასიცოცხლო ციკლის სტადიებზე მეცნიერებს შორის დისკუსია დღესაც გრძელდება, ისინი მაინც ერთი აზრის არიან იმაში, რომ სრული სასიცოცხლო ციკლი აუცილებლად მოიცავს ფორმირების, ინტენსიური ზრდის, სტაბილიზაციის და დაცემის ეტაპებს (ნახ. 1). ფორმირების ეტაპი ეს იგივე სამეწარმეო ეტაპია, ინტენსიური ზრდის ეტაპი - კოლეგიალობის (კოლექტიურობის) ეტაპი, სტაბილიზაციის ეტაპი - იყოფა ორ ქვეეტაპად - საქმიანობის ფორმალ-ზაციის და რესტრუქტურის ეტაპებად, ხოლო დაცემის ეტაპს სხვა სახელწოდება არა აქვს და ამ ეტაპზე ხდება კომპანიების პროდუქტებზე



მოთხოვნის შემცირება, მცირდება მოგება, იზრდება კადრების დენადობა, მწვავედება კონფლიქტები და ა. შ. არ არის აუცილებელი, რომ დაცემის ეტაპი კომპანიის ლიკვიდაციით

დამთავრდეს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია კომპანიის მენეჯმენტი, რა ცვლილებებს ახორციელებს იგი ფირმაში და როგორ პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს.



ნახ. 1. კომპანიის ტიპური სასიცოცხლო ციკლის სქემა.

როგორც უკვე ავლინებთ, კომპანიის სასიცოცხლო ციკლის შესახებ, მეცნიერებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ამერიკელმა მეცნიერმა ი. ადიზესმა სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა კომპანიის სასიცოცხლო ციკლის მოდელი [2], რომელიც იმეორებს ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლს და ამ სტადიებს – დაბადება, ბავშვობა, სიჭაბუკე, სიჭარმაგე და სიბერე (რომელიც სიკვდილით მთავრდება).

ი. ადიზესის დამსახურება იმაშია, რომ მან კომპანიის სასიცოცხლო ციკლში იპოვა და ერთმანეთს დაუკავშირა მისი საქმიანობის ორი პარამეტრიც – მართვადობა და მოქნილობა. მან დაადგინა, რომ შექმნილი კომპანიები საწყის ეტაპზე მეტად მოქნილი და მოძრავი არიან, მაგრამ ძნელად სამართავნი, შემდეგ სტადიებზე კი კომპანიები მართვადნი ხდებიან, მაგრამ აღარ არიან მოქნილი.

ი. ადიზესის კლასიფიკაციის პირველი ეტაპი ბიზნეს-იდეის დაბადება, ფორმულირება, კომპანიის წარმოქმნისათვის საფუძვლის მომზადებას წარმოადგენს (Couriship). მეორე ეტაპი კომპანიის განვითარების ადრეული სტადია ანუ ბავშვობა (Ingancy), მესამე ეტაპი – სწრაფი განვითარების ეტაპია (Cი-ფი – მომეცი – მომეცი). ამ საფეხურზე კომპანია არასისტემურად ვითარდება, სჭირდება დიდალი თავისუფალი ფული. მესამე ეტაპი – სიჭაბუკე (Adolescence) ხანგრძლივი და მტკივნეული

ეტაპია. ამ ეტაპზე კომპანია 'თავიდან იბადება'. იცვლება პრიორიტეტები. მთელი ყუარდლება გადადის არა ბიზნესის აწყობაზე (ამ ეტაპზე იგი უფრო აწყობილია), არამედ მის მართვასა და ორგანიზაციაზე. ამ ეტაპზე კომპანიის დამფუძნებლები ან თვითონ ყალიბდებიან პროფესიონალ მენეჯერებად. ანდა გარედან იწვევენ მათ. შემდეგი ეტაპია სიჭაბუკე (Prime). ამ ეტაპზე კომპანიაში მოქნილობა და მართვადობა ბალანსირდება. მისთვის დამახასიათებელია დაბალანსებული ზრდა, კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მიზანმიმართება, გუნდური მუშაობა, ინტეგრაცია, განვითარების სტრატეგიის დასაბუთება და ა. შ. განვითარების ეს ეტაპი ახალ-ახალი ძალების და რესურსების წყალობით შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს. თუ ეს არ მოხდა და კომპანიამ დაკარგა სამეწარმეო უნარი, იგი წყვეტს ზრდას და ფირმაში იწყება სტაბილიზაცია. ეს არის კომპანიის მუშაობის ყველაზე წყნარი პერიოდი, სიმწიფის ეტაპი. ფირმა ამ ეტაპზე ვითარდება, მაგრამ მეტად მცირედ. ნაკლებად ხდება ინოვაციების შრომის წახალისება, მცირდება ინოვაციები, არხდება ცვლილებების წახალისება. კომპანიის სასიცოცხლო ციკლში ამ ფაზას მოსდევს არისტოკრატიზმის (Aristocracy) ფაზა. მას ახასიათებს კომპანიის მიღწევებზე და ფასეულობებზე ძლიერი კონცენტრაცია.

ახალი პერიოდის



განვითარება ამ ეტაპზე ძირითადად მიმდინარეობს ძველი იდეების ექსპლუატაციით. შემდეგ ფაზაში – ბიუროკრატიუ-ლობა (Bureaucracy). ფირმა მთლიანად კარგავს მობილურობას, ცვლილებების განხორციელების და, რაღა თქმა უნდა, განვითარების უნარს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გადარჩენისთვის ბრძოლა. კომპანიის საქმიანობა თანდათან არაეფექტური ხდება და თანდათან კვდება (Death). ეს ნიშნავს ფირმის სრულ ლიკვიდაციას, რაც მისი აქტივების გაყიდვით მთავრდება.

ნებისმიერ კომპანიას თავის განვითარების მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში სიძნელეები და პრობლემები ხვდება. რუსი მეცნიერების ფილონოვიჩის და კუშელევიჩის აზრით, ეს სიძნელეები შეიძლება დავეოთ ზრდის ავადმყოფობადად და ორგანიზაციულ პათოლოგიებად. ზრდის დაუძლეველი ავადმყოფობები გარდაიქმნებიან პათოლოგიებად, რომელთა მკურნალობას კომპანია დამოუკიდებლად ვერ შეძლებს. ამიტომ, ფირმის ხელმძღვანელობა პრობლემების არ არსებობას კი არ უნდა ცდილობდეს, რადგან ასეთი სიტუაცია საერთოდ არ არსებობს, არამედ პათოლოგიების [3, გვ. 63].

კომპანიის განვითარების კლასიკური სქემა 1972 წელს აღწერა აშშ-ს პროფესორმა ლარი გრეინერმა [4, გვ. 55-68].

გრეინერი იძლევა საწარმოს ორგანიზაციული განვითარების 5-სტადიას, რომელიც ერთმანეთისაგან ორგანიზაციული კრიზისების მომენტებით არის დაშორებული:

- განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება შემოქმედებითობას და ლიდერობის დამამთავრებელ კრიზისს;
- განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობას და ავტონომიურობის დამამთავრებელ კრიზისს;
- განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება ძალაუფლების დელეგირებას და კონტროლის დამამთავრებელ კრიზისს;
- განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება კოორდინაციას და ნდობის დამამთავრებელ კრიზისს;
- განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას.

კომპანიის სასიცოცხლო ციკლის პირველი ეტაპი, რომელიც შემოქმედებით ეტაპადაც იწოდება, ეს არის მისი შექმნის, სტრუქტურის არჩევის ეტაპი, თავისებურად უნდა განვიხილოთ ურთიერთობების ჩამოყალიბება ფირმაში, სრული არაფორმალიზმი მართვაში. ასეთ დროს, კომპანია იწყებს განვითარებას მისი დამფუძნებლების შემოქმედებითი პოტენციალის წყალობით. აგრამ კომპანიის განვითარების კვალობაზე მის დამფუძნებლებს სულ უფრო და უფრო უჭირთ მართვა არაფორმალური კომუნიკაციების მეშვეობით. შულ უფრო მეტად საჭირო ხდება ახალი სპეციალიზებული ცოდნა, რომელსაც არსებული კადრები არ ფლობენ. შეუძლებელი ხდება არსებული ძალებით მართვა. დამფუძნებლებს შორისაც იწყება ინტერესთა და შეხედულებათა დაპირისპირება. ს ყველაფერი ხდება კომპანიის სასიცოცხლო ციკლში გაჩენილი პირველი კრიზისის – ლიდერობის კრიზისის მიზეზი.

ამ კრიზისიდან გამოსვლა შეიძლება: მართვის ფუნქციონალური სტრუქტურის შექმნით და თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავებით, დაგეგმვის, აღრიცხვის, ანგარიშგების, მონიტორინგის ფორმალური პროცედურების შემოღებით, კომპანიაში პროფესიული მენეჯერის დანიშვნით.

თუ ფირმამ თავი გაართვა ლიდერობის კრიზისს, მაშინ გადადის თავის განვითარების მეორე საფეხურზე – რეგულარული მენეჯმენტის დანერგვის სტადიაზე. ზოგჯერ, ამ ეტაპს დირექტიული განვითარების ეტაპსაც უწოდებენ, რომლის დროსაც ხდება შრომის ვერტიკალური და ჰორიზონტალური დანაწილება. Xდება ბიზნეს-პროცესების და მართვის პროცედურების ფორმალიზება. იქმნება და სრულყოფილდება მართვის სტრუქტურები.

ამ ეტაპზე კომპანიას ახასიათებს გადაწყვეტილებების მიღებაში მაღალი ცენტრალიზაცია. აქირავებული პერსონალი უჩვევა დავალებების შესრულების კულტურას, მმართველი პერსონალი კი – ქვედა დონისთვის დავალების მიცემას. შემოდის ბუღალტრული და მმართველობითი აღრიცხვა, იზრდება კომპანიის ეფექტიანობა. ამ ეტაპზე საქმიანობის წარმატებულად წარმართვა ნიშნავს იმას, რომ ფირმა ამ ეტაპზე არა ერთი ან ორი ათწლეული რჩება. მაგრამ, ადრე თუ გვიან, ჩნდება ბიუროკრატიზმის ელემენტები

ახალი ეპონომოსტი

- ქვედანაყოფები იზრდებიან და მათ შორის პორიზონტალური კავშირები რთულდება, წარმოიშვება კონფლიქტები, ძნელდება გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება, მართვის ქვედა რგოლები თანდათან იგრძნობენ ზედა რგოლების ზეწოლას და ა. შ. შედეგად იწყება **ავტონომიის კრიზისი**, საიდანაც გამოსასვლელად საჭირო ხდება:

➤ უფლებათა უმრავლესობის გადაცემა საშუალო რგოლის მენეჯერებს;

➤ საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის სტიმულირების ახალი სისტემის შემუშავება; ეს პრობლემა წყდება კომპანიის სასიცოცხლო ციკლის მესამე ეტაპზე. ას ასეც ეწოდება 'ძალაუფლების და პასუხისმგებლობის გადაცემის ეტაპი', რომლის დროსაც ხორციელდება მართვის დეცენტრალიზებული სტრუქტურაზე გადასვლა, ინერგება მართვის დივიზიონური და საპროექტო მართვის სტრუქტურა. უმაღლესი ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს სტრუქტურულ დაგეგმვაზე, ახალ საწარმოთა შექმნაზე და ა. შ. განვითარების ამ ეტაპს ახასიათებს ცენტრიდანული ძალები, რომელთა დასაძლევად, ფირმაში მართვის ცენტრი უნდა იყოს პროფესიონალურად ძლიერი. ამ ეტაპზე კომპანიაში ყალიბდება პასუხისმგებლობის ცენტრები, რაც ფირმას ეხმარება აღრიცხოს თითოეული ქვედანაყოფის წილი საბოლოო შედეგში და ამის მიხედვით ასტიმულიროს მისი ხელმძღვანელი - მისცეს მოგებიდან პროცენტი. ეს მექანიზმი შემდეგში, თანდათან იწყებს პერსონალის გათიშვას. ქვედანაყოფებს უნდებოდათ თავისი ლოკალური მიზნები, ინტერესები და მათზე მეტად ხდებიან ორიენტირებულნი. კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა კარგავს კომპანიაში არსებული დეცენტრალიზებული საქმიანობის კონტროლის უნარს. იწყება **კონტროლის კრიზისი**.

ამ კრიზისიდან გამოსასვლელად საჭიროა:

➤ ძლიერი შტაბური სტრუქტურების შექმნა, რომელიც კოორდინაციას უკეთებს ქვედანაყოფების საქმიანობას;

➤ ქვედანაყოფების ზოგიერთი ფუნქციების გადაცემა შტაბურ სტრუქტურებს;

➤ დაგეგმვის ფორმალური პროცედურების სერიოზული გადახედვა;

➤ ხარჯების სკრუპულუზური მონიტორინგი;

➤ ქვედანაყოფების გადაჯგუფება მათი ავტონომიურობის შემცირების მიზნით.

კომპანიების განვითარების მეორე ეტაპი არის კოორდინაციის ეტაპი, რომელსაც ცენტრალიზაციის ტენდენცია ახასიათებს. კომპანიის სტრუქტურაში ხდება სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულების ჩამოყალიბება, რომელთა გაერთიანებული ქვედანაყოფები პროდუქტული პრინციპით არიან აგებული. მათ აქვთ საკმარისი ოპერაციული დამოუკიდებლობა, მაგრამ ამასთან სტრატეგიული რესურსების ხარჯვის საკითხში მკაცრად კონტროლდებიან ცენტრიდან. ბოლოს და ბოლოს განვითარების ამ 'ყლორტზეც' ძლიერდება ბიუროკრატიული ტენდენციები. კონტროლის მკაცრი სისტემა უნდობლობას თესავს მართვის საშუალო და ქვედა რგოლის პერსონალს შორის. ეს უნდობლობა თანდათან წარმოიშვება ხაზობრივ და შტაბურ პერსონალს შორისაც. აგრეთვე, კომპანიის შტაბბინასა და პერიფერიებს შორის. იწყება **ნდობის კრიზისი**.

ნდობის კრიზისის დასაძლევად საჭიროა:

1. ვერტიკალურ სტრუქტურას დაემატოს პორიზონტალური;

2. მოხდეს გუნდური მუშაობის ჩვევების განვითარება;

3. მოხდეს გუნდების საქმიანობის მაკორდინებელი თანამდებობების შემოღება;

4. დაიყოს კომპანია რამდენიმე ნაწილად (ეს საჭიროა მართვის გასაადვილებლად);

5. სხვა კომპანიებთან შეიქმნას სტრატეგიული ალიანსები.

მეხუთე ეტაპი არის თანამშრომლობის ეტაპი. ამ ეტაპზე კომპანია გადადის თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაში. მისი მახასიათებლებია:

1. პრობლემის გადაწყვეტა გუნდური წესით;

2. ინოვაციებისთვის პრიორიტეტის მიცემა;

3. მართვის მატრიცული სტრუქტურის გამოყენება;

4. კონტროლის გამარტივება და ა. შ.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე კომპანიის თანამშრომლები მეტად ინტენსიურად მუშაობენ გუნდებში და მათმა ფიზიკურმა და ემოციურმა გადადღამ



აბალი აკონომისტი

შეიძლება გამოიწვიოს ე. წ. **ორბანიზაციული დაღლის კრიზისი**, რომლის გადალახვა შეიძლება მხოლოდ მთელი კომპანიის სრული ტრანსფორმაციით. დ. გრეინერი შენიშნავს, რომ განვითარების მეხუთე ეტაპზე ფირმამ ორიენტაცია უნდა აიღოს კომპანიის ქსელის შექმნაზე, შეერთებასა და შთანთქმაზე, პოლინგვის ჩამოყალიბებაზე და ა. შ. ამით იგი ინარჩუნებს სიცოცხლეს, ზრდის ენერჯიას და იხანგრძლივებს სასიცოცხლო ციკლს.

მსოფლიოში კომპანიების განვითარების პრაქტიკა ადასტურებს დ. გრეინერის მოდელის სამართლიანობას. განვითარების ამ ლოგიკას მიჰყვებიან ქართული ფირმებიც. ქედან გამომდინარე, საქართველოს კომპანიების მენეჯერებს მოეთხოვებათ მთელი რიგი პრინციპების ცოდნა და დაცვა:

1. მენეჯერმა უნდა იცოდეს განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფება მისი ფირმა;

2. მენეჯერმა უნდა გაითავისოს, რომ გადაწყვეტილებების რაოდენობა (ეარგანტი) შეზღუდულია;

3. მენეჯერმა უნდა იცოდეს, რომ ახალი გადაწყვეტილება წარმოშობს ახალ პრობლემას.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი პრინციპების, კანონზომიერებებისა და ეტაპების ცოდნა კომპანიის მენეჯერს ეხმარება უმიზნოდ არ გაფანტოს სახსრები, თავიდან აიცილოს ზოგიერთი პრობლემა და რაც მთავარია, დინამიურად და სისტემურად განავითაროს კომპანია.

ეტად სამწუხაროა, რომ ქართული ფირმის მენეჯერებმა არა თუ პრაქტიკულ, თეორიულ დონეზეც არ იციან ეს ყოველივე, რის გამოც ხშირია მათი გაკოტრებაც, და ლიკვიდაციაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pascuale B. Change Management. As a Core Competence. EFMD Forum. 13, 1997.
2. Adizes I. Corporate Lifecycles: What can we do to grow the low Corporation Lifecycles. Englewood Cliffs. N. J.: Prentice Hall. 1988.
3. Филопович С. Р., Кушелович Е. И. Теория жизненных циклов организации И. Адизеса и Российская действительность, М., 1996, с. 63.
4. Greiner L. E. Evolution and Revolution as Organizations Grow, Harvard Business Review, 1976, 13, p. 55-68.



შოთა ვაშაკიძე

ე.მ.დ, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი



ელზარდ კავთიძე

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

თანამედროვე ეკონომიკაში შრომისადმი დამოკიდებულების ბევრი პრობლემა ახლებურად წარმოგვიდგება, რაც დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნოლოგიურ რევოლუციასთან, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გადასვლასთან და ინტელექტუალური შრომის წილის ზრდასთან, ამასთან ერთად საქართველოში ამას გარდა ბევრი სხვა პრობლემაც დგას შრომის სტიმულირების საკითხში, მაგრამ დასახელებული პრობლემები მეტნაკლებად ეხება ყველა ქვეყანას. შრომის სტიმულირების სფეროში არსებულ პრობლემებს მოკლედ და არსობრივად ეხება პიტერ თ. ჩინგოსი – წიგნის “შრომის ანაზღაურება შედეგის მიხედვით” (მეორე გამოცემა) რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი – ამ წიგნის შესავალ სტატიაში „პერსონალის შრომის ანაზღაურება დინამიკურ საქმიან გარემოში“. ჩვენ მოვიტანთ ციტატებს ამ სტატიიდან კომენტარების დართვით.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, ავტორის აზრით ‘გასკდა ‘internet-ეკონომიკის’ საპნის ბუშტი, ძველსა და ახლად შექმნილ კომპანიებს მოუხდათ დაბრუნებოდნენ ბიზნესის ფუქემდებლურ ცნებებს, მათ შორის შესაძლო გლობალური ეკონომიკური დეპრესიის გრძელვადიან შედეგებს.

ეკონომიკური კლიმატის ამ საერთო აცივებამ გავლენა მოახდინა მეწარმე-ბრივი საქმიანობის ყველა ასპექტზე და საჭირო გახდა ზოგადად შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემებზე შეხედულებებისა და კერძოდ, შრომის შედეგების მიხედვით ანაზღაურების ფილოსოფოსის გადასინჯვა. რამდენად ეფექტურია აქციების განაწილება პერსონალზე სხვადასხვა პრემიალური პროგრამის ფარგლებში კერძოდ, მენეჯერებსა და №3(22), 2011 წელი

რიგით მუშაკებს შორის? როგორ განასხვავოს კომპანიამ ჩინებული, საშუალო და ცუდი მუშაკები ერთმანეთისაგან? როგორ შეინარჩუნოს თავისი საუკეთესო კადრები ეკონომიკური სიძნელეების დროსაც კი? რამდენად ხშირად არის აუცილებელი მუშახელის შრომისა და კომპანიის საქმიანობის შედეგების შეფასება?

ეს არ არის იმ საკითხების ამოწურავი ჩამონათვალი, რომლებსაც აწვდიან თანამედროვე ხელმძღვანელები, მაგრამ იგიც ნათლად გვიჩვენებს, რომ “შედეგების მიხედვით ანაზღაურება” არის ძალზე რთული საკითხი განსაკუთრებით, საქმიანი გარემოს სწრაფი ცვალებადობის პირობებში [4, გვ.25].

შემდეგ იქვე ავტორი აღნიშნავს იმ უმნიშვნელოვანეს პროცესს, რომელმაც იმავე ზემოაღნიშნულ პერიოდში განაპირობა გადასვლა ადამიანური კაპიტალის იმ წარმოდგენაზე, რომ იგი ინვესტიციების სპეციფიკური სახეობაა იმ წარმოდგენის საპირისპიროდ, რომ იგი არის ამოუწურავი ეკონომიკური რესურსი, რომელიც მზადაა გამოყენებისათვის პირველივე აუცილებლობისას. ამას ავტორი უწოდებს ბოლო წლების ყველაზე რევოლუციურ ძვრას ბიზნესმენების ცხოვრებაში. ჩვენი აზრით, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ კომპეტეტურ ავტორს აქ მხედველობაში აქვს მხოლოდ ბიზნესმენების ცნობიერებაში რევოლუციური ძვრა და არა მეცნიერთა წარმოდგენები ადამიანურ კაპიტალზე, როგორც ინვესტიციების ობიექტებზე, რომლებიც უფრო ადრე წარმოიშვა და უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია 1992 წლის ნობელის პრემიის ლაურეატ გარი სტენლი ბეკერის



სახელთან. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ზრდის, როგორც ინვესტიციების სფეროს შესახებ აღნიშნულია 80-90-იან წლების სხვა წყაროებშიც.

შემდეგ ჩინგოსი ყურადღებას ამახვილებს, იმაზე, რომ ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი მართვა ითხოვს პერსონალის შრომის ანაზღაურების ისეთი კომპლექსური სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ერთ მთლიანობაში შეაკავშირებს შრომის ანაზღაურებას, სხვადასხვა შედეგათსა და კომპენსაციას, კარიერის შესაძლებლობას... ადამიანური კაპიტალის ჩვენი გაგება, – აგრძელებს ავტორი, ემყარება იმას, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც ვერ თავსდებათ შრომის ანაზღაურების ტრადიციული კონცეფციის ჩარჩოებში: პერსონალი, ტექნოლოგიური პროცესები, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა, ინფორმაცია და ცოდნა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. თითოეული ამ ელემენტების როლის გაცნობიერება კომპანიის ზოგად საქმიან სტრატეგიაში საშუალებას გვაძლევს შევიშუშავოთ პერსონალის მოტივაციის ოპტიმალური სისტემა და მათ შორის ანაზღაურების მოდელი. თავის მხრივ ეს ნიშნავს უნარბრუნვით მუშაკების მაქსიმალურად ეფექტიან შერჩევას, განვითარებასა და სწავლებას, მათ მოტივაციას [5, გვ.28].

ნათელია, რომ შრომის მოტივაცია და მათ შორის სტიმულირება ავტორს წარმოდგენილი აქვს ფირმის ფარგლებში. ჩვენ კი მას განვიხილავთ უფრო ფართო ასპექტში. კერძოდ, სახელმწიფოს გავლენის ასპექტში შრომაზე.

თემა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის, მაგრამ ეს სათანადო ასახვას არ პოულობს სამეცნიერო ლიტერატურაში. სტიმულისა და მათ შორის შრომის სტიმულების არსის კვლევა განსაკუთრებით ფართოდ მიმდინარეობდა საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში და მას საკმარისი ადგილი ეკავა ქართულ ლიტერატურაშიც, მათ შორის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, იურიდიულსა და სხვა ლიტერატურაშიც.

ეს აიხსნება იმით, რომ ცენტრალურად მართულ ეკონომიკაში შრომის სტიმულებიც ცენტრის – სახელმწიფოს მიერ განისაზღვრებოდა. მათი მეცნიერული კვლევა სახელმწიფო დაკვეთით ხდებოდა. შესაბამისად, მეცნიერები ვალდებული იყვნენ პირველ ყოვლისა ეკვლიათ, თუ როგორ ესმოდათ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს ცნება „შრომის სტიმულები“ და როგორ აიხსნებოდა ეს საკითხი


საკუთრებისა და პლენუმების მასშტაბში. საკითხის კვლევა უფრო ფართოდ წარმოდგენილია იანი წლებიდან, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებისა და მეცნიერებისათვის უფრო შესაძინევი შეიქნა შრომის სოციალისტური სტიმულების ეფექტიანობის დაბალი დონე, რაც ოფიციალურად არ ცხადდებოდა, მაგრამ აქტუალობას მატებდა საკითხს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაცია მსგავსია, რადგან შრომის სტიმულების ეფექტიანობა დაბალია, მაშასადამე, საკითხი აქტუალურია, ხოლო რეალური მდგომარეობა არ ცხადდება. მაგრამ ეს სიტუაცია ამავე დროს განსხვავებულია, რადგან რეალური მდგომარეობისა და მისი მიზეზების შესწავლა არ ხდება, რადგან ითვლება, რომ კერძო სექტორი მომავალში გამოავლენს თავის შესაძლებლობებს და ეფექტიანობა ამაღლდება. შრომის სტიმულების ეფექტიანობის საკითხზე ცალკე არ საუბრობენ, რადგან, როგორც ჩანს, ხელისუფლებასა და მეცნიერებს მიანჩნით, რომ ეს საკითხი ფირმების კომპეტენციაში შედის (მათ შორის სახელმწიფო კორპორაციების) და მთავრობა მასში არ უნდა ერეოდეს. იკლო სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო დაფინანსებასაც და ყოველივე ამის გამო – შრომის სტიმულების საკითხის კვლევამაც.

შრომის სტიმულების ეფექტიანობა განუყოფლად არის დაკავშირებული საბაზრო სტიმულების ეფექტიანობასთან. ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია ვხვდებით დებულებებს, რომ კერძო, მათ შორის პრივატიზებულ სექტორში ეკონომიკური მოტივაცია, რომლის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენენ შრომის სტიმულები, ფაქტობრივად არ შეცვლილა რეფორმის შედეგად, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ციტატა. (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის 2009 წლის შრომებიდან). ‘ნანალიზი გვიჩვენებს, – წერს ა. ჯიბუტი, – რომ პრივატიზაციამ, როგორც სისტემური გადარჩენის ფენომენმა, სათანადო გავლენა ვერ მოახდინა ეკონომიკის სუბიექტების მოტივაციასა და კონკრეტულ მოქმედებაზე; საწარმოთა... ბაზრის მიმართ ადაპტირების რთულ პროცესებზე’ [2, გვ.237]. იგივე საკითხი რომ 90-იანი წლების შუახანებშიც იყო აქტუალური, ამას ადასტურებს ის, რომ ავტორი იმოწმებს ნ. ჭითანავას მონოგრაფიას [1, გვ.64].

თუ დღეს საქართველოში დაბალია პრივატიზებულ საწარმოთა და საერთოდ კერძო სექტორისა და აგრეთვე სახელმწიფო სექტორის

ახალი პარაგრაფი



ეკონომიკური ეფექტიანობა, პირველ ყოვლისა ეს აიხსნება სწორედ მათში შრომისა და წარმოების ორგანიზაციის დაბალი დონით. განვითარებულმა ქვეყნებმა კი წარმატებებს მიაღწიეს პირველ ყოვლისა სწორედ წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის გზით. შრომის სტიმულირება შრომისა და მთლიანად წარმოების ორგანიზაციის ძირითადი რგოლია. მართალია, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს შიდასაფირმო საქმეებში, მაგრამ მის ხელთ არის მრავალი საშუალება, რათა შექმნას ფორმებში შრომის სტიმულირების ხელშემწყობი პირობები, რომ კონსულტაციებისა და სხვა ფორმების მეშვეობით გადმოიღონ შრომის სტიმულირების გამოცდილება განვითარებული ქვეყნებისგან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ვართ უცხოური გამოცდილების გადმოტანის მომხრე დეტალური ანალიზის გარეშე. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური პირობები, არამედ იმითაც, რომ შრომის სტიმულირებას ნაკლოვანებები გააჩნია განვითარებულ ქვეყნებშიც, მაშასადამე, საჭიროა გადმოვიტანოთ მათი გამოცდილების მხოლოდ დადებითი მხარეები. იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული ნაკლოვანებები არ არის მცირე, მოვიტანთ ამერიკელი ლ. ჯ. გრიფიტისა და ა. ს. ორუერას ციტატას: „სპეციალისტები და კადრების მენეჯერები დაგვეთანხმებიან იმაში, რომ საკადრო მენეჯმენტის ხარისხი თამაშობს გადამწყვეტ როლს წარმატების მიღწევაში, განსაკუთრებით, საქმიანი გარემოს დინამიკური ცვლილებებისა და კონკურენციის გამწვავების პირობებში. მაგრამ მეტისმეტად ხშირად კომპანიები ხარჯავენ დიდ დროსა და ძალას პერსონალის მართვის ორგანიზაციაზე მხოლოდ იმისათვის, რომ ბოლოსდაბოლოს გაარკვიონ, რომ სისტემა მუშაობს არა ისე, როგორც იყო ნაგარაუდები. ყველაზე ხშირად ეს ხდება შემდეგი მიზეზებით:

- შრომის ანაზღაურების განაკვეთების შეკალა ორგანიზაციული იერარქიის სხვადასხვა დონის მუშაკებისათვის გაუმართლებლად და ზედმეტად არის დიფერენცირებული;

- მუშაკებს ცუდი წარმოდგენა აქვთ, როგორ აამაღლონ თავიანთი შრომის ეფექტიანობა;


- შრომის შედეგების შეფასება და მისი კავშირი ანაზღაურებასთან გაუმჭვირვალეა და გაუგებარია მუშაკებისათვის” [3, გვ.73].

ავტორების ეს ციტატაც საკმარისია იმისათვის, რომ გამოცდილების გადმოტანას და შრომის სტიმულირებას სჭირდება მრავალი ასპექტის გათვალისწინება და ანალიზი, რათა სისტემა იმუშაოს „ისე, როგორც იყო ნაგარაუდები“.

ინტერესს იწვევს ზემოაღნიშნული ავტორების მიერ იმის აღნიშვნა, რომ „სპეციალისტები და კადრების მენეჯერები დაგვეთანხმებიან იმაში, რომ საკადრო მენეჯმენტის ხარისხი თამაშობს გადამწყვეტ როლს წარმატების მიღწევაში“... მაგრამ, ჩვენი აზრით ეს წარმატება ყოველთვის შეფარდებითია და ყოველთვის შექმნილ პირობებთან მიმართებაში უნდა იქნეს განხილული. ხოლო ეს პირობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად და ქვეყნების მიხედვით.

შრომის სტიმულირება მაღალ ეფექტს იძლევა მაშინ, როდესაც დამკირა-ვე-ბელი და დაქირავებული თანასწორი პარტნიორები არიან. ამის შედეგად გავრცელდა განვითარებულ ქვეყნებში მოგებაში მუშათა მონაწილეობის სისტემები, რაც ორგანიზაციულად იმასთან არის დაკავშირებული, რომ მუშები მაღალი წილით არიან წარმოდგენილი კორპორაციების სამეთვალყურეო საბჭოებში. ეს საკითხი აქტუალურია იმასთან დაკავშირებითაც, რომ კორპორაციებში ხელფასის დონე განვითარებულ ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა საწარმოებში. ამ კავშირ-ე-ბ-ის კვლევის აუცილებლობა კი მეტყველებს მეცნიერებისათვის საკითხის აქტუალობაზე.

თანასწორი პარტნიორობის მიღწევა შეუძლებელია სამართლებრივი რეფორმების გზით, იგი მიღწეულ უნდა იქნეს საერთო ეკონომიკური განვითარებისა და მათ შორის მუშაკთა კვალიფიკაციის ზრდის შედეგად, მაგრამ სამართლებრივმა გარემომ არ უნდა ჩააყენოს დაქირავებული მუშაკები უუფლებო მდგომარეობაში, რადგან ეს ხელს შეუშლის თანასწორი პარტნიორობისათვის საჭირო წინაპირობების შექმნას, მათ შორის შესაბამისი ჩვევების გამომუშავებას როგორც დამკირავებულში, ისე დაქირავებულში. ამ ასპექტში საინტერესოა ცნობილი ეკონომისტების ვლ. პაპავას და სხვათა - აზრი საქართველოს შრომის კოდექსის ახალი ვარიანტის შესახებ, კერძოდ ის, რომ კოდექსი მაქსიმალურ უფლებებს აძლევს დამკირავებულს და აბსოლუტურად უუფლებოს ხდის დაქირავებულს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაქირავებულთა უუფლებობა გამორიცხავს შრომის სტიმულირების უცხოური ფორმების გადმოღებას და მათ ეფექტიან გამოყენებას, რაც შეაფერხებს არა მარტო სიღარიბის შემცირების შესაძლებლობის რეალიზაციას, როგორც ამას მართებულად მიუთითებს ვლ. პაპავა, არამედ წარმოების ეფექტიანობის ზრდასაც.



ნათელია, რომ შრომის კოდექსი და ზოგიერთი საკითხი, რომ-ღებსაც ზემოთ შევეხეთ, შრომის სტიმულების თემის მხოლოდ ცალკეულ საკითხებს წარმოადგენენ, რომელთაგან ყოველ მათგანზე არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ამიტომ აქვე გვინდა დავსვათ საკითხი ისეთი სამეცნიერო პრაქტიკული ორგანიზაციის შექმნის მიზანშეწონილობაზე, რომელიც სახელმწიფოს

მხარდაჭერით გამოიკვლევს შრომის სტიმულების კავშირს ეკონომიკური სისტემის სხვა ელემენტებთან, მათ მდგომარეობას საქართველოში, უცხოურ გამოცდილებას და საქართველოში მისი გამოყენების მიზანშეწონილობას და თავისებურებებს და კონსულტაციებს გაუწევს პრაქტიკოსებს მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭითანავა ნოდარ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. I ნაწილი. თბ. 1997, გვ 64.
2. ჯიბუტი ამირან. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ეკონომიკური და სოციალური შედეგები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. 7. „სიახლე“ თბ.2009, გვ 237).
3. Грифит Лори Дж., Оржера Ання С. Проблемы мотивации персонала в общем менеджменте. См. книгу: «Оплата по результату. Из опыта оплаты труда персонала в США». Второе издание. Под общей редакцией Питера Т. Чингоса. Издательство «Диалектика». Москва _ Санкт-Петербург _ Киев. 2004, с. 73.
4. См. книгу: «Оплата по результату. Из опыта оплаты труда персонала в США». Второе издание. Под общей редакцией Питера Т. Чингоса. Издательство «Диалектика». Москва _ Санкт-Петербург _ Киев. 2004, с. 25.
5. См. книгу: «Оплата по результату», gv.28.

ახალი კონომისტო



ფირმის საფინანსო მექანიზმი: არსი, ძველისტემები

ელემენტები და სტრუქტურა




რუსუდან კაკასკირი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საწარმოს ფინანსური მართვა ხორცილდება საფინანსო მექანიზმის მეშვეობით, რომელიც შესდგება მმართველ და მართულ ქვესისტემებისაგან (ნახ. №1).

როგორც ნახაზიდან ჩანს, ფირმაში მართვის სუბიექტი ანუ ფინანსური მენეჯ-მენტის მმართველი ქვესისტემა არის საფინანსო სამსახური, ხოლო



ნახაზი №1. ფირმის საფინანსო მექანიზმის ძირითადი ქვესისტემები

მართვის ობიექტი ფინანსური ურთიერთობები, ფინანსური რესურსები, მათი წყაროები და ამ რესურსების ბრუნვა, ანუ ფულის ბრუნვა. ეს პროცესი, რომელიც ფულის გაცემის და მიღების ნაკადებში გამოიხატება მუდმივად მიმდინარეობს ფირმაში ან ბანკში გასხნილ ანგარიშებიდან, ანდა ფირმის საღაროდან. ფულის ბრუნვის მართვა საკ-მაოდ რთული საქმეა, რადგანაც იგი ფინანსური მენეჯერისაგან მოითხოვს წინხედ-ვის კარგად განვითარებულ უნარს, თანაც ეს ხედვა ძირითადად ეხება არა ახლომდებარე პერიოდს, არამედ საკმაოდ შორეულ პერსპექტივას.

ფირმის საფინანსო მექანიზმი ეს არის ფინანსური ინსტრუმენტების, ფინანსური ბერკეტების, სამართლებრივი ნორმების, ინფორმაციული და ნორმატიული უზრუნ-ველყოფის, ფინანსური

მეთოდების და ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობა [1, გვ.34] (ნახ. №2).


ფირმის ფინანსური ურთიერთობები: ფირმის (საწარმოს) დონეზე ფინანსური ურთიერთობები მოიცავს:

- მასალა-ნედლეულის მომწოდებელთან და პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოს) მიღველებთან ურთიერთობას;
- ბანკებთან ურთიერთობებს (სესხის მიღება-დაბრუნება, ვალუტის ყიდვა-გაყიდვა);
- სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობებს (საფინანსო და კომერციული რისკების დაზღვევა);
- სასაქონლო, სანედლეულო და საფონდო ბირჟებთან ურთიერთობებს (საქონლის გაყიდვა, ნედლეულის ყიდვა, აქციების ყიდვა-გაყიდვა);



- ინვესტიციურ ინსტიტუტებთან ურთიერთობებს (ინვესტიციების განთავსების ოპერაციები);
- ფილიალებთან და ქალიშვილ საწარმოებთან ურთიერთობებს;
- საწარმოს პერსონალთან ურთიერთობებს;
- საწარმოს აქციონერებთან ურთიერთობებს;

- საგადასახადო სამსახურთან ურთიერთობებს;
 - აუდიტორულ, ინვესტიციურ საკონსულტაციო ფირმებთან ურთიერთობებს და სხვა.
- ურთიერთობათა ყველა ჩამოთვლილი სახისათვის საერთო ის არის, რომ ყველა ისინი



ნახაზი №2. ფირმის საფინანსო მექანიზმის ელემენტები

ახალი ეკონომისტი

ფულადი ურთიერთობებია და მათ დროს ხდება ფულის გაცემა ან მიღება ფირმაში, ან ორივე ერთად.

ფინანსური ურთიერთობები იყოფა 4 ჯგუფად:

1. გარეშე ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ურთიერთობა;
2. საბანკო-საკრედიტო სისტემასთან ურთიერთობა;
3. ფირმის შიგნით ურთიერთობა (მუშა-მოსამსახურეებთან, აქციონერებთან);
4. ფირმების გაერთიანების შიგნით ურთიერთობა (ფილიალებთან, ქალიშვილ კომპანიებთან);

ფინანსური მეთოდები. ფინანსური მენეჯმენტის ეფექტური ფუნქციონირება ფირმაში მიიღწევა მხოლოდ საფინანსო მექანიზმის ფინანსური მეთოდების კომპლექსური გამოყენებით, მათი რაციონალური შერწყმით, რომელიც კონკრეტულ მენეჯერზეა დამოკიდებული და რომლის მზარეკვებები არ არსებობს. ეს მეთოდებია: ფინანსური აღრიცხვა, ანალიზი, დაგეგმვა, პროგნოზირება, საფინანსო კონტროლი, ფინანსური რეგულირება, დაკრედიტება, ანგარიშსწორების სისტემა, დაბეგვის სისტემა, მატერიალური სტიმულირება და პასუხისმგებლობა, დაზღვევა, ტრანსფერ-ტული და სატრასტო ოპერაციები, ლიზინგი, არენდა, ფაქტორინგი და ა. შ. ჩამოთვლილი მეთოდების

შემადგენელი ელემენტებია ფინანსური მართვის ისეთი ხერხები, როგორცაა: პროცენტული განაკვეთები, დივიდენდები, სავალუტო კურსების კოტირება და ა. შ.

ფინანსური ბერკეტები. მასში იგულისხმება მოგება, ფასი, ამორტიზაციის ანარიცხები, საარენდო გადასახდელი, დივიდენდები, პროცენტული განაკვეთები, ინვესტიციები და სხვ.

ფინანსური ინსტრუმენტები. [2, c.102] ფინანსურ ინსტრუმენტებად ითვლებიან დოკუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ოპერაციები საფინანსო ბაზარზე. მათ ან თვითონ აქვთ ღირებულება, ანდა ასახავენ ფულის მოძრაობას (ბრუნვას).

ფინანსური ინსტრუმენტები იყოფა პირველად და მეორად ინსტრუმენტებად. პირველადს მიეკუთვნება: ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანების ამსახველი დოკუმენტები. მეორად ანუ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: ფიუჩერული კონტრაქტები, ფინანსური ოპციონები, ფორვარდული კონტრაქტები, პროცენტული და სავალუტო სვოპები.

სამართლებრივი უზრუნველყოფა. მასში იგულისხმება ფირმების საქმიანობის მარეგულირებელ იურიდიულ კანონთა და



კანონქვემდებარე აქტების პაკეტი. მისით ხდება ფირმის შემდეგი სახის საქმიანობის რეგულირება:

- ფირმის დაფუძნების საფინანსო ასპექტების (მაგ., საწესდებო კაპიტალის სიდიდის);
- საგადასახადო რეჟიმის;
- ძირითად საშუალებათა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის;
- ფულის ბრუნვის და ანგარიშსწორების ფორმის;
- სავალუტო ოპერაციების;
- საინვესტიციო საქმიანობის;
- საკრედიტო ოპერაციების;
- ფირმის გაკოტრების პროცედურის.

ინფორმაციული უზრუნველყოფა. ფირმის ფინანსურ საქმიანობაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება სათანადო ინფორმაციული მანქანებლები. ისინი წარმოადგენენ ფირმის საფინანსო მექანიზმის ინფორმაციულ ბაზას. ეს მანქანებლები ჯგუფდება სამ ჯგუფად:

1. მანქანებლები, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების დონეს;
2. მანქანებლები, რომლებიც ახასიათებენ უშუალოდ ფირმას და იმ დარგს, რომელსაც ეკუთვნის იგი;
3. საფინანსო ბაზრის კონიუნქტურის მახასიათებლები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:
მეფინის საერთო ეკონომიკური დონის ამსახველი მანქანებლები, რომელთა რიცხვში შედიან ეროვნული შემოსავლისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ბიუჯეტის დეფიციტი, მოსახლეობის შემოსავლები, ბანკებში მოსახლეობის ანაბრები, ინფლაციის ინდექსი, უმუშევრობის დონე, ეროვნული ბანკის პროცენტის განაკვეთი, ფულის ემისიის მოცულობა და ა. შ. გამოიყენებიან ფირმის გარე გარემოში მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირებისთვის. ამ ცვლილებების

გათვალისწინება აუცილებელია საფინანსო საქმიანობის სფეროში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას.

ზემოაღნიშნული მანქანებლები ქვეყნდება საქართველოს სტატისტიკის სახელ-მწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ კრებულებში.

მეორე ჯგუფის მანქანებლებს, რომლებიც ახასიათებენ ფირმას და დარგს მიეკუთვნებიან: ფირმაში გამოყენებული კაპიტალის (მ. შ. საკუთარი კაპიტალის) და ფირმის აქტივების (მ. შ. საბრუნავი აქტივების) საერთო მოცულობა, საბალანსო მოგების სიდიდე, მოგების გადასახადის განაკვეთი, დარგის პროდუქციის ფასების ინდექსი, წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, ფირმის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მანქანებლები – გადამხდელუნარიანობა, ლიკვიდურობა, რენტაბელობის დონე და ა. შ. აღნიშნული ინფორმაციის წყარო არის ფასიანი ბიზნეს-ცნობარები და თვით ფირმის მიერ პრესაში გამოქვეყნებული სავალდებულო ანგარიშგებები.

მანქანებლების მესამე ჯგუფს – საფინანსო ბაზრის კონიუნქტურის მანქანებლები – მიეკუთვნება: იმ საფინანსო ინსტრუმენტების სახეები, რომელთა კოტირება ხდება საბირჟო და არასაბირჟო-საფონდო ბაზრებზე, საფონდო ბაზარზე ფასების დინამიკის ნაერთი ინდექსი, ბანკების საკრედიტო განაკვეთები, ბანკების სადეპოზიტო განაკვეთები, ცალკეული ვალუტების კურსი, ცალკეულ საფონდო ინსტრუმენტებზე (აქტივები, ობლიგაციები, ვალუტა) გარიგებების მოცულობა და აგრეთვე, მათ მიწოდება-მოთხოვნაზე კოტირებული ფასები.

ნორმატიული უზრუნველყოფა. მასში მოიაზრება ფირმის საქმიანობის წარმართვისთვის აუცილებელი ინსტრუქციები, ნორმები, ნორმატივები, მეთოდითი-თებები და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. დუდუშაური, ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2007.
2. Ковалев В. Финансовый менеджмент, М., «Проект», 2007.

ინფორმაციული უზრუნველყოფის ახალი ეკონომიკური



ინბა კულიანი

ეკონომიკის აკადემიკური დოქტორი
წმიდა გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

უფალმა დედამიწაზე შექმნა სხვადასხვა კონტინენტები, რეგიონები, ქვეყნები და მასზე ადამიანებსაც მიუჩინა ძირითადი საცხოვრისი. მართალია, საზოგადოების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მუდმივად მიმდინარეობდა მოსახლეობის მიგრაცია, მაგრამ ეს დიდს არაფერს ცვლიდა. კონტინენტები, მათი რეგიონები და ამ რეგიონების ქვეყნები ცხოვრების მეტ-ნაკლები პირობებით, აგრძელებენ ცხოვრებას.

ამა თუ იმ კონტინენტზე, რეგიონში თუ ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის დონე იმ ბუნებრივ პირობებზე (წიაღისეული, რელიეფი, კლიმატი და ა.შ.) და თვით მოსახლეობის უნარზე დამოკიდებული, რომელიც იქ ცხოვრობს. თუ ადრეულ წლებში ამ მანქნებელს მხოლოდ ბუნებრივი რესურსი, ძირითადად წიაღისეული ნედლეული განსაზღვრავდა, შემდეგ მასში ჩაერთო ტექნიკა-ტექნოლოგია და ადამიანური რესურსი თავისი კვალიფიკაციით და მეწარმეული უნარით. დღეის პირობებში, წარმოების ამ ფაქტორებს უპრიანია, დაემატოს ქვეყნისგარე კავშირები, რადგანაც გარე სამყაროსთან, მით უფრო განვითარებულ სამყაროსთან (მხედველობაში გვაქვს მაღალგანვითარებული ქვეყნები) ღრმა, მჭიდრო და ინტენსიური ურთიერთკავშირები დიდ პოზიტიურ გავლენას ახდენს ბუნებრივი რესურსებით თუნდაც ძალიან ღარიბ ქვეყანაზე (სინგაპური და ჰონკონგის მაგალითი).

ქვეყნის გარე კავშირების გაფართოებაზე ზრუნვა უკანასკნელ პერიოდში გააქტიურდა. ეს პროცესი გლობალიზაციაში გადიხარდა, რომელმაც თითქმის წაშალა ქვეყნებს შორის საზღვრები. მთელ რიგ ქვეყნებში თავისუფალია ტვირთბრუნვა, მგზავრთბრუნვა, კაპიტალის გადაადინება და ა.შ. ეს პროცესი დღითიდღე უფრო ფართოვდება და მისი მიზანი არის არა ეროვნების, როგორც ფენომენის მოშლა, არამედ ერების დაახლოება და მათი ცხოვრების დონის შედარებითი გამოთანაბრება.

სიტყვა „შედარებითი“ იმიტომ ვახსენე, რომ ერები აბსოლუტურად ერთნაირად ვერ იცხოვრებენ, მაგრამ მათ შორის კატასტროფული განსხვავება არ უნდა იყოს. განა დასაშვებია, რომ ინდონეზიაში 1 სულ მოსახლეზე წელიწადში შემოსავალი იყოს მხოლოდ 900 დოლარი, იაპონიაში კი 39 600 დოლარი, ჰონკონგში 29 900 დოლარი, სინგაპურში 25 400 დოლარი და ა.შ. უფრო სავალალო მდგომარეობაა აფრიკის ქვეყნებში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. გამოკვლეულია, რომ დედამიწაზე 400 მლნ ადამიანი შიმშილობს, ორი ამდენი არასრულფასოვნად იკვებება. ასეთ დროს, მდიდრები ფულს არა შიმშილის, არამედ დროის მოსაკლავად ე.ი. გართობისთვის იყენებენ.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები - სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვები, მრავალნაირ ფინანსურ დახმარებას უწევენ ასეთ ხალხებს, მაგრამ ჩინური ანდაზაა - „მშიერს თევზი კი არ უნდა აჭამო, არამედ თევზის დაჭერა უნდა ასწავლო“. ეს ასე უნდა გავიგოთ: ამ ქვეყნებში ადგილზე უნდა მოეწიოს პროდუქციის და მომსახურების წარმოება და დასაქმდეს ხალხი.

ასეთივე პოლიტიკით უნდა მივუდგეთ ცალკეული ქვეყნების შიდა ტერიტორიების და მხარეების მოსახლეობის ცხოვრების დონეს და ვიზრუნოთ მის გამოთანაბრებაზე, ეს ეხება საქართველოსაც.

მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო, მოსახლეობის ცხოვრების დონე საქართველოს სხვადასხვა მხარეში ანუ სხვადასხვა რეგიონში, არაერთფეროვანია. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა უთანაბრობით, ხოლო მეორეს მხრივ, ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სიმცირით [1. გვ.184]. მართალია, სახელმწიფო უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტების შევსებას გამოთანაბრებითი ტრანსფერით, მაგრამ ჯერ ერთი, ეს სრულიადაც არ ნიშნავს ამ რეგიონების

ახალი პერიოდის



სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრებას. და მეორე, იგი მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს საქართველოს სხვადასხვა

რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის (ქრისტიანი მცხოვრებზე ანგარიშით) შემოსავლების დაახლოებას (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის ბიუჯეტური შემოსულობების მოცულობა ერთ სულ მცხოვრებზე ანგარიშით რეგიონების მიხედვით [2. გვ.81]

კახეთი	ბიუჯეტური შემოსულობა ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)
იმერეთი	132,7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	127,7
შიდა ქართლი	152,3
ქვემო ქართლი	121,9
გურია	161,9
სამცხე-ჯავახეთი	90,4
მცხეთა-მთიანეთი	114,5
რაჭა-ლეჩხუმი	210,0
	188,7

ცხრილში მოცემული ბიუჯეტური შემოსავლის მოცულობები საკმაოდ ურთიერთგანსხვავებულია. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში იგი 1 სულ მოსახლეზე 210 ლარია, გურიაში კი 90,4 ლარი, იმერეთში - 127,7 ლარი, სამცხე-ჯავახეთში 114 ლარი და ა.შ. ეს მართლაც ადასტურებს, ჩვენს მიერ გამოთქმულ შენიშვნას, რომ გამოთანაბრებითი ტრანსფერი, ანუ ბიუჯეტური დახმარება ვერ უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონების ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს იმდენი რესურსებით, რომ მათ ერთნაირი სახელმწიფოებრივი მომსახურება შესთავაზონ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად იმისა, გურიაში ცხოვრობს იგი თუ კახეთში.

უთანაბრობაა საქართველოს მოსახლეობის პირად შემოსავლებშიც. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2009 წელს ერთი მუშაკის საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენდა [3. გვ.119]:

- თბილისში 652,1 ლარს;
- რაჭაში 399,1 ლარს;
- გურიაში 234,9 ლარს;
- იმერეთში 309,9 ლარს;
- კახეთში 303,7 ლარს;
- მცხეთა-მთიანეთში 457 ლარს;
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში 276,3 ლარს;
- სამეგრელო-ზემო სვანეთში 393,3 ლარს;

- სამცხე-ჯავახეთში 295,1 ლარს;
- ქვემო ქართლში 481,9 ლარს;
- შიდა ქართლში 286 ლარს.

საქართველოს მთავრობას მოეთხოვება გაატაროს ისეთი რეგიონული პოლიტიკა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების პირობებში არსებულ განსხვავებებს. ჩვენის აზრით, ეს მან უნდა გააკეთოს ყველა რეგიონში მეწარმეობის განვითარებით, რაც თავის მხრივ „შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და გამოიწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნას [4. გვ.38].

საქართველოს რეგიონალურ თავისებურებათა სპექტრი საკმაოდ ფართოა. არაერთხელ თქმულა და დასაბუთებულა, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოში აუცილებელია განხორციელდეს ისეთი რეგიონული პოლიტიკა, რომელიც დაემყარება დიფერენცირებულ მიდგომებს რეგიონების მიმართ, გაითვალისწინებს მათ თავისებურებებსა და კონკრეტულ ამოცანებს. „მიზანშეწონილი არ არის ყველა რეგიონში გავატაროთ ერთნაირი, შაბლონური ეკონომიკური პოლიტიკა... უმეტეს რეგიონებში და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში მოსახლეობის შრომითი და სამეწარმეო აქტივობის დაქვეითების ფონზე აუცილებელია განხორციელდეს უმუშევრობის ზრდის შესაჩერებლად მიმართული ღონისძიებები, დასაქმების და შემოსავლების გადიდების

ახალი ეკონომისტი



უზრუნველსაყოფად, სამუშაო ძალის გაუმართლებელი შიდამიგრაციული და მიგრაციული პროცესების შესაჩერებლად და თავიდან ასაცილებლად [5, გვ.92]. იგივე აზრისაა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ჭითანავა, რომელიც წერს, რომ „რეგიონის, როგორც ერთიანი ეროვნული ორგანიზმის შემადგენელი ნაწილის განვითარების სწორად განსაზღვრისთვის საჭიროა ინდივიდუალური და კომპლექსური მიდგომა... სწორედ რეგიონებშია განთავსებული ეროვნული ფუნქციონების მარგალიტები, მისხად-მისხალ მათი აკრეფა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებში მათი ჩაყენება სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანად უნდა იქცეს [6, გვ.12]. ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანია პროფესორ ნ. ჭითანავას მოთხოვნა, რომ „საქართველოს ცალკეული ტერიტორიების, პირველ რიგში დებარესირებული რეგიონების (საქართველოს მთიანეთი – ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი და სხვა) მიმართ პროტექციონისტული პოლიტიკა გამოვიყენოთ , და, რომ „მთიანეთის განვითარებისათვის საჭიროა შეიქმნას სპეციალური ფონდი [6, გვ.12]. ქართველ ექსპერტთა ამ შეხედულებების მიუხედავად, რომლებიც დაახლოებით 10-15 წელია ამ აზრს გამოთქვამენ და საქართველოს მთავრობას სწორი რეგიონული

პოლიტიკის შექმნაზე მიუთითებენ, ეს საკითხი ჯერ კიდევ ადგილიდან არ დადრეკილია. საქართველოს რეგიონების განვითარების დღევანდელი დონე მიუთითებს, რომ ქვეყნის მთავრობა ამ მიმართულებით რადიკალურ ღონისძიებებს არ ღებულობს. შედეგად, საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში საწარმოთა რაოდენობა მათში შექმნილი სამუშაო ადგილები და პროდუქციის გამოშვება რამდენადმე ნაკლებია სხვა რეგიონებთან შედარებით. მაგალითად, ყოველ 1000 მცხოვრებზე ანგარიშით თბილისის რეგიონში 111 საწარმოა რეგისტრირებული, სამცხე-ჯავახეთში – 26, აჭარაში - 30, იმერეთში 36 და ა.შ. ყოველ 1000 მცხოვრებზე ანგარიშით თბილისის რეგიონში 196 სამუშაო ადგილია გახსნილი. თავისთავად ეს ძალიან მცირეა, მაგრამ 7-8 ჯერ ნაკლებია იგი გურიაში (28 ადგილი), სამცხე-ჯავახეთში (30 ადგილი), კახეთში (35 ადგილი) და ა.შ. ამასთან, საწარმოთა დარეგისტრირება ერთია და ამუშავება – მეორე. მაგალითად, შიდა ქართლში და ქვემო ქართლში თითქმის ერთნაირი რაოდენობის საწარმოებია დარეგისტრირებული (43 და 44 შესაბამისად), მაგრამ ქვემო ქართლის საწარმოები მოსახლეობის 1000 კაცზე იდევნიან 2202242 ლარის პროდუქციას, შიდა ქართლის საწარმოები კი

პროდუქციის გამოშვება და სამუშაო ადგილები ათას კაცზე ანგარიშით საქართველოს რეგიონებში 2009 წელს¹

	მოსახლეობის რაოდენობა	პროდუქციის გამოშვების რაოდენობა მლნ. ლარი	სამუშაო ადგილების რაოდენობა ერთეული	რეგისტრირებული საწარმოთა რაოდენობა ერთეული	მოსახლეობის 1000 კაცზე ანგარიშით		
					პროდუქციის გამოშვება (ლარი)	სამუშაო ადგილები (ერთეული)	საწარმოთა რაოდენობა
თბილისი აჭარა	1147100	7467,6	224629	127295	6509981	196	111
კახეთი იმერეთი	514200	613,9	31325	15402	1193893	61	30
სამეგრელო-ზემო სვანეთი	403600	181,7	14227	14400	450198	35	36
შიდა ქართლი	697600	479,5	35361	32982	687356	50	47
ქვემო ქართლი	471700	473,7	21031	23124	1004240	44	49
გურია	313600	273,8	14087	13379	873086	45	43
სამცხე-ჯავახეთი	508300	1119,4	28460	22293	2202242	60	44
მცხეთა-მთიანეთი	139000	274	3933	7121	532374	28	51
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	208300	118,3	6353	5478	567931	30	26
	124100	138,3	4880	6284	1114424	39	50
	48600	19,4	2122	1575	399177	43	32

¹განგარიშებულია ჩვენს მიერ სტატისტიკური პუბლიკაციის „მეწარმეობა საქართველოში. თბ, 2010 – მონაცემების საფუძველზე

ახალი ეპონომოსტი



დაახლოებით მის მესამედს – 873086 ლარს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვემო ქართლში უკეთესი ბიზნეს-გარემოა შექმნილი, ვიდრე შიდა ქართლში.

საერთოდ საქართველოს რეგიონების რესურსული შესაძლებლობების შესწავლის აუცილებლობაზე სპეციალისტები ბევრს წერენ. ჩვენც ამ აზრის ვართ. მაგრამ აუცილებლად უნდა აღნიშნოთ, რომ ასეთი გამოკვლევის სრულყოფილ ჩატარებას არც ერთი სპეციალისტი ეყოფა და არც ერთი საჭურნალო სტატია. ეს გამოკვლევა საქართველოს მთავრობის დაკვეთით და შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების

გადაცემით, მაღალპროფესიონალ სპეციალისტთა ჯგუფებმა უნდა ჩატარონ.

მხოლოდ ასეთი კვლევის შედეგებს უნდა დაეფუძნოს საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარების პროგრამები, რომლებიც ისე უნდა აიგოს და განხორციელდეს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ადგილზე ჰქონდეს სამუშაო და ცხოვრების მეტ-ნაკლებად ერთნაირი პირობები. ეს ღონისძიება თუ დროულად არ განხორციელდა, ქართველებისგან ისედაც დაცლილი საქართველო, კიდევ უფრო დაიცლება.

ბამოყენებულ ლიტერატურა:

1. ი. მესხია, ე. გველესიანი, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ. 2010, გვ.184;
2. გ. გველესიანი, ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემები საქართველოში, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, № 7-8, 2008წ. გვ. 81;
3. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ. 2010;
4. ე. ბარათაშვილი, შ. ვეშაპიძე, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2002, გვ. 38;
5. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, ბათუმი, 2001, გვ. 92;
6. ნ. ჭავჭავაძე, უნდა ავირჩიოთ პრიორიტეტები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, ივლისი-აგვისტო, 2010, გვ. 12



იური ქარჩავა

ეკონომიკის მაგისტრი, აუდიტი, სამართალმცოდნე

მიუხედავად იმისა რომ ბევრი თქმულა, დაწერილა და მსჯელობენ საგადასახადო საქმესთან დაკავშირებით, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იშვიათად შევხვდებით კვლევებს ისეთ საკითხზე როგორც არის საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა. იგი საქართველოში შედარებით ახალი მოვლენაა და წარმოიშვა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან.

იურიდიული მეცნიერებიდან ცნობილია, რომ სამართლებრივი ურთიერთობა ეს არის სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა კონკრეტულ სუბიექტებს შორის. რაც შეეხება საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობას იგი უნდა განისაზღვროს თვით გადასახადის არსიდან გამომდინარე, რომელიც არის მთლიანი ეროვნული პროდუქტის ის ნაწილი, რომელსაც იხდიან გადასახადის გადამხდელები სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში, როგორც სავალდებულო ფულად შენატანს, გადახდის აუცილებელი, არეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. [2, მუხლი 1] იგი როგორც შრომის პროდუქტი იცვლის მფლობელს და გადამხდელის საკუთრებიდან გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში. გადასახადის გადამხდელი კი არის პირი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად გააჩნია გადასახადის გადახდის ვალდებულება. საგადასახადო ვალდებულებად ითვლება გადასახადის გადამხდელის (საგადასახადო აგენტის), სხვა ვალდებული პირის, ვალდებულება გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და შემოღებული გადასახადი. [2, მუხლი 53, ნაწილი 1] გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება ხდება სამართლის ნორმების მეშვეობით. ამ ურთიერთობაში მონაწილეა უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი ზემოქმედებით. საზოგადოებრივი ურთიერთობა იქნს

სამართლებრივ ხასიათს და წარმოადგენს საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობას.

გადასახადის, როგორც სამართლებრივი მოვლენის შინაარსიდან გამომდინარე, საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სამართლის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა კონკრეტულ სუბიექტებს შორის, დაწესებული და შემოღებული გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით.

გადასახადის დაწესება და შემოღება კანონშემოქმედებითი საქმიანობაა. იგი ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ცალმხრივად შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებით. იგი წინ უსწრებს საგადასახადო ურთიერთობათა წარმოშობას. ნორმატიული აქტის მეშვეობით განისაზღვრება კონკრეტული გადასახადი გადასახადების სისტემაში, ასევე მისი გამომანგარიშებისა და გადახდის წესი.

საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ყველა ის ძირითადი იურიდიული ნიშნები და ელემენტები, რომელიც ზოგადად ახასიათებს ნებისმიერი სახის სამართლებრივ ურთიერთობას. მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური იურიდიული ნიშნებია:

1. საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა საგადასახადო სამართლის ნორმებით განსაზღვრული კონკრეტული გარემოების (იურიდიული ფაქტების) საფუძველზე. იგი დაკავშირებულია სუბიექტის ნებაზე, განახორციელოს ისეთი საქმიანობა (საქონლის, საშუაოს, მომსახურების მიწოდება, შემოსავლის მიღება და ა. შ.), რომელიც განაპირობებს დაბეგვრის ობიექტის, ანუ იურიდიული ფაქტის (ქმედება, მოვლენა, მდგომარეობა) არსებობას, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა საგადასახადო ვალდებულება. მაგალითად, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის არსებობა საგადასახადო

ახალი მკონომისტი



კანონმდებლობით დადგენილ ისეთ კონკრეტულ გარემოებას (იურიდიულ ფაქტს) წარმოადგენს, რომელიც წარმოშობს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას.

2. საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის კონკრეტული მონაწილეები წინასწარ არიან განსაზღვრული. მაგალითად, თუ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება მონაწილეობდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტი, საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობაში ყოველთვის მონაწილეობენ სახელმწიფო და გადასახადის გამამხდელი.

3. საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერი მონაწილის მოთხოვნით. ამ დროს მეორე მხარის თანხმობა საჭირო არ არის. მაგალითად, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო გადასახადის გამამხდელს ან სხვა ვალდებულ პირს წარუდგენს „საგადასახადო მოთხოვნას“. გადასახადის გამამხდელს უფლება აქვს გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები და ქმედებები.

4. საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის არ არის დამახასიათებელი ურთიერთსანაცვლო უფლებებისა და ვალდებულებების არსებობა. გადახდა ატარებს უსასყიდლო ხასიათს. რსებობს მხოლოდ ერთი ვალდებულები მხარე გადასახადის გამამხდელი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და შემოღებული გადასახადი, რომელთა მიმართ ეს პირი გადასახადის გამამხდელია. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად გადასახადის გადახდა კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით სავალდებულოა. გადასახადის გადახდით გამამხდელი არ იძენს არანაირ უფლებას, ასევე სახელმწიფო არ იღებს არანაირ ვალდებულებას გამამხდელის წინაშე. მისი სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე გადახდა ხდება უპირობოდ, რამდენადაც დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე, რომელიც ბიუჯეტში უნდა იქნეს გადახდილი.

5. საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ქონებრივი ხასიათი. საგადასახადო ვალდებულებების შესრულებით გადასახადის გამამხდელის საკუთრების ნაწილი გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში. საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს

სახელმწიფოსათვის მატერიალური უზრუნველყოფის მიყენებას, რომელიც კვალიფიცირდება არსებული საჯარო-სამართლებრივი ინტერესების ხელყოფა.

საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა მიეკუთვნება შეფარდებით სამართლებრივ ურთიერთობას, რაც იმას ნიშნავს რომ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალდებული მხარე განსაზღვრულია და მხოლოდ ის არის მოვალე შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. მაგალითად, საგადასახადო ვალდებულების არსებობა იწვევს შეფარდებითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას გადასახადის გამამხდელსა და სახელმწიფოს შორის სადაც არსებობს მხოლოდ ერთი ვალდებულები მხარე, გადასახადის გამამხდელი.

საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ა) სუბიექტს; ბ) ობიექტს; გ) სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსს (უფლებები და მოვალეობები) დ) იურიდიულ ფაქტებს.

საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები არიან მისი რეალური მონაწილეები, სახელმწიფო და გადასახადის გამამხდელი, რომელთაც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები გააჩნიათ.

სახელმწიფო როგორც სამართლებრივი ურთიერთობის განსაკუთრებული სუბიექტი საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს საგადასახადო ორგანოების მეშვეობით, რომელთა უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საგადასახადო კანონმდებლობით.

გადასახადის გამამხდელს მიეკუთვნება:

ა) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა სტატუსი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით, მინიჭებული აქვთ მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმები და წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტებს.

ბ) საგადასახადო აგენტები და სხვა ვალდებული პირები, რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად წარმოეშობათ გადასახადის გადახდის ვალდებულება.

საგადასახადო ურთიერთობაში ასევე ვხვდებით პირებს, რომლებიც არ არიან საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები, მაგრამ საგადასახადო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ. მათ მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები, ბანკები და საბანკო ოპერაციების შემსრულებელი ორგანიზაციები, რომლებიც ვალდებული არიან ხელი შეუწყონ საგადასახადო



ვალდებულებების შესრულებას, და მესამე პირები რომელთაც საგადასახადო ორგანო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში წარუდგენს საგადასახადო მოთხოვნას.

საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ის, რისკენაც მიმართულია მასში მონაწილეთა საქმიანობა. საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობაში ასეთ ობიექტს წარმოადგენს თვით გადასახადი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი კანონმდებლობის შესაბამისად. იგი უშუალოდ უკავშირდება სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეთა ინტერესებს. მაგალითად, გადასახადის გადამხდელისათვის დაბეგვრის ობიექტი წარმოადგენს საკუთრებას, რომელიც მისი მფლობელობიდან გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში. სახელმწიფოსათვის იგი წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავალს.

საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ამ ურთიერთობაში მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები. სწორედ უფლებები და ვალდებულებები ედება საფუძვლად სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსს. მაგალითად, თუ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში

უფლებები და ვალდებულებები ხორციელდება ნებაყოფილობით, საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საგადასახადო კანონმდებლობით, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფილია სამართლებრივი ზემოქმედებით. რამდენადაც გადასახადის გადახდის ვალდებულება ცალმხრივია, წინა რიგზე დგას გადამხდელის ვალდებულო ქცევა. მისთვის მინიჭებული უფლებები არ არის საგადასახადო ვალდებულებების შესრულების სანაცვლო. იგი გამოიხატება გადასახადის გადამხდელის ინტერესების დაცვის შესაძლებლობაში გადასახადების აღმინისტრირების პროცესში. მაგალითად, გადამხდელს მინიჭებული აქვს უფლება ისარგებლოს საგადასახადო შეღავათებით ან გათავისუფლდეს გადასახადებისაგან, საგადასახადო ორგანოთა თანამდებობის პირებს მოსთხოვოს კანონმდებლობის დაცვა გადასახადის გადამხდელთან დაკავშირებულ მოქმედებათა განხორციელებისას და ა. შ. ასევე უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს დარღვეული უფლებების აღსადგენად. საგადასახადო ორგანოების მეშვეობით სახელმწიფო უფლებამოსილია განახორციელოს საგადასახადო კონტროლი, გამოიყენოს ფინანსური სანქციები, მიმართოს საგადასახადო ვალდებულების

შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს და ა. შ.

საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობაში მონაწილეთა ვალდებულებების შესრულება გამოიხატება კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულო ქცევაში ან კანონმდებლობით აკრძალულ მოქმედებისაგან თავის შეკავებაში. მაგალითად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია

სოფლის მეურნეობა არის მატერიალური წარმოების ერთ-ერთი ძირითადი დარგი – სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და შინაური ცხოველების მოშენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის მიღების მიზნით.

ისტორიულად ითვლება, რომ საქართველო უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანაა (თვითონ სახელი Georgia-ც აქედან იღებს სათავეს). ამის გათვალისწინებით ქართველების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში ნომერ პირველი სფერო, რომელიც უნდა განვითარდეს, არის სოფლის მეურნეობა. სულ მცირე დროა გასული მას შემდეგ, რაც ეს დარგი პრიორიტეტულად გამოცხადდა მთავრობის მიერ, შესაბამისად სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს ამ სფეროს განვითარებას და მასში დასაქმებული ადამიანებისთვის ხელის შეწყობას.

სოფლის მეურნეობა ძალიან ფართო ცნებაა და მოიცავს უამრავ სხვადასხვა საქმიანობას, რომელთაგანაც ზოგი განვითარებულია, ზოგი კი ამით ვერ დაიკვეხნის. ეს განპირობებულია საზოგადოების მხრიდან კონკრეტული დარგით დაინტერესების დონით. ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო სფერო შეიძლება დავეოთ შემდეგ დარგებად: მიწათმოქმედება, მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა, მებოცვრეობა, მევენახეობა, მეთევზეობა, მეთესლეობა, მემცენარეობა, მენადირეობა, მეტყვეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეღორეობა, მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეცხოველეობა, მეჩაიეობა, მეხილეობა.

სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს გადასახადებისგან სრულ გათავისუფლებას. საქმიანობა სოფლის მეურნეობაში იბეგრება რამდენიმე სახის გადასახადით:

1. საშემოსავლო გადასახადი.
2. მოგების გადასახადი.
3. დამატებული ღირებულების გადასახადი.
4. ქონების გადასახადი.

ბოსტნეულის მიწოდება ითვლება პირველად მიწოდებად, ამიტომ მისი მწარმოებელი ისარგებლებს დაწესებული შეღავათებით, მაგრამ კონსერვების დამზადება აღარ იქნება პირველადი წარმოება და დაიბეგრება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საწარმო.

ასევეა მესაქონლეობაშიც, ცოცხალი ცხოველის ან ფრინველის გაყიდვა ითვლება პირველად მიწოდებად, მაგრამ დაკლულს, ხორცად უკვე სხვა სასაქონლო კოდი აქვს და შესაბამისად ის აღარაა პირველადი მიწოდების პროდუქტი.

ამორტიზაცია და გამოქვითვები

ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას და ბიოლოგიურ აქტივს. 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალება მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში შევიდა, ხოლო ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი გამოიქვითება იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ფაქტობრივად იქნა გაწეული. ბიოლოგიურ აქტივებში იგულისხმება მცენარეები და ცხოველები.

ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების ანარცხები გამოიქვითება იგივე წესით, როგორც ყველა სხვა ძირითადი საშუალება. ამ სფეროში გამოყენებული ძირითადი საშუალებები ჯგუფდება აქტივების კლასიფიკაციის პირველ ჯგუფში. პირველი ჯგუფის ამორტიზაციის ნორმაა 20%.

საშემოსავლო გადასახადი

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა იგივე წესით ხდება. ანუ, გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი, ან არარეზიდენტი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბუერი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის.

მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულებს სასელმწიფო სთავაზობს გარკვეულ შეღავათებს საგადასახადო კოდექსის 82 მუხლის დ და ც პუნქტების თანახმად:

ლ) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

ც) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ, რომლის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს, აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში დაქირავებულისათვის გაცემული ანაზღაურება.

ანუ, 2014 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება არა მარტო მცირე ფერმერის - ფიზიკური პირის, მიერ მოწეული და გადაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მიწოდებით რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, თუ ეს შემოსავალი არ აღემატება 200,000 ლარს წლის განმავლობაში, არამედ მის მიერ ფერმაში სამუშაოდ დაქირავებულისათვის ამ მიზნით გაცემული ანაზღაურებაც. იგულისხმება, რომ თუ გლეხი გაყიდის თავის მოყვანილ ყურძენს, არ იხდის გადასახადს, მაგრამ თუკი ის გაყიდის ამ ყურძნისაგან დამზადებულ ღვინოს - უნდა გადაიხადოს.

მოგების გადასახადი

მსგავსად საშემოსავლოსა, გადასახადიც იგივე პირობებში გადაიხდება, მაგრამ რადგან ეს არის სასოფლო-სამეურნეო სფერო, გარკვეული საგადასახადო შემოსავლები აქვს მეწარმეებს. ზოგადად, გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი საწარმო ან არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. ჩვეულებრივ, დაბეგვრის ობიექტია დასაბუერი მოგება, რომელიც გაიანგარიშება როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის. საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლი ამ სფეროში დასაქმებულებს სთავაზობს შემდეგ შეღავათებს:

1. მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ე) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

ვ) 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში; ანუ, სოფლის მეურნეობაში მოღვაწე იურიდიული პირი, რემელსაც შემოსავალი არ აქვს 200 000-ზე მეტი და ამ შემოსავალს იღებს გადამუშავებამდე, პირველადი წარმოებით, ის თავისუფლდება გადასახადისაგან. გარდა ამისა, ეს შეღავათი ვრცელდება მოგების იმ ნაწილზეც, რომლის რეინვესტირებაც ხდება, მიუხედავად იმისა, რამდენი აქვს შემოსავალი ამ პირს.

წარმოსახვითი მაგალითი: „პაპა კარლო“ არ იხდის მოგების გადასახადს, რადგან მისი შემოსავალი ნაკლებია 200 000-ზე. მაგრამ გაფართოების შემდეგ მისი შემოსავალი გადააჭარბებს 200 000. იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოგების 50%-ს ჩააბრუნებენ თავისსავე ბიზნესში, დაეუშვათ, ტრაქტორების საყიდლად, მაშინ მოგების

ახალი უკონსილი



სტუდენტური ხელვა

გადასახადი დაითვლებოდა მხოლოდ დარჩენილი 50%-დან.

დამატებული ღირებულების გადასახადი.

ამ გადასახადის შემოვევაშიც, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა იბეგრება ჩვეულებრივ, მაგრამ გარკვეული შედავათები მაინც აქვს. ზოგადად, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ პირის შემოსავლები აღემატება 100 000 ლარს 12 თვის განმავლობაში. ამ გადასახადის გადამხდელია:

- ა) პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;
- ბ) პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;
- გ) პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში პროდუქციის პირველადი მიწოდება არ ექვემდებარება დაბეგვრას (გათავისუფლებულია), გარდა კვერცხისა. ასევე, ამ სფეროში საჭირო პესტიციდები და აგროქიმიკატები, სათესი და სარგავი მასალები, რომლებიც იმპორტირებულია, დღგ-ით არ იბეგრება.

ამას არგველირებს საგადასახადო კოდექსის 168 -ე მუხლი:

1. ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა:

- ე) სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00 190 00 და 0407 00 300 00 კოდებში მითითებული საქონლისა (კვერცხისა)) პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე);
- დ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი.

წარმოსახეითი მაგალითი: „პაპა კარლო“-ს შემსავალი არ სცილდებოდა 100 000 და ის არ იყო დღგ-ს გადამხდელი. ისედაც, მისი საქმიანობა პირველადი სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოება და გაყიდვა და ის არ იბეგრება დღგ-

თი. შესაბამისად, არც ახალი, გაფართოებული ბიზნესი დარეგისტრირდება დღგ-ს გადამხდელად ბონდოს მოუნდა სიმინდის თქვის-ხაჩოტის ამერიკიდან. ესეც არ დაიბეგრებოდა დღგ-ით, რადგან სათესი და სარგავი მასალების იმპორტიც განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული ქონება და მისი განსაკუთრებული სახე - მიწა. საგადასახადო კოდექსით საკმაოდ დეტალურადაა განმარტებული ამ მიზნით გამოყენებული ცნებები (საგადასახადო კოდექსის მე-200 მუხლი).

ამ კანონის მიზნებისათვის არსებობს შემდეგი განმარტებები:

1. ქონება - დასაბეგრი ქონება და მიწა.

2. მიწა - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწები. (10.12.2010. 3968 ამოქმედდეს 2011 წლის 2 იანვრიდან)

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

- ა) სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები; ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები; გ) საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები; დ) დასახლებული პუნქტების ფარგლების გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კაეშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება; ე) ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მდებარე მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ვ) სამელიორაციო ქსლებით დაკავებული მიწები; ხ) სხვა მიწა, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

4. ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა: არასასოფლო-სამეურნეო

ახალი პარონისტი



სავარგული, რომელიც ტრანსფორმირდება (გადაიყვანება) სასოფლო-სამეურნეო სავარგულად.

ზოგადად, ქონების გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები:

ქონების გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე და არამატერიალურ აქტივებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე;

ბ) არარეზიდენტი საწარმო – საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ქონებაზე (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე);

გ) ფიზიკური პირი:

გ.ა) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე), იახტებზე (კატარღებზე), შეუღმფრენებზე, თვითმფრინავებზე;

გ.ბ) არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე;

გ.გ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე და არამატერიალურ აქტივებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადი ადგილობრივი გადასახადია- მისი განსაზღვრა ხდება დეცენტრალიზებულად, ადგილობრივი თვითმმართველობები განსაზღვრავენ გარკვეულ ჩარჩოებში რამდენი იყოს განაკვეთი.

ქონების გადასახადთან აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი - სხვადასხვა პერიოდის აქტივების შეფასება ხდება სხვადასხვა კოეფიციენტის გამოყენებით:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, – ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობით.

სასოფლო-სამეურნეო სფეროში დაკავებული პირის ქონების დაბეგრა ხდება ჩვეულებრივ, მაგრამ განსხვავებული მდგომარეობაა მიწის შემთხვევაში.

მიწის შეფასება ხდება საგადასახადო წლის პირველი აპრილის მდგომარეობით.

პირი მიწის ქონების გადასახადს იხდის საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე:

ა) მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი;

გ) მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

მიწის გადასახადი დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობას შეუძლია ცვლილება, უკვე დადგენილის არაუმეტეს 150%-ის ფარგლებში.

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ბიოლოგიური აქტივები – მცენარეები და ცხოველები.

ზოგადი შედავათები

გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო წამოების პროცესი, განსაკუთრებულ პირობებში, სარგებლობს სხვა შედავათებითაც:

1. საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლება ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და ახდენს პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან მისგან წარმოებული (გადამუშავებული) საქონლის რეალიზაციას, – საქმიანობის ამ ნაწილში;

2. სასაქონლო ზედნადების გარეშე პროდუქციის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებლობისგან თავისუფლება ნებისმიერი პირი, რომელიც ახდენს მოწვეული მოსავლის (მის გადამუშავებამდე) საქონლის მიწოდებას ან ტრანსპორტირებას.

სხვა შემთხვევებში ზედნადების გარეშე საქონლის ტრანსპორტირება დახჯადია:

სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაცემლობა ან საქონლის შექმნისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებული საქონლის საბაზრო

აზალი მკონიშისტი



ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, იწვევს პირის დაჯარიმებას შესაბამისად სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულებით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა ტრანსპორტირებულ/შეძენილ საქონელს. ამ მუხლით გათვალისწინებული ყადაღის დადების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

სოფლის მეურნეობის გადასახადების ანალიზი და გავლენა დარგის განვითარებაზე

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მნიშვნელობა შემცირდა, რაზეც შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს: 1990 წელს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 30 პროცენტი იყო, ამჟამად კი 8,3 პროცენტია. ამასთან, ოცი წლის წინ სოფლის მეურნეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის 25 პროცენტი იყო დასაქმებული, ახლა კი 47 პროცენტია[2]. ქართულ სოფლის მეურნეობას დიდი პოტენციალი აქვს და მისი განვითარების მემეგობით შესაძლებელია მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვნად გაზრდა, რაც ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებელია.

ერთი შეხედვით, საქართველოს საგადასახადო კოდექსი გადასახადების თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ხელშეწყობას ემსახურება. თუმცა, თუ ჩავუღრმავდებით თითოეულ მუხლს, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეალურად ეს „ღიბერალური“ გადასახადები თითქმის არავითარ შედეგათს არ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სფეროსთვის.

დამატებითი ღირებულების გადასახადის პუნქტში (სსკ მუხლი 168), როგორც აღვნიშნეთ, წერია; რომ თავისუფლდება მხოლოდ “სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება”. ესე იგი, თუ ფერმერი უშუალოდ არ ყიდის პროდუქციას საბოლოო მომხმარებელზე, დღე სახელმწიფო ბიუჯეტში მაინც შევა, რადგანაც ვინც ფერმერისგან შეისყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და შემდეგ მოახდეს რეალიზაციას, მას აქვს ვალდებულება დღე-ს გადასახადის გადახდაზე.

აქედან დასკვნა: რეალურად სოფლის მეურნეობის სფერო დღე-ს გადასახადების მიხედვით ისარგებლებს მაშინ, თუ ფერმერები ერთდროულად მოიყვანენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და მის რეალიზაციაზეც თავად იზრუნებენ. ორი საქმის ერთდროულად კეთებისას კი მოგვსენებო, ხარისხიანად არცერთი არ გამოდის.

ამიტომაც საქართველოში სიმცირეა იმ დისრიბუტორი, შუალედური კომპანიების, რომლებიც მოახდენდნენ წვრილი გლეხებისგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის დროულ შეგროვებას, უვნებლობის კონტროლს და მათ სასურველი სასაქონლო სახით საბოლოო მომხმარებლამდე ხარისხიან დისტრიბუციას.

რა ცვლილება შეიძლება შეიტანოს სახელმწიფომ საგადასახადო კოდექსში ამ პრობლემის გადასაჭრელად?

უნდა მოხდეს დღე-სგან არა მხოლოდ „სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდების“ გათავისუფლება, არამედ ზოგადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება (მიუხედავად იმისა, ვინ არის მიმწოდებელი), ამასთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი დაბეგროს ჩვეულებრივ, როგორც დღე-ს არის. ამ ცვლილებით სახელმწიფო ბიუჯეტი პროდუქციის იმპორტიდან მიიღებს იგივე თანხებს დღე-ს სახით, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე ხელს შეუწყობს შუამავალი რგოლების განვითარებას. ეს თავის მხრივ განავითარებს წვრილსა და საშუალო დონის ფერმერებს.

სოფლის მეურნეობის დარგს მიკუთვნებულ საქმიანობის სახეებს საგადასახადო მიზნებისთვის გაუთანაბროს სხვა გადაამამე შავვებელი მრეწველობის საქმიანობის სახეები, როგორცაა მაგალითად: რძის გადამამე (მაწონი, ყველი და ა.შ.), დაკლული ცხოველი და ფრინველი და ა.შ.

საგადასახადო კოდექსის იმავე მუხლის მომდევნო ქვეპუნქტში წერია, რომ დღე-სგან გათავისუფლებულია მხოლოდ პირველადი პროდუქცია ყოველგვარი სახეცვლილებისა და სასაქონლო კოდის შეცვლის გარეშე. თუ ფერმერი აწარმოებს რძეს, ის არ იხდის დღე-ს, მაგრამ თუ ის მაწონს დაამზადებს ამ რძისგან და გაყიდა, მაშინ დღე უნდა გადაიხადოს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეს შედეგითიც სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა მცირე ნაწილის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ახალი კონსილი



წერილი გლეხები აქ დაცული არიან გადასახადის გადახდისგან, სანამ წლის განმავლობაში არ ასცდებიან 100 000 ლარიან ბრუნვას.

არსებული შედეგათი კი არანაირი სტიმული არ არის(რადგანაც მათზე არ ვრცელდება) მსხვილი ფერმერების,საწარმოებისა და კომპანიებისთვის, რომლებიც მასშტაბის ეკონომიურობის გამოყენებით ნაკლები დანახარჯებით შეძლებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტის შეგროვებას, გადაამუშავებას, შენახვასა და დისტრიბუციას.

გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის „ძ“ პუნქტში წერია,რომ დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლებულია “საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი”. საგადასახადო კოდექსში

შეტანილი შედეგათები სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდ წვლილს ვერ შეიტანს, რადგან იმპორტირებულ პროდუქტის ადგილობრივ ბაზარზე გადაყიდვა იბეგრება, რადგან იმპორტია გათავისუფლებული და არა ადგილობრივი გაყიდვა.

საქართველს ახალი საგადასახადო კოდექსით საშემოსავლო და მოგების გადასახადისგან გათავისუფლება გათვალისწინებულია მხოლოდ 2014 წლის იანვრამდე, ანუ მხოლოდ 2013 წლის ჩათვლით. შეიძება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის სფეროსთვის ეს ძალიან მცირე დროა. სოფლის მეურნეობა ძალიან სპეციფიკური სფეროა, სადაც ბიზნესი მინიმუმ 6 წლის ვადით იგეგმება. ამიტომ მხოლოდ 2013 წლის ბოლომდე არსებული შედეგათები ნაკლები სტიმულია სოფლის მეურნეობაში ფულის ჩასადებად, მითუმეტეს, რომ ამ სფეროში რისკ-ფაქტორი ძალიან დიდია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო საგადასახადო კოდექსი.
2. www.statistic.ge

რეზიუმე/SUMMARY

TO THE ISSUE OF FUNDAMENTALS OF ECONOMICS

NIKO CHIKHLADZE

Doctor of Economic Science, Doctor of Theology,
Full professor of Kutaisi University

During decades social order of community to prepare staff in soviet economic sciences and study social disciplines, although prepare staff as specialist of command economics, caused a number of characteristics.

It is possible to categorize leaders of disciplines in economic theories in three groups: "Orthodoxies", "Apologists" and their combination. In old Georgia there was precedent to mix political economy and economics. Argument was existing economy.

We consider that economical sciences should not ignore national interest. World unity and aspiration to integration processes doesn't interdict his versatility.

In the process of economic studies it is recommended to construct course by considering national agricultural tendency and trends of Georgian economical development. We must delimit and use all condition, which will be first step in possible productive synthesis.

ON LIQUIDITY, CAPITAL AND ACTIVE-PASSIVE QUALITY OF BANKING SYSTEM OF GEORGIA IN POST-CRISIS PERIOD

GOCHA TUTBERIDZE

Dr. Prof. University of Kutaisi

PAATA KUNCHULIA

PhD student, Iv. Javakhishvili Tbilisi
State University, Georgia

The main purpose of our study was the evaluation of Georgian banking system based on the events developed in recent years. The study covered the quality of assets, issued credits, stock and profit gaining ability.

The main attention was paid to the quality of assets of banking system, dynamics of portfolio of total assets and credits. We analyzed three years (2007-2009-2010) and made of their comparative analysis, which is given in the form of diagrams. On the basis of study it was determined that the year of 2009 was very severe for Georgian banks. The main reason of it was consequences of Russian aggression of 2008 and worldwide financial and banking crisis due to which the commercial banks were faced against the acute problem of credit repayment and liquidity problem was arose as well.

At the end of 2009 and the beginning of 2010 situation, arose in banking system relatively became stable and the banks avoided banking crisis that was reflected on the credit issuance and depositing quantity and amount; however positive trends are still weak and the country still faces significant financial and political risks.

CULTURE OF COMMUNIKKATION IN BUSINESS

LOID KARCHAVA

Doctor of Business Administration,
Associate Professor of Caucasus International University

In this article there is reviewed culture of communication in business, what is manifested in business relationships between people. There is clarified importance of ethical standards and etiquette in relationships with local and international business partners. During relationships with people should be foreseen common animated demands,



such as defense of human dignity, showing partner not your, but his own profit in your offer. What's more, in this article there is defined importance of public speech – orate, which is equally necessary in business while having speeches with co-workers and customers.

**PRINCIPLE OF PARETO OR
HOW TO MAKE OPTIMUM USE OF BUSINESS RESOURCES**

NINO JOJUA

PhD in Economics
Caucasus Academic Centre
Academic program's director,
Associated Professor

In article is considered the principle of Pareto which is a good method for acceptance of administrative decisions. Especially, when organization works in a crisis period and optimization of resources is very important

It can be used as a base installation in the analysis of factors of efficiency of any activity and optimization of its results: correctly having chosen a minimum of the most important actions, it is possible to receive quickly a considerable part from planned full result, thus the further improvements are inefficient and can be unjustified.

The principle (also known as “80/20 rule”) states that, for many phenomena, 20% of invested input is responsible for 80% of the results obtained. Put another way, 80% of consequences stem from 20% of the causes.

In article is considered also ABC Analysis, A technique that has been used in business management for a long time is the categorization of large data into groups. It is a form of Pareto analysis in which the items (such as activities, customers, documents, inventory items, and sales territories) are grouped into categories in order of their estimated importance.

There are resulted concrete examples of use of the presented methods in marketing and logistics which prove their practical importance.

MOTIVATION – AS A MOST SIGNIFICANT FUNCTION OF MANAGEMENT

EMZARJULAKIDZE

PhD in Economics
Associated Professor
Akaki Tsereteli State University

Motivation, it is a generator of a decisions made by a human being on its different levels of consciousness or unconsciousness. It is a powerful instrument in the hands of a good manager, trough which multiple member teams can be managed without any enforcement measures to take. However, it is not an easy process to implement effective way of management. In order to create effective system of managerial inspiration and environment where the manager can understand behavior of each employee, it has significant importance to have a qualified knowledge in human psychology which is a base for work motivation.

Effective Management should create such system within a company were fulfillment of an employee's objectives will be completely dependent on the fulfillment of strategic goals and objectives of the Company.

As more systematic a motivation is as more successful a company can be.

Several motives are influencing activity of an employee. Major of them are: Salary, bonus, correct distribution of a work to be done, career development, moral encouragement, transparency in management, pleasant working environment, friendly relations and social guarantees. Each motive has its own place and function in the overall management process.

საქართველოს
ეკონომიკის
და სტატისტიკის
სამსახური



ORGANIZATION DEVELOPMENT AND LIFE CYCLE OF COMPANY

ELZA BALASHVILI

Professor, Academic Doctor of Economic

ZAIRA GUDUSHAURI

Professor, Academic Doctor of Economic

Model of Life cycle, phase of Cycle, reasons of their change and phase crisis of the company are defined in the article "Organization Development and Life Cycle of Company" by Professors E. Baliashvili and Z. Gudushauri.

The article advances the idea that manager has to know in which phase of life cycle his/her company is. Without this, even with conforming theoretical knowledge manager won't be able to put in action relevant measures. Since those measures are diverse in different phases. There is the list of those measures in the article.

FOREIGN EXPERIENSE OF USE LABOUR STIMULI AND GEORGIA

SHOTAVESHAPIDZE

Doctor of economic sciences, associate professor of GTU

EDUARD KAVTIDZE

Doctorate of GTU

Effectiveness of labour stimuli is integrally connected with the effectiveness of market stimuli. It is truth, that the stste must not interfere in intrafirm businesses, but it has a lot of means to craete helping conditions of labour stimulations in the firms and adopt experiences of labour stimuli from developed countries by means of consultations and other forms.

It must be remarked that we are against adopting foreign experiences without detaled analyze. We must foresee spesific conditions of our country and share only positive sides of their experience.

The necessity of the research of those problems shows the importance of the issue. It is necessary to create the organization, which will research the problem of labour stimuli, their conditions in Georgia and will have consultations with the practitioners on the impruving issues of the condition.

FINANCIAL MECHANISM OF THE COMPANY: IDEA, SUB-SYSTEMS, ELEMENTS AND STRUCTURE

RUSUDAN PAPASKIRI

Doctor of Technical Sciences

Sukhumi State University

In the article "Financial Mechanism of the Company: idea, sub-systems, elements and structure" is given the idea of financial mechanism, its two – leading and led sub-systems, consistency and structure. The article says that the financial management is carried out by the financial mechanism, which represents the unity of financial methods, instruments, means, financial relations and normative, legal and informative provision. They are considered as elements of financial unity in the article. Their description is given and each place and role in whole financial mechanism is shown.

საბალო მკონომისტი



INGA KULIANI

Academic Doctor of the Economy

There are given the differences in the article “Business Regional Development Problems in Georgia” for the living standards, budget incomes, average salary, workplaces, etc of the population of the various regions in Georgia. Such situation causes conflicts between the migration and other events among the population of the region.

The matter on examination of resource possibilities of region development of Georgia and making and fulfilling development program of entrepreneurship of regions on its results by state initiative and order is put in the article.

ABOUT TAX-LAW RELATIONSHIPS

IURI KARCHAVA

Master of Economics, Auditor, law expert

Structure of tax-law relations is composed with those elements, which are typical for law relationships in general. From this the most important in tax-law relationship are rights and obligations of participants, which is base of law relations content. Tax-law relationship is relative relationship, what means rights and obligations distribution between subjects about defined object. There is determined obliged side for the plenipotentiary man and only that side is obliged to do this or that action. Existing of obligations is not typical for this. Tax engagement appears on basis of act, not with agreement between sides, and is unilateral. State, as participant in tax-law relations, is plenipotentiary to request from tax payers obeying commitments without equivalent action.

THE GLOBAL ECONOMIC CRISIS AND GEORGIA

ADEISHVILI GIORGI

**I. Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business**

This article briefly discusses the global economic crisis and attitude of Leading countries, impact of the crisis on therest of the world including Georgia, situation in Georgia and the anti-crisis plan developed by the government, comments and corrections of georgian scientists about this plan ,it’s very important to note them. There is a solution to all problem and the crisis isn’t exception, the main thing isto find the right road and follow it.

TAXATION OF AGRICULTURE IN GEORGIA

TAMAR JABUA

**I. Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business**

The article is about taxation of agriculture in Georgia. Nowadays, this field has high priority in our country; accordingly, the government tries to assist of developing this field. Of course, assistance from the government does not imply total freedom from taxation. Agriculture is imposed by 1) income tax 2) profit tax 3) value added tax 4) property tax. In the work, Georgian tax code is discussed, that directly concerns agriculture. If we made the analysis each article, we may come to the conclusion, that actually these “liberal” taxes are insignificant relief for the field of agriculture.

ბიზნესის რეგიონული პრობლემები



გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვ.ნ. კარაზინის სახელობის ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი
ოლენია აზარენკოვა

ვ.ნ. კარაზინის სახელობის ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტის
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ბაკალავრი

სტატიაში განხილულია ალტერნატიული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაფინანსების ძირითადი ტენდენციები მსოფლიოში. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ენერგოსექტორის საინვესტიციო მიმზიდველობა, რომელმაც განვითარების ახალი მიმართულება განსაზღვრა - "მწვანე ეკონომიკა", განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ბუნებრივი ენერჯის მარაგის პრაქტიკული ამოწურადობა, ალტერნატიული ენერჯის გარდაქმნის პროცესში ეკოლოგიურად სუფთა წარმოების უზრუნველყოფა და ეკონომიკური ეფექტურობა. თანამედროვე პირობებში მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყანა აბანდებს ინვესტიციებს ენერჯო - და რესურსდამზოვი ტექნოლოგიების შემუშავებაში. აქვე იგარაუდება, რომ ადგილი ექნება გაზის ენერგეტიკის კანონზომიერ ზრდას, რითაც ირიბად დარჩება მოგებული ენერჯის ისეთი ალტერნატიული წყაროები როგორცაა გაზი და ქვანახშირი. ასევე, გაიზრდება ნახშირბადის გაზის ატმოსფეროში გამოფრქვევის ფასი, რის გამოც ალტერნატიული ენერჯია უკვე არ ჩაითვლება ძალიან ძვირად.

თეორიულად მხოლოდ მზის ენერჯიას შეუძლია თითქმის დააკმაყოფილოს კაცობრიობის მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე. დღეისათვის პირველ რიგში საკითხი ასე დგას, როგორ გადანაწილდეს მიღებული ენერჯია და როგორ შეინარჩუნოთ იგი, რომ წარმოება გახდეს ეკოლოგიურად სუფთა და მსყიდველობითი. იმისათვის, რომ ენერჯის ახალმა წყაროებმა სერიოზული როლი ითამაშონ მსოფლიო ენერგეტიკულ ბალანსში, აუცილებელია შეიქმნას ახალი ეფექტიანი ენერგოეკონომიკა. ცხადია არ არსებობს ენერჯის ერთი იდეალური წყარო, რომელსაც შეუძლია ყველა დანარჩენი შეცვალოს და ამავდროულად დარჩეს ეკოლოგიურად სრულიად უსაფრთხო. შესაბამისად, ამოცანას წარმოადგენს სწორად მოხდეს სხვადასხვა ენერგომარაგისა და წყაროების კომბინაციის შერჩევა.

ახალი ეკონომიკა



უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები

**ინფლაცია დიდ ბრიტანეთში
ახვისტოში 4.5%-ით გაიზარდა**

აგვისტოში ბრიტანეთში ყოველწლიური ინფლაცია 4.5%-ით გაიზარდა, საცალო საფასო ინდექსმა კი 5.2%-იან მანქანებზე მიაღწია. ეკონომისტები, რომლებიც მხოლოდ სამომხმარებლო ფასების ინდექსის უმნიშვნელო ზრდას ვარაუდობდნენ, იმედგაცრუებულნი დარჩნენ და ახლა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესების მოლოდინში არიან.

ეკონომისტების ნაწილი შეშფოთებული იყო იმით, რომ ტანსაცმლისა და ავეჯის ფასი მომხმარებელთა მოლოდინზე მეტად გაიზარდა. ფესსაცმლისა და ტანსაცმლის ფასებმა ივლისიდან აგვისტომდე 3.7%-ით მოიმატა, გასულ წელს კი იმავე თვეებში ფასები მხოლოდ 2.8%-ით გაიზარდა. ავეჯის ფასმა, ასევე ივლისიდან აგვისტომდე, 2%-ით მოიმატა, წინა წლის ამავე თვეებში კი მხოლოდ 1%-ით.

ბოლო 12 თვის განმავლობაში საწვავის ფასი 17%-ით, ავიაბილეთების – 7.7%-ით, სასმელის კი 6.2%-ით მაღალი იყო. საქონლით ვაჭრობის დეფიციტი გაიზარდა 8.87 მილიარდი ფუნტი სტერლინგიდან 8.92 მილიარდამდე. საექსპორტო ფასები საქონელზე უმნიშვნელოდ დაეცა, იმპორტზე კი 1.3%-ით გაიზარდა.

Financial Times www.ft.com

**სიღარიბე ამერიკაში რეკორდულ
მაჩვენებელს ალწევს**

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში დღეს ყველაზე მეტი ამერიკელი ცხოვრობს სიღარიბეში. 2010 წლის მონაცემებით, 46.2 მილიონი ადამიანი იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ საშუალო წლიური \$22.314-იანი შემოსავლით ოთხკაციანი ოჯახებისთვის, ხოლო \$11.139-იანი შემოსავლით ცალკეული ინდივიდებისათვის.

აშშ-ს მოსახლეობის 15.1%-ს სიღარიბის პრობლემა აწუხებს, ეს კი განსაცვიფრებელი მაჩვენებელია. საშუალო სიდიდის ამერიკელი ოჯახის შემოსავალი 2010 წელს წინა წელთან შედარებით 2.3%-ით შემცირდა. ამის პარალელურად, 1 მილიონიდან 49.9 მილიონამდე

გაიზარდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ამერიკელთა რაოდენობა.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ საშუალო კლასისთვის ცხოვრება უფრო და უფრო გართულდება. Brookings (არაკომერციული საზოგადოებრივი პოლიტიკის ორგანიზაცია) -ის მიხედვით კი, სიღარიბის მანქანებზელი ისევე მოიმატებს და 2014 წლისათვის 16%-ს მიაღწევს.

Financial Times www.ft.com

**ნახმარი ოქროს ჩაბარება – ახალი
ტენდენცია**

2005 წლიდან 2010 წლამდე აშშ-ში ვაჭრობა ოქროს ნახმარ სამკაულებსა და ჯართზე 137%-ით გაიზარდა. საზოგადოება სულ უფრო ეტანება ოქროს ჩაბარებას და ხანაცვლოდ ნაღდი ფულის აღებას. ეს თითქოს ახალ ტენდენციად იქცა. მართალია ოქროში აღებული ფული უკან არის დასაბრუნებელი, მაგრამ დაუბრუნებლობაც დასაშვებია. მხოლოდ, ამ შემთხვევაში, ჩაბარებულს ჩაბარებულ ოქროსთან საშუალოდ გამოთხოვება უწევს, რადგანაც ის სახალხო აუქციონზე იყიდება.

The Wall Street Journal www.wsj.com

**ოქროს მოპოვება და სარეზერვო
მარაბები**

ადამიანის მიერ მოპოვებული ოქროს რაოდენობა რომ ავრწყავთ, მისი წონა 166,6 ათას ტონას შეადგენს.

თვალსაჩინოებისათვის ასეც შეიძლება წარმოვიდგინოთ: ამ რაოდენობის ოქრო რომ გადავადნოთ დამ ას კუბის ფორმა მივცეთ, კუბის ერთი გვერდის სიმაღლე 20 მეტრს მიაღწევს. დღევანდელი ფასებით მისი ღირებულება 7 ტრილიონი დოლარი იქნებოდა.

დღეს ოქროს მოპოვების თვალსაზრისით ჩინეთი, აშშ, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, რუსეთი და კანადა ლიდერობენ. 2010 წლის მანძილზე მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მეტი რაოდენობის ოქრო მოიპოვეს – 2652 ტონა. მათ შორის, ჩინეთის წილი 344 ტონაა, ავსტრალიის – 259, აშშ-ის – 234, სამხრეთ აფრიკის – 206, ხოლო რუსეთის -199

ახალი ეკონომიკა



ტონა. ოქროს სარეზერვო მარაგის მიხედვით კი მსოფლიოს პირველი ხუთეულის სია ასე გამოიყურება: ოქროს ყველაზე დიდი რეზერვი ამერიკის შეერთებული შტატების საცავებში დევს – 8 133 ტონა, შემდეგ მოდიან გარმანია – 3 401 ტონა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი – 2 814 ტონა, იტალია – 2 451 ტონა, საფრანგეთი – 2 435 ტონა. რაც შეეხება რუსეთის, მისი რეზერვი შეადგენს 836 ტონას.

http://b.amebi.ge/www/delivery/af.php?zoneid=31&cd=INSERT_RANDOM_NUMBER_HERE

ლიბიური ნავთობი მაღე ისე მქსპორტზე ბავა

ლიბიის სახელმწიფო ნავთობის კომპანიამ აღადგინა ნავთობის მოპოვება და სულ მაღე, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, მის ექსპორტსაც განაახლებს.

დაზიანებული ენერგოსადგურებისა და შესაძლებლობების გამო, Agoco (Arabian Gulf Oil Company)-ს 3-4 თვე მაინც დასჭირდება იმისთვის, რომ ოპერაციულ მდგომარეობას დაუბრუნდეს და ისევე 350.000 ბარელი ჰქონდეს დღეში.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსები ვერ თანხმდებიან, შეძლებს თუ არა ლიბია აღიდგინოს წინანდელი პოზიცია -- 1.6 მილიონი ბარელი დღეში. ეს ხომ მარტო ქვეყანაზე არაა დამოკიდებული და უცხოური ნავთობ-კომპანიების ნდობაც ბევრ რამეს განსაზღვრავს.

The Wall Street Journal www.wsj.com

ჩინეთი ნიადაგის იშვიათი მასალების ძარხნებს ღრობით ხურავს

ჩინეთი, რომელიც მსოფლიოში ნიადაგის იშვიათი მასალების დაახლოებით 95%-ის მფლობელია, თავის ინდუსტრიას დროებით ხურავს. მიზეზი ამ სფეროში ვარემოს დაბინძურებაზე კონტროლის გაუმჯობესებაა. რა თქმა უნდა, ყოველივე შემოადინიშნული შესაბამის პროდუქციებზე ფასების ზრდას გამოიწვევს. ფასების ზრდა კი - მომხმარებლის უკმაყოფილებას. თანაც, აღსანიშნავია ისიც, რომ მარტო ფლურესცენციული ელნათურების ფასი ამ წელს უკვე 37%-ით გაიზარდა

ქარხანათა უმრავლესობა ჩინეთში, სამთავრობო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოების

ჩათვლით, აგვისტოში დაიხურა. მთავრობა დიდი მონდომებით მუშაობს ინდუსტრიის "დასუფთავებასა" და დაბრუნების მაკონტროლებელი ადგიურვიდობის დადგენაზე.

The New York Times www.nytimes.com

ტვიტერს ორი ყველაზე კვამლი ინვესტორი ტოვებს

ტვიტერის დირექტორთა საბჭო ორმა ყველაზე ძველმა ინვესტორმა – Fred Wilson of Union Square Ventures და Bijan Sabet of Spark Capital-მა დატოვა. უცნაურია, თუმცა ტვიტერი ჯერ-ჯერობით არ ჩქარობს წერილობითი ბრძანების გაცემას ყოფილი საბჭოს წევრების ჩანაცვლების თაობაზე.

დღეისათვის ტვიტერი საკმაოდ პოპულარულია და საერთო ჯამში 100 მილიონზე მეტი აქტიური მომხმარებელი ჰყავს. კომპანია აცხადებს, რომ მის წარმატებაში Wilson-მა და Sabet-მა დიდი წვლილი შეიტანეს. როგორ შეიცვლება ტვიტერის მომხმარებელთა რაოდენობა მათი კომპანიიდან წასვლის შემდეგ, რა ცვლილებები და ინოვაციები გველოდება და ვინ დაიცავებს მათ პოზიციებს, მხოლოდ მომავალი გვჩვენებს.

www.news.yahoo.com


შვეიცარია – ყველაზე კონკურენტუნარიანი ქვეყანა მსოფლიოში

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum – WEF)-ის მონაცემებით, შვეიცარია მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი სახელმწიფოა. ფინანსური კრიზისის შემდეგ საბანკო და ფინანსური ინდუსტრიის დაბალანდება საკმაოდ რთულია, თუმცა ქვეყნები სხვადასხვა გზით ცდილობენ ამის მიღწევას. შვეიცარიისთვის ასეთი გზა ფასების სტაბილიზაციისათვის გატარებული ცვლილებებია. სწორედ ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, გახდა ქვეყნის წარმატების საწინდარი.

ნაკლებად სასიხარულო აღმოჩნდა WEF-ის რეიტინგი აშშ-თვის, ასევე საკმაოდ კონკურენტუნარიანი ქვეყნისთვის. მან პირველი ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა. რაც შეეხება ბრიტანეთს, მისი მეორე პოზიცია მეათეით შეიცვალა.

The Telegraph www.telegraph.co.uk

ახალი ეკონომისტი



გერმანული კონცერნი „ფოლკსვაგენი“ იაპონურ კომპანია „სუბუკის“ კონტრაქტის დარღვევაში ადანაშაულებს. ირკვევა, რომ იაპონელები გერმანულ მხარეს ძრავების შესყიდვასთან დაკავშირებით არ შეუთანხმდნენ და იტალიურ ავტომწარმოებელ „ფიატს“ გაურიგდნენ. 2009 წელს „სუბუკის“ აქციების 19,9% „ფოლკსვაგენმა“ შეიძინა. ის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ავტომწარმოებელია, სადაც 435 ათასი ადამიანია დასაქმებული. გერმანული კონცერნი მიზნად ისახავს, იაპონური კომპანია „ტოიოტას“ უმსხვილესი ავტომწარმოებლის სახელი წაართვას და ამისათვის 60 მლრდ ევროს დაბანდებას გეგმავს.

ეკონომიკური პალიტრა №33 (193), 19-25
სექტემბერი, 2011

ევროპის ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი Westfield-ი ლონდონში გაიხსნა. ცენტრში განტავსებულია 300 მაღაზია, 70 რესტორანი, 3 სასტუმრო და გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე დიდი სამორინე. Westfield-ის საერთო ფართობის 95% იჯარით უკვე გაცემულია. სავაჭრო ცენტრი განლაგებულია ლონდონის ოლიმპიური პარკის სიახლოვეს, სადაც 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის თამაშების ნაწილი გაიმართება. მისი აშენება 1,45 მილიარდი გირვანქა სტერლინგ დაჯდა.

ეკონომიკური პალიტრა №33 (193), 19-25
სექტემბერი, 2011

უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა
თამთა შებეღაგამ

ახალი ეკონომისტი




მიიღეთ მონაწილეობა უზღის სახლის მშენებლობაში

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაკიანში, ლექარჩეს უბანში, XX საუკუნის 20-იან წლებში ადგილობრივმა კომუნისტებმა დაანგრეს ლექარჩეს მიქელ-გაბრიელის სახელობის ეკლესია. იგი დღეს ასე გამოიყურება.



ეკლესიის პარამეტრებია:
სიგრძე – 13,5მ; სიგანე – 7,5მ;
სიმაღლე (გარედან) – 9,0მ.


2001 წლიდან ქარჩაეას გვარის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ამ ეკლესიის აღდგენა. შეიქმნა სპეციალური კავშირი „ქარჩა“, რომელიც ორგანიზებას უწევს მის აღდგენას. კურთხევა მიღებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტერესის ილია II-საგან, სენაკი-ჩხოროწყუს ეპარქიის მუუვე შიოსაგან (მუჯირი). საპატრიარქოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით ნებართვა მიღებულია მისი აღდგენის შესახებ და მოწონებულია შესაბამისი პროექტიც. აი, მისი სამხრეთისხედი:



ახალი კონცეფცია

ქარჩაეების გვარის წარმომადგენლებმა შეძლებისდაგვარად გარკვეული თანხა შესწირეს ამ საპასუხისმგებლო, და ამავე დროს, საპატიო და მაღლიან საქმეს. არანაკლები ინტერესით შემოგვერთდნენ სხვა გვარის წარმომადგენლებიც, როგორც ადგილობრივი საქართველოს სხვა რაიონებიდან, თბილისიდან. გარკვეული წვლილი შეიტანეს კერძო ორგანიზაციებმაც. თითოეული თეთრი აღრიცხულია, ქვეყნდება საგვარეულო გაზეთში და მშენებლობის დასრულების შემდეგ გამოიცემა ცალკე წიგნად, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ეკლესიის მშენებლობაში.

2006 წელს ამ პრობლემით დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის მხარეში, დაათვალიერა იქაურობა, გაერკვა საქმის ვითარებაში და დახმარება აღგვითქვა.



მიემართავთ თხოვნით ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს, აღნიშნული ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხონ თანხა კავშირი „ქარჩა“, ანგარიშზე:

„ხალიკ ბანკი საქართველო“, კოდი HABGGE22, ცენტრალური ფილიალი.

ანგარიშის ნომერი ლარებში:
GE76HB000000000083608;

ანგარიშის ნომერი დოლარებში:
GE46HB0000000000133618;

დამატებითი კითხვებისთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ: 555 277 554 ან 2990576.

საერთაშორისო ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

აგრძელებს სტატიების მიღებას შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNuxx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა - 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNuxx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს - ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება - 5 ლარი.
5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექენისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: info@economisti.ge ან info@loi.ge
ტელ: 422 771; 99-05-76; 855 277 554; 895 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNuxx font 12, interval between lines- 1.5, borders in right and left side- 3 and 2.5sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNuxx and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and Egnlish languages too.
The price of article's publication is- one page of journal 8GL(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GL(lari).
5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. "loi's" account: identification code - 204439296, the account number- GE61HB000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: info@economisti.ge or info@loi.ge

Tel: 99 05 76; 422 771; 855 277 554; 895 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.




ეროვნული
ბიზნისცენტრი

Holis-ის ფირმის ფარდა-ქაღუჭები

ფერთა ფართო არჩევანი

■ კლასტიკის

■ მეტალის



■ ხის

■ ტილოს

მის.: საქართველო,
თბილისი 0112, ცაბაძის 7 (დინამოსთან)
ტელ.: 35 77 00
ელ-ფოსტა: geograni@yahoo.com

Add.: 7, Tsabadze
0112 Tbilisi, Geo
Phone: +995 32 35 77
E-mail: geograni@yahoo